კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ირაკლი გაბელია

# შავი ზღვის უსაფრთხოება თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონტექსტში

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი

**დისერტაცია**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვახტანგ მაისაია, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 0141, საქართველო

2023

# განაცხადი

როგორც ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომში გამოყენებული მასალა ციტირებული და დამოწმებულია სათანადო წესების შესაბამისად.

ირაკლი გაბელია

28.01.2023

*ეძღვნება დას - თეონა გაბელიას და დედას - მზია ხურცილავას, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ჩემს პროფესიულ წინსვლაში*

# მადლიერების გვერდი

წინამდებარე კვლევის განხორციელების ფარგლებში მადლობას ვუხდი “საერთაშორისო პოლიტიკის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრს” და მის სრულ სამეცნიერო განყოფილებას. განსაკუთრებით კი ორგანიზაციის პრეზიდენტს ლაშა შამათავას. აგრეთვე მინდა მადლიერება გამოვხატო ზურაბ წოწორიას, ემზარ ხვიჩიასა და ზვიად აქუბარდიას მიმართ, რომლებიც მეხმარებოდნენ ახალი სამეცნიერო დისციპლინის წარმოჩენაში ნაშრომის ფარგლებში. მადლობა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორს, პროფესორ თამარ კიკნაძეს და სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელს, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორ, პროფესორ ვახტანგ მაისაიას.

# ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომი სახელწოდებით „შავი ზღვის უსაფრთხოება თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონტექსტში“ შავი ზღვის რეგიონში არსებული პრობლემების იდენტიფიკაციასა და სამომავლო პერსპექტივების წარმოჩენას ეძღვნება. ნაშრომი მიმოიხილავს შექმნილი კონიუნქტურის სტაბილიზაციის მექანიზმებს და კონფრონტაციული სცენარების თავიდან აცილების გზებს.

მსოფლიოში მიმდინარე ძირეულ პოლიტიკურ ძვრები რასაკვირველია შავი ზღვის რეგიონზეც გავრცელდა, რომელიც ანტაგონისტურ სივრცედ და საერთაშორისო ურთიერთობების წამყვან აქტორთა დაპირისპირების არეალად იქცა. ნაშრომი მიმოიხილავს დაპირისპირებულ მხარეთა გეოპოლიტიკურ ინტერესებს და ამ დაპირისპირებათა მთავარ იდეოლოგიურ და სტრატეგიულ ვექტორებს, რომლებიც ხშირად არათანმიმდევრულობით ხასიათდება. არსებული გლობალური პოლიტიკური ლანდშაფტისა და რეგიონული მდგომარეობის ზედაპირული შეფასება სტატუს-კვოს სიღრმისეულ გააზრებასა და სწორი დასკვნების გამოტანას ართულებს, რაც ისედაც დაძაბულ ფონს კიდევ უფრო ამძიმებს. შექმნილი მდგომარეობა იმის წინაპირობას ქმნის, რომ შავი ზღვის რეგიონი საერთაშორისო ურთიერთობების მსხვილ აქტორთა და რეგიონულ ძალთა დაპირისპირების ეპიცენტრად გადაიქცეს.

ნაშრომი მიმოიხილავს შავი ზღვის რეგიონის ისტორიულ პერიპეტიებსა და დაძაბული ვითარების დარეგულირების მექანიზმებს/ბერკეტებს. ნაშრომში შავი ზღვის რეგიონის უძველესი ისტორიული პერიოდი და ამჟამინდელი რეალიებია ასახული, რითაც ნაჩვენებია, თუ როგორი ცვალებადი იყო რეგიონის დინამიკა დროის სვლასთან მიმართებაში.

დასკვნით ნაწილში ყურადღება გამახვილებულია საქართველოს როლზე შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების სტაბილიზაციაში. ნაშრომის

დასკვნები ძირითადად ახალ თეორიულ კვლევის მეთოდს - კვანტურ-რელატივისტურ ნოოლოგიას ეყრდნობა.

# Annotation

The dissertation, “ The Security of the Black Sea in the Current Geopolitical Context,” is devoted to identifying the challenges in the Black Sea Region and developing future perspectives thereon. The research discusses the stabilization mechanisms for the existing conjuncture and ways to avoid confrontational scenarios.

The world’s fundamental political changes have, of course, influenced the Black Sea region, which has become an antagonistic space and a site of confrontation between the leading actors of international relations. The research reviews the geopolitical interests of conflicted parties and the main ideological and strategic vectors of this confrontation, which often have noncoherent characteristics. The superficial appraisal of the existing global political landscape and regional context hinders the in-depth analysis of the *status quo* and the drawing of correct conclusions, which worsens the already strained atmosphere. The current situation creates a precondition for the Black Sea Region to become the focal point of conflict between global actors of international relations and regional powers.

The dissertation reviews the historical vicissitudes of the Black Sea region and the mechanisms/leverages for regulating the tense situation. The ancient historical period of the Black Sea region and the current realities are depicted in the research, thus showing the changing dynamics of the region in relation to the passage of time.

In conclusion, attention is focused on the role of Georgia in stabilizing the security of the Black Sea region. The conclusions are based on the new theoretical research methodology – Relativistic Quantum Noology.

# სარჩევი

**შესავალი** 10

თავი I. შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების თეორიული საფუძვლები 27

1.1. შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკა 33

1.2. შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება: კლასიფიკაცია და სამომავლო პროექციები 40

1.3. „ცივი ომის" პერიოდში რეგიონის მნიშვნელობა და დაპირისპირების მახასიათებლების გამოკვეთა 60

თავი II. შავი ზღვის უსაფრთხოება რეგიონული და საერთაშორისო პოლიტიკის კონტექსტში 65

2.1. შავი ზღვის რეგიონის ენერგეტიკული პროექტების მნიშვნელობა და მათი როლი უსაფრთხოების პოლიტიკაში 65

2.2. საერთაშორისო აქტორების გეოპოლიტიკური მიზნები და გავლენები შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაზე 73

2.3. საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაციების როლი შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში 90

თავი III. შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება  გლობალურ პოლიტიკაში 97

3.1. რეგიონში არსებული კონფლიქტების დარეგულირების გზები და სამშვიდობო ინიციატივების დინამიკა 97

3.2. საქართველოს როლი შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების  სტაბილიზაციაში 112

3.3. შავი ზღვის რეგიონის კონიუნქტურის ოპტიმიზაციის პერსპექტივები 123

დასკვნა 129

ბიბლიოგრაფია 135

# გამოყენებული აბრევიატურები:

**TANAP - Trans-Anatolian Natural Gas Pipeline -** ტრანსანატოლიური გაზსადენი;

**TAP - Trans Adriatic Pipeline -** ტრანსადრიატიკული გაზსადენი;

**GDP – Gross domestic product -** მთლიანი შიდა პროდუქტი;

**FONOP - freedom of navigation operation** - ნავიგაციის თავისუფლების ოპერაცია;

**BLACKSEAFOR - Black Sea Naval Cooperation Task Group -** შავი ზღვის საზღვაო თანამშრომლობის სამუშაო ჯგუფი;

**INOGATE - Oil and Gas Transport to Europe** — ნავთობისა და გაზის სახელმწიფოთაშორისი ტრანსპორტირება ევროპისაკენ;

**TRACECA - Trannsport Corridor Europe Caucasus** — ევროპა-კავკასიის სატრანსპორტო კორიდორი;

**OECD – The organisation for economic Co-operation and development** - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია;

**BSEC - Black Sea International Cooperation** - შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია;

**BSEC BC - Black Sea Economic Cooperation Organization (BSEC) Business Council** - შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ბიზნეს საბჭო;

**BSTDB - Black Sea Trade and Development Bank** - შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი;

**ICBSS - International Centre for Black Sea Studies -** შავი ზღვის კვლევის საერთაშორისო ცენტრი;

**GUAM - The Organization for Democracy and Economic Development -** დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია;

**CIS - Commonwealth of Independent States** - დსთ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა;

**MENA - Middle East and North Africa** - ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა;

**RSCT - Regional Security Complex Theory -** რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსური თეორია;

**CAATSA - Countering America's Adversaries Through Sanctions Act -** ამერიკის მოწინააღმდეგეების წინააღმდეგ სანქციების აქტი;

**NATO - North Atlantic Treaty Organisation** - ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია;

**BRI - Belt and Road Initiative** - ერთი სარტყელი - ერთი გზის ინიციატივა;

**COFCO - China Oil and Foodstuffs Corporation -** ჩინეთის ნავთობისა და სურსათის კორპორაცია;

**EOP - Enhanced Opportunities Partner** - გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორობა;

**ISAF - International Security Assistance Force** - საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალები;

**JTEC - NATO-Georgia Joint Training and Evaluation Center -** ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი;

**DIBS - Defence Institution Building School** - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა;

**RUSI - Royal United Services Institute -** გაერთიანებული სამსახურების სამეფო ინსტიტუტი;

**OSCE - Organisation for Security and Co-operation in Europe** - ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია.

# შესავალი

## თემის აქტუალურობა და საკვლევი პრობლემები

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დამყარებულმა ბიპოლარულმა მსოფლიო წესრიგმა საზოგადოების ყველა შრე მოიცვა. ამასთან, გააჩინა ახალი უთანხმოების კერები, რომლებშიც დაპირისპირებული მხარეები უშუალოდ არ მონაწილეობდნენ, თუმცა კონფლიქტების მიმდინარეობის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. დაპირისპირების ობიექტებად არა მხოლოდ კონკრეტული სახელმწიფოები (კორეა, კუბა, ვიეტნამი, ავღანეთი), არამედ რეგიონებიც იქცნენ (კავკასია, ბალკანეთი და სხვა). კონფრონტაციული დამოკიდებულებების შედარებით შემცირების ტენდენციები დაპირისპირებულ ბანაკთა შორის მე-20 საუკუნის 80-იან წლებში გამოიკვეთა, ეს ათწლეული კი საბჭოთა კავშირის რღვევით დასრულდა. მსოფლიო ახალი რეალობისა და ამასთანავე ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, სადაც საერთაშორისო წესრიგის განმსაზღვრელი ლიბერალური პრინციპები გახდა.

საბჭოთა კავშირის რღვევამ მასში შემავალი ყველაზე ძლიერი აქტორის, რუსეთის ფედერაციის დასუსტებაც გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდში იგი მიჰყვა გაბატონებული, ლიბერალური წესრიგის პრინციპებს და ცდილობდა მის ადაპტირებას, სხვადასხვა სფეროში, მათ შორის პოლიტიკური და ეკონომიკური მიმართულებითაც. შესაბამისად, გაჩნდა განცდა იმისა, რომ დაპირისპირების ეპოქა წარსულს ჩაბარდა, თუმცა მოვლენების შემდგომმა განვითარებამ შექმნა იმგვარი ვითარება, რომლითაც არა „ისტორიის დასასრულს", არამედ ახალი ისტორიის დასაწყისს დაედო სათავე.

დღეისათვის შეუთანხმებლობის ერთ-ერთ საგანს შავი ზღვის რეგიონი წარმოადგენს, რომლის გეოპოლიტიკური მდებარეობა

დაპირისპირების სიმძაფრეს კიდევ უფრო ზრდის და რეგიონის მოწყვლადობას განაპირობებს. მილიტარიზაციის მაღალი დონე, რომელიც დღენიადაგ დამახასიათებელი ნიშანი გახდა რეგიონისათვის ადეკვატურ რეაგირებას საჭიროებს, რადგან მოსალოდნელი საფრთხეები ჩანასახშივე განეიტრალდეს.

ანტაგონისტური დამოკიდებულებების კვალდაკვალ იზრდება შავი ზღვის აკვატორიის მნიშვნელობა და როლი თანამედროვე პერიოდში. შავი ზღვა დასავლეთსა და აღმოსავლეთის რეგიონებს შორის დამაკავშირებელი რგოლია, სადაც დაპირისპირებულ მხარეთა ინტერესები განსხვავებული პოზიციებითაა წარმოდგენილი. საკუთრივ, აქტორთა შეუთანხმებლობა მხოლოდ სახელმწიფოთა დონეზე არ მიმდინარეობს და იგი საერთაშორისო ორგანიზაციებსაც მოიცავს. შესაბამისად, მიმდინარე პროცესები გასცდა რეგიონულ დონეს და გლობალური მნიშვნელობა შეიძინა.

შავი ზღვის დასავლეთ და სამხრეთ ნაპირები ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კონტროლის ზონაა, რაც ინტერესთა კონფლიქტის გამომწვევია რუსეთის ფედერაციასთან, რომელმაც საკუთარი ინტერესები 2014 წელს, ყირიმის ანექსიით წარმოაჩინა, რითაც მკვეთრად გაზარდა მისი მოქმედების არეალი და უპირატესობა მოიპოვა შავი ზღვის აკვატორიაში.

რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემოს ერთ სიბრტყემდე დაყვანა დაუშვებელია, ვინაიდან გარდა პოლიტიკური და სამხედრო განზომილებებისა, იგი დაკავშირებულია ისეთ მნიშვნელოვან სფეროებთან, როგორიცაა სატრანსპორტო-ენერგეტიკული და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები.

თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში აქტორთა შორის ურთიერთდამოკიდებულება მკვეთრად გაიზარდა, ამიტომ სტაბილურობის შენარჩუნებასა და დაცვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თუმცა

ურთიერთდამოკიდებულების ზრდის პარალელურად სახელმწიფოთა ხედვების დაშორიშორებისა და ურთიერთშეუთანხმებლობის დონე მზარდია. რეგიონს, ისევე როგორც კაცობრიობას საერთო შეხების წერტილის პოვნა სჭირდება, რასაც სამომავლო მოქმედებები დაეფუძნება და დიალოგი კონსტრუქციულ რეჟიმში გადაინაცვლებს.

არაერთგვაროვანი შეფასებები, საკითხის განსხვავებული აღქმები, დიპლომატიური რესურსების ამოწურვა, ამგვარია რეგიონის დახასიათება ბოლო ათწლეულებში. ამის პარალელურად კი აქტიურად მიმდინარეობს ზემოჩამოთვლილ პრობლემათა გადაჭრის მექანიზმების ძიება, თუმცა უშედეგოდ. შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხი, არა სტაბილიზაციის, არამედ დაპირისპირების გაღვივების კერად იქცა მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე, რომლის მოგვარების რაიმე კონკრეტული გზა არსებულ პარადიგმათა ჩარჩოში ვერ მოიძებნა.

## ნაშრომის მიზნები და ამოცანები

**ნაშრომის მიზანია** გამოავლინოს შავი ზღვის რეგიონში არსებული გამოწვევები და პრობლემები. მოცემული რეალობა შეაფასოს როგორც რეგიონული, ასევე გლობალური მასშტაბით და სხვადასხვა თეორიული მეთოდოლოგიების შესწავლა, გაანალიზება. ხოლო მის საფუძველზე პრობლემების გამოვლენა და კონფრონტაციული მდგომარეობიდან გამოსვლის ოპტიმალური გზების ძიება.

კვლევის **ამოცანები** უშუალო კორელაციაშია ნაშრომის მიზნებთან და გულისხმობს:

- საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების თეორიათა კვლევების დამუშავებასა და შესწავლას, რომელიც უშუალოდ შავი ზღვის რეგიონს მიესადაგება;

- შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების იდენტიფიკაციას და არსებული მდგომარეობის შეფასებას;
- შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე ვითარების შეფასებას მსოფლიოში მიმდინარე ძალთა ბალანსის გადანაწილების ფონზე;
- ოპტიმალური გზების შემუშავებას, რომელიც შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების გარანტი გახდება.

## კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის **საგანს** შავი ზღვის რეგიონში არსებული პოლიტიკური/ეკონომიკური/სამხედრო უსაფრთხოების ასპექტები წარმოადგენს.

კვლევის **ობიექტი** რეგიონის უსაფრთხოების სისტემაში წარმოდგენილი აქტორები, პრობლემები და გამოწვევებია.

## საკვლევი კითხვები

წარმოდგენილი კვლევის მთავარი კითხვებია:

1. რა ძირითადი ფაქტორები ახდენენ გავლენას შავი ზღვის აკვატორიის უსაფრთხოებაზე?
2. შესაძლებელია თუ არა შავი ზღვის რეგიონში არსებული დაპირისპირების კონსტრუქციულ ჩარჩოში მოქცევა, როგორც სახელმწიფოთა, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციათა შორის?
3. რა როლი შეიძლება ჰქონდეს საქართველოს შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების სტაბილიზაციაში?

### ჰიპოთეზა

მიმდინარე მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესში შავი ზღვის რეგიონს ერთ-ერთი საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება, შესაბამისად საერთაშორისო აქტორების ინტერესი რეგიონის მიმართ იზრდება. შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე პროცესები იმ გლობალური პოლიტიკური პერიპეტიების ანარეკლია, რაც მსოფლიოში დღესდღეობით მიმდინარეობს. შესაბამისად, შავი ზღვის რეგიონი კონსტრუქციული დიალოგის არეალად უნდა იქცეს.

საერთაშორისო დონეზე არსებული ანტაგონისტური განწყობები, ურთიერთშეუთანხმებლობა და საერთო პოზიციების არარსებობა რეგიონს მომავალში დაპირისპირებების არეალად ყოფნად უქადის. შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, აუცილებელია ახალი თეორიული მიდგომების შემუშავება, რომელიც სრულად მეცნიერულ მიდგომებს დაეფუძნება. როგორც ვხედავთ, ტრადიციული თეორიული მიდგომებით კრიზისიდან გამოსავლის მოძიება ვერ ხერხდება, რაც გლობალურ სურათთან ერთად კიდევ უფრო ამძიმებს რეგიონის სიტუაციას.

## კვლევის თეორიული საფუძვლები

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი თეორიული საფუძვლები:

**ძალთა ბალანსის თეორია** - რეალიზმის სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონცეფცია, რომელიც მთავარ საყრდენს საერთაშორისო ურთიერთობების ანარქიული სისტემიდან იღებს, ამიტომაც თვითგადარჩენის პრინციპების საფუძველზე სახელმწიფოები საკუთარი უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან. ამ პრინციპებზე

დაყრდნობით კი ისინი სხვა სახელმწიფოებთან ერთად მოქმედებას ცდილობენ თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე.

**ჰართლენდის თეორია** - თეორიის ავტორის, ჰელფორდ ჯონ მაკინდერის მიხედვით დედამიწის ღერძი ევრაზიის კონტინენტია, რომელსაც მან „ჰართლენდი" უწოდა. თეორიის ავტორზე დაყრდნობით, ჰართლენდი ევრაზიის ცენტრში მდებარეობს და ყველაზე ხელსაყრელი ტერიტორიაა, საიდანაც გლობალური გავლენის მოპოვებაა შესაძლებელი.

**გეოსტრატეგიული ბალანსი** - ცნება მჭიდროდაა დაკავშირებული ტერმინ გეოპოლიტიკასთან და საერთაშორისო ასპარეზზე წარმოდგენილ აქტორთა შორის ომების თავიდან აცილებას ისახავს მიზნად.

**რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსური თეორია** - აღწერს საერთაშორისო სისტემის სტრუქტურას, რომელსაც ძალაუფლების გარკვეული სპექტრი აქვს და იგი ზესახელმწიფოებსა რეგიონულ ძალებს შორის მერყეობს. საერთაშორისო სისტემის ძლიერი აქტორები ერთად ქმნიან გლობალური ძალების შეზღუდულ ჯგუფს, რომელთა მოქმედების სფერო და რელევანტურობა როგორც რეგიონების, ასევე სხვა საკითხებს წყვეტს.

სოლ კოენის **გეოპოლიტიკური თეორია** - ავტორი მსოფლიოს ყოფს ერთიან გეოპოლიტიკურ იერარქიულ სისტემად, რომლის შემადგენელ ელემენტებსაც როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური ფაქტორები წარმოადგენენ. როგორებიცაა: რეგიონები, არეალი, შიდაეროვნული აქტორები, სახელმწიფოები და სხვა. მსოფლიო პოლიტიკური სივრცე გეოგრაფმა დაყო ორ ძირითად გეოსტრატეგიულ არეალად: საზღვაო და სახმელეთო, რომლებიც სხვადასხვა აქტორები ერთიანდებიან. ჩვენთვის საინტერესო კი ამ მხრივ საზღვაო არეალი და მასში შავი ზღვის რეგიონის წარმოჩენაა.

**კვანტური რელატივისტური ნოოლოგია** - მდგომარეობს თვითკმარი არსებობის ლოგიკის აღმოჩენაში. ავტორმა აღმოჩენილი სიახლის მეშვეობით საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონების განსაზღვრა მოახდინა, რითაც ისტორიული პროცესის ლოგიკის დადგენა მოახერხა.

## კვლევის მეთოდები

დისერტაციის კვლევის ტიპი ფუნდამენტურ ხასიათს ატარებს, რადგან იგი მიზნად ცოდნის, თეორიების და პროგნოზირების განვითარებას ისახავს. ნაშრომისათვის თვისებრივი მეთოდები შეირჩა, რომელიც საუკეთესოა რთული ცნებების ან ფენომენების აღწერის, ინტერპრეტაციის კონტექსტუალიზაციისა და სიღრმისეული გაგებისათვის. თვისებრივი კვლევა გამოიყენება ცნებების, აზრების ან გამოცდილების გასაგებად. ამ ტიპის კვლევა საშუალებას მოგვცემს, შევისწავლოთ სიღრმისეული შეხედულებები რთულად გასაგები საკითხების შესახებ. კვლევის პროცესისთვის შემდგომი მეთოდებია გამოყენებული:

- **ისტორიულ-აღწერილობითი** - რომლის საშუალებით ისტორიული პერიპეტიების ანალიზის საფუძველზე შავი ზღვის რეგიონის საკითხი შევისწავლეთ;

- **დისკურსიის ანალიზი** - რომლის მიზანია იმის დადგენა, თუ როგორ ხდება ღირებულებებისა და შეხედულებების კომუნიკაცია სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში. ანალიზის ეს მეთოდი დაგვეხმარება კარგად შევაფასოთ ინტერესებისა და ღირებულებების შეუსაბამობა დიდ აქტორთა შორის, რომელთა დაპირისპირებები იკვეთება შავი ზღვის რეგიონში;

- **მონაცემთა ანალიზი** - გარკვეული მონაცემების შესწავლის და მათი ანალიზის შემდგომ საერთო დასკვნების გამოტანა;

- **კონტენტ-ანალიზი** - რომლის მეშვეობით მოხდა სხვადასხვა ტიპის დოკუმენტების შესწავლა და მათში ამა თუ იმ მაჩვენებლების გამოვლენის სიხშირის დაფიქსირება;

- **პროცესების შედარებითი ანალიზი** - სხვადასხვა დროს მომხდარი და პრეცედენტებზე დამყარებული მოქმედება, რომელიც მიზნად პერიოდთა შორის ანალიზს ისახავს;

- **დოკუმენტური/მეორადი მონაცემთა ანალიზი** - თვისებრივი კვლევის ამ მოდელის მთავარი დადებითი/პლუსი ინფორმაციის მოპოვება, შერჩევა, ორგანიზება, ინტერპრეტაცია, შედგენა და ანალიზია იმ საკითხის შესახებ, რომელიც დოკუმენტური წყაროების შესწავლის ობიექტს წარმოადგენს. აღნიშნული მოიცავს სამეცნიერო პუბლიკაციებს, წინა კვლევების ანგარიშებს, სხვადასხვა სტატისტიკურ და უწყებრივ პუბლიკაციებს და სხვა;

- **შემთხვევების შესწავლა (Case study)** - კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანი გახლდათ შეგვესწავლა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორები, რისთვისაც აღნიშნული მეთოდი გამოვიყენეთ.

## ნაშრომის სამეცნიერო სიახლე

შავი ზღვის რეგიონში საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე მოვლენების შეფასება დესკრიფციულ/აღწერით ხასიათს ატარებდა,

რომელიც ძირითადად მშრალ ანალიზსა და სიტუაციის მიმოხილვას მოიცავდა. ნაშრომის სამეცნიერო სიახლე მრავალმხრივი, სიღრმისეული, კომპლექსური და სისტემური ანალიზის გათვალისწინებით სხვადასხვა შრეებს მოიცავს. კერძოდ:

1. ახალი თეორიული სისტემის - კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის გამოყენებით შეფასებულია შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების გამოწვევები და აღნიშნული სისტემის ფარგლებში შემოთავაზებულია მისი დარეგულირების მექანიზმები;
2. განსაზღვრულია გეოსტრატეგიული ბალანსის ინდიკატორები, სადაც ცალკეულ ინდიკატორად შავი ზღვის საზღვაო მნიშვნელობა გამოიყო;
3. შავი ზღვის რეგიონი წარმოჩენილია გეოსტრატეგიულ დონეზე;
4. შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე მოვლენები მიმოხილულია ენერგეტიკული უსაფრთხოების პერსპექტივიდან, რომელსაც ახალ დონეზე გადაჰყავს იგი;
5. კვლევა ხელს შეუწყობს აკადემიურ დონეზე საქართველოში შავი ზღვის სწავლებებს (Black Sea Studies) და მნიშვნელოვანი როლს შეასრულებს მის შემდგომ სტაბილურობაში;

## თემის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომის **თეორიულ მნიშვნელობას** მისი კრებსითი მიდგომა განსაზღვრავს. საკუთრივ იგი მოიცავს როგორც არსებული მასალების ანალიზსა და შეფასების ნაწილს, ასევე ახალი მიდგომის შესაბამისად მიმოხილულ მიმდინარე მდგომარეობის მოგვარების პერსპექტივებს.

კვლევა დიდი კონტრიბუცია იქნება იმ პირებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან შავი ზღვის რეგიონში არსებული მდგომარეობით. მათ თვალწინ გადაიშლება ახალი თეორიული მიდგომით შეფასებული სიტუაცია და ის ხელისშემშლელი ფაქტორები, რომელიც რეგიონში მშვიდობის შენარჩუნებას აფერხებს. ნაშრომი ამავე თეორიის ფარგლებში წარმოაჩენს არსებული სიტუაციის ოპტიმალურად დარეგულირების მექანიზმებს, რომელიც ამ ეტაპისთვის აღნიშნულ თემატიკაზე მომუშავე ადამიანებისთვის ამოუცნობ ფაქტორად ფიქსირდება.

დისერტაციის **პრაქტიკული მნიშვნელობა** მდგომარეობს იმაში, რომ იგი მნიშვნელოვანწილად დაეხმარება საკითხით დაინტერესებულ მკვლევრებს, მეცნიერებს, პოლიტიკოსებს გადაიაზრონ არსებული მდგომარეობა და ახალი, სრულიად ინოვაციური მიდგომით შეაფასონ რეგიონში მიმდინარე პროცესები. ასევე დისერტაცია მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი იქნება უსაფრთხოების სამსახურის, საგარეო საქმეთა სამინისტროს და სხვა უწყებებისათვის სამომავლო ნაბიჯების შემუშავების კუთხით.

## სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე მოვლენები აქტუალურ და ამავე დროს პრობლემურ საკითხად ფიქსირდება საერთაშორისო პოლიტიკურ დღის წესრიგში. შესაბამისად, არსებული რეალობის იდენტიფიკაციისა და დარეგულირების მიმართულებით ბევრი წიგნი, სტატია თუ მონოგრაფიაა შექმნილი, რომლებიც სხვადასხვა კუთხით მიმოიხილავენ რეგიონში არსებულ ვითარებას. საკუთრივ არსებული რეალობის შეფასების მიზნით მნიშვნელოვანია მათი სიღრმისეული შესწავლა, რათა მოხდეს იმ

პანორამული სურათის წარმოჩენა, რომლითაც რეგიონი უძველესი პერიოდიდან ხასიათდება.

1. **ვახტანგ მაისაია, შავი ზღვის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები**[1] - ნაშრომი შავი ზღვის რეგიონში არსებულ გეოპოლიტიკურ ანალიზს ეხება, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიულ საკითხებთან ურთიერთმიმართებითაა მიმოხილული. ამასთანავე მონოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა იმ სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს/მოვლენებს, რომლებმაც გავლენა იქონიეს ცივი ომის მიმდინარეობისა და მისი დასრულების შემდეგ რეგიონის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზე. ნაშრომში აგრეთვე საუბარია ბიპოლარულ ეპოქაში ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და სსრკ-ს შორის არსებული უთანხმოების გამომწვევ მიზეზებზე შავი ზღვის აკვატორიაში. ამასთანავე, მონოგრაფია მიმოიხილავს რეგიონში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორიცაა დსთ და ბისეკი, როლსა და მნიშვნელობას სტაბილურობის მიღწევის პროცესში.

2. **ირაკლი გორგილაძე, გეოპოლიტიკის საფუძვლები**[2] - ნაშრომი ძირითადი გეოპოლიტიკური თეორიების ანალიზს ეთმობა, სადაც შავი ზღვის რეგიონში არსებული მდგომარეობის შესაძლო ახსნებია შემოთავაზებული. საკუთრივ, ჰართლენდის თეორიის მიდგომები და შეხედულებები, თუ რატომაა ასეთი მნიშვნელოვანი რეგიონის ფლობა ძლიერი აქტორებისათვის და რა ძირითად მოტივს ეფუძნება მათი მოქმედებები რეგიონთან მიმართებაში. ნაშრომში ასევე ნაცადია ტერმინ „გეოპოლიტიკის“ განმარტება, აღნიშნულია, რომ იგი დაკავშირებულია ბუნდოვან და წინააღმდეგობრივ საკითხებთან, ასევე ზუსტი დეფინიციის არარსებობა და განსაზღვრის სირთულე, რომელიც რაციონალურობის ფარგლებს სცილდება და გლობალურ ინტერესებს მოიცავს.

---

[1] მაისაია, ვახტანგ. შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები. პარიზი: ქართულ-ევროპული ინსტიტუტი. 2003 წ.

[2] გორგილაძე, ირაკლი. გეოპოლიტიკის საფუძვლები, გამომცემლობა უნივერსალი, 2009 წ.

3. **Weaver, Carol. The politics of the Black Sea region: EU neighbourhood, conflict zone or future security community?**[3] – ნაშრომი ძირითადად ევროკავშირზეა კონცენტრირებული, მის არაწევრ შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებზე და აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში შემავალ სახელმწიფოებზე. წიგნში თავების სახით გამოყოფილია ის ძირითადი მახასიათებლები, რომლითაც რეგიონი ხასიათდებოდა საუკუნეების განმავლობაში. ნაშრომის საწყის ნაწილში ყურადღება გამახვილებულია შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების პოლიტიკურ სისტემებსა და მათ საგარეო პოლიტიკაზე. აღნიშნულ ინფორმაციას ავტორი იმის წარმოსაჩენად გვაწვდის, რომ წარმოდგენა შეგვექმნას იმ ზოგად სურათზე, თუ როგორ პოზიციონირებენ რეგიონის სახელმწიფოები საერთაშორისო დონეზე. ამ ყოველივეს შემდგომ ნაშრომის მომდევნო ნაწილი ორგანულად წარმოგვიდგენს ევროკავშირის როლს რეგიონში, მის ორმხრივ და მრავალმხრივ პოლიტიკას, როგორიცაა აღმოსავლეთის პარტნიორობა და შავი ზღვის სინერგია.

ნაშრომის მომდევნო ნაწილი რეგიონის მიმართ აშშ-ს პოლიტიკის შესწავლას ეთმობა, საკუთრივ იგი მოიცავს მოქმედებათა წარმოჩენას, რომელიც ცივი ომის შემდგომ აშშ-სა და რუსეთს შორის მიმდინარეობდა. ავტორი მიმოიხილავს დაძაბულობის წარმოშობის მიზეზებს, როგორიცაა: ნატოსა და ევროკავშირის გაფართოება, დემოკრატიზაცია და სხვადასხვა საზღვაო საკითხები.

წიგნი აგრეთვე რეგიონში მიმდინარე კონფლიქტებზე და მათ მიმოხილვაზე ამახვილებს ყურადღებას. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი, მთიანი ყარაბაღის მოვლენები და დნესტრისპირეთში არსებული მდგომარეობა, ეს ის საკითხებია, რამაც ნაშრომში მნიშვნელოვანი და ორგანული ადგილი დაიკავა. ამასთანავე, ნაშრომი გვერდს ვერ უვლის ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიც ენერგეტიკა და

[3] Weaver, Carol. The politics of the Black Sea region: EU neighbourhood, conflict zone or future security community? Routledge, 2016.

ენერგეტიკული უსაფრთხოებაა. ავტორი წარმოაჩენს რეგიონის ენერგეტიკულად სტრატეგიულ მდებარეობას როგორც შიდა, ასევე გარე აქტორებისათვის.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში გაანალიზებულია შესაძლო სამომავლო მოქმედებები, სადაც ევროკავშირისა და შავი ზღვის რეგიონის სამომავლო თანამშრომლობის გარდაუვალობაა დასაბუთებული.

4. **Deborah Sanders, The Black Sea Region Caught Between East and West**[4] - სტატიის ფარგლებში მიმოხილულია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ოფიციალური პეკინის გავლენები შავი ზღვის რეგიონში და იგი მოხსენიებულია როგორც სისტემური კონკურენცია დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ავტორი აღნიშნავს, რომ ჩინეთმა „ერთი სარტყელი - ერთი გზის (BRI)“ ინიციატივით საკუთარი გეოპოლიტიკური ამბიციები გამოავლინა და ორ გიგანტ სახელმწიფოს შორის დაპირისპირების არეალად შავი ზღვა წარმოაჩინა, სადაც სტრატეგიული კონკურენცია მიმდინარეობს მათ შორის. სტატიის ფარგლებში შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის მზარდი სტრატეგიული კონკურენციაა წარმოჩენილი.

ნაშრომი ჩინეთის მზარდ გავლენას ეხება რეგიონში, რომელიც აშშ-ს პოზიციებს უპირისპირდება და ამ დაპირისპირების ფონზე რეგიონში არსებული სახელმწიფოების მოქმედებებს განიხილავს, რომლებიც საკვანძო მოთამაშეებს შორის დაბალანსებას ცდილობენ.

სტატია მიმოიხილავს ბრიუსელსა და ვაშინგტონში არსებულ უსიამოვნებას ჩინეთის მხრიდან უცხოური ინვესტიციების ზრდის მიმართულებით BRI-ის ფარგლებში და იმას, თუ როგორ ცდილობენ მდგომარეობის შეცვლას მათ სასარგებლოდ. თუმცა, აგრეთვე საუბარია როგორც აშშ-სა და ევროკავშირის, ასევე ჩინური მხარის ჩართულობაზე თითოეულ შავიზღვისპირა სახელმწიფოსთან. ეს ყველაფერი იმის ფონზე,

---

[4] Deborah, Sanders. The Black Sea Region Caught Between East and West, The Journal of Slavic Military Studies, 34:2, 202-225, 2021.

რომ სტატიაში განხილულია რეგიონის თითოეული მხარის გაცხადებული პოზიცია, როგორებიცაა საქართველო, რუმინეთი, ბულგარეთი და სხვა.

5. **Pavliuk, Oleksandr, and Ivanna Klympush-Tsintsadze. The Black Sea region: cooperation and security building**[5] - ნაშრომი სტატიათა კრებულს წარმოადგენს, სადაც მიმოხილულია შავი ზღვის რეგიონის როგორც ისტორიული, ასევე მიმდინარე მდგომარეობა. ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა შავი ზღვის რეგიონის ისტორიულ გადააზრებას და მიმოიხილავს მის მნიშვნელოვან როლს წარსულ პერიოდში. ასევე თანამშრომლობისა და სამომავლო პერსპექტივების შესაძლო სცენარებს, რომელიც რეგიონს საერთაშორისო აქტორთა მხრიდან დაკვირვების ობიექტად აქცევს. აღნიშნულ აქტორთა მხრიდან დაინტერესების პარალელურად, ნაშრომი სამხედრო და საზღვაო ბალანსს წარმოგვიდგენს შავ ზღვაში. ვინაიდან რეგიონი გადაუჭრელი კონფლიქტებით ხასიათდება, რომელიც ხელს უშლის მისი განვითარების სამომავლო პერსპექტივებს, ნაშრომი მიმოიხილავს მათ და მისი მოგვარების რეგიონულ სტრატეგიებს წარმოგვიდგენს.

აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია რეგიონის ენერგეტიკულ მნიშვნელობაზე, კერძოდ, შავი და კასპიის ზღვის რეგიონებზე, რომელიც გამოწვევის წინაშე აყენებს მას და ქმედითი ნაბიჯების გადადგმას გულისხმობს როგორც რეგიონის, ისე საერთაშორისო აქტორთა მხრიდან. დასკვნით ნაწილში საუბარია საერთაშორისო ორგანიზაციების როლზე და უსაფრთხოების გარემოზე, სადაც მათი როლი განუხრელად იზრდება, თუმცა ხელშესახები შედეგები არ ჩანს. შესაბამისად, შავი ზღვის რეგიონი კვლავ რჩება დაპირისპირების ერთ-ერთ მთავარ კერად, რომელიც ადეკვატურ რეაგირებას საჭიროებს მასში ჩართულ აქტორთა მხრიდან.

---

[5] Pavliuk, Oleksandr, and Ivanna Klympush-Tsintsadze. The Black Sea region: cooperation and security building. Routledge, 2016.

6. **Hamilton, Daniel Sheldon, and Gerhard Mangott, eds. The wider Black Sea region in the 21st century: Strategic, economic and energy perspectives**[6] - ნამუშევარი სტატიათა ნაკრებს წარმოადგენს, რომელიც 3 სექციად იყოფა, რომელიცაა: 1. პერსპექტივები რეგიონიდან, 2. ტრანსრეგიონული საკითხები, 3. ევროპული, რუსული და ტრანსატლანტიკური მიდგომები. პირველ ნაწილში საუბარია საქართველოს, თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და რუსეთის დამოკიდებულებაზე რეგიონთან დაკავშირებით და მათ სამომავლო პერსპექტივებზე, რომელიც მათ გააჩნიათ შავი ზღვის აკვატორიასთან მიმართებაში. შემდეგი ნაწილი ეთმობა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა ეკონომიკური განვითარება რეგიონში, რეგიონის ენერგეტიკული როლი და მნიშვნელობა, რეგიონში მიმდინარე კონფლიქტების ანალიზი და სხვა.

ნაშრომის დასკვნითი ნაწილი მოიცავს საერთაშორისო აქტორების სტრატეგიებსა და მიდგომებს რეგიონის მიმართულებით, ისევე როგორც მიმოხილულია რუსეთის პოზიციები და პრობლემური სტრატეგიული პარტნიორობა დასავლეთის ქვეყნებთან, რომელიც ართულებს მდგომარეობის შეფასებას შავი ზღვის რეგიონში.

7. **Lesser, Ian. Global trends, regional consequences: Wider strategic influences on the Black Sea**[7] - ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს ევროკავშირისა (EU) და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) დიდ ჩართულობაზე შავი ზღვის რეგიონში. ასევე გამოთქმულია მოსაზრება, რომ მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით, იგი შესაძლოა გასცდეს რეგიონულ მასშტაბებს და გლობალური დონის საკითხად დაფიქსირდეს. ასევე დაპირისპირების

---

[6] Hamilton, Daniel Sheldon, and Gerhard Mangott, eds. The wider Black Sea region in the 21st century: Strategic, economic and energy perspectives. Center for Transatlantic Relations, Paul H. Nitze School of Advanced International Studies, Johns Hopkins University, 2008.

[7] Lesser, Ian. Global trends, regional consequences: Wider strategic influences on the Black Sea. International Centre for Black Sea Studies (ICBSS), 2007.

საგნად გადაიქცეს ერთი მხრივ ოფიციალურ ვაშინგტონს, ბრიუსელსა და მოსკოვს, მეორე მხრივ თეირანს, პეკინსა და ინდოეთს შორის. ნაშრომში შემოთავაზებული ანალიზის მიზანია რეგიონის, როგორც სტრატეგიული სივრცის, უსაფრთხოების ფართო მასშტაბების გამოვლენა და მათი შეფასება მნიშვნელობა რეგიონული და არარეგიონული დაინტერესებული მხარეებისთვის. ასევე რეგიონში მიმდინარე მოვლენები მოხსენიებულია, როგორც შესაძლო „ახალი ცივი ომის" წინაპირობა, რომელიც განპირობებულია როგორც ენერგეტიკული, ასევე საერთაშორისო აქტორთა შორის შეუთანხმებლობით.

**8. ემზარ ხვიჩია, ნოოლოგია: თვითკმარი არსებობის ლოგიკა საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები[8] -** ნაშრომი ახალი სიტყვაა სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. წიგნი ახლებურად გადაიაზრებს გეოპოლიტიკურ მოცემულობებს და დარგთაშორისი კვლევებისთვის ხელსაყრელ ნიადაგს ამზადებს. მის საზღვრებში ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ანთროპოლოგიისა და პოლიტიკური მეცნიერებების ინტერდისციპლინური კვლევები კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს. ნაშრომის თეორიულ ბირთვის კვანტურ-რელატივისტური ნოოლოგია წარმოადგენს, თეორია, რომელიც ინოვაციური მიდგომითა და ახალი პარადიგმული ხედვით არსებული კრიზისული სტატუს-კვოს დაძლევის გზას გვთავაზობს. ნაშრომში გადმოცემული და ახსნილია ის თეორიული მექანიზმი, რომელსაც ახალი პარადიგმა - ნოოლოგია ეფუძნება. იგი საკუთარ თავში აერთიანებს ნოოლოგიურ სტიქიათა თეორიასა და ციკლურ ლოგიკას, რომლებიც კომპლექსურად ხსნიან პიროვნებების, ერებისა და ცივილიზაციების ირგვლივ განვითარებულ სხვადასხვა მოვლენებსა და პროცესებს. ამრიგად, ნაშრომი საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ საზოგადოებრივ მეცნიერებებში აქამდე სადაო ცნებათა შინაარსები. რის შედეგადაც

---

[8] ხვიჩია, ემზარ. თვითკმარი არსებობის ლოგიკა საზოგადოების თვითორგანიზაციის ცვლის კანონები. გამომცემლობა ახალი პარადიგმა, თბილისი, 2020.

პიროვნების, ერის და ცივილიზაციის განმარტებებს ვიღებთ, რომელიც ფუნდამენტურ დონეზე ხსნის ადამიანთა და საზოგადოებრივ ერთობათა ქცევას და თან პროგნოზირების საშუალებას იძლევა. ავტორი ახალი პარადიგმის მეშვეობით ერთა კლასიფიცირებას ახდენს, სადაც ობიექტური რეალობის მათეულ ხედვებსა და აღქმებს წარმოგვიდგენს, რომელიც შესაბამის სოციალურ სისტემებს, მსოფლმხედველობასა და ერთა ღირებულებებს აყალიბებს.

## ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

წინამდებარე დისერტაცია შედგება შესავლის, სამი თავის, ცხრა ქვეთავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან.

# თავი I. შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების თეორიული საფუძვლები

ბოლო რამდენიმე დეკადის განმავლობაში შავი ზღვის რეგიონისადმი ყურადღება საგრძნობლად გაიზარდა, რაც იმ გეოპოლიტიკური მდებარეობითაა განპირობებული, რომლითაც რეგიონი გამოირჩევა. რეგიონში სახელმწიფოების, ისევე როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების ინტერესთა კვეთა მაღალ კორელაციაშია ერთმანეთთან და ანტაგონისტური დამოკიდებულებით გამოირჩევა. გლობალურ აქტორთა ჩართულობა მიმდინარე პროცესებში ნათელი დასტურია იმისა, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ატარებს იგი საერთაშორისო მასშტაბით.

შავი ზღვის უსაფრთხოება დისკუსიის საგანია საერთაშორისო ასპარეზზეც, რომლის გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე მიმდინარე პროცესები მარტივად შეიძლება აიხსნას, თუმცა რა მომავალს უქადის აღნიშნული მოვლენები რეგიონს, ბუნდოვანი წარმოდგენები არსებობს. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, გეოპოლიტიკური თეორიებიც ამახვილებენ ყურადღებას რეგიონის მიმართ, რომელიც სპაიკმენისა და კენანის ნაშრომებში გამოიხატა, სადაც რეგიონს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება „ციხესიმაგრის“ გარშემორტყმის აზრით, განსაკუთრებით კი სსრკ-ს სამხედრო-საზღვაო ძალების ჩაკეტვისთვის, ხმელეთის მხრივ კი საბჭოთა ჯარების შეჭრის თავიდან ასაცილებლად, სამხრეთ-დასავლეთით კი ახლო აღმოსავლეთის და სპარსეთის ყურის მიმართულებით - იგივე „ოგარკოვის გეგმის“ პოსტულატი.[9] გეგმის თანახმად საბჭოთა მეცნიერები ვარაუდობდნენ, რომ დაახლოებით 2015 წლისათვის ტექნოლოგიები იმდენად განვითარდებოდნენ, რომ საბრძოლო ველზე რობოტები და ენერგეტიკული

[9] მაისაია, ვახტანგ. შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები. პარიზი: ქართულ-ევროპული ინსტიტუტი. 2003 წ. გვ. 96

იარაღები იქნებოდნენ გამოყენებული და მინიმუმამდე დავიდოდა სახმელეთო ძალების გამოყენება, ანუ მოხდებოდა მათი ახალი ტექნოლოგიებით ჩანაცვლება.[10] სპაიკმენისა და კენანის მსგავსად მაკინდერიც ინტერესდება შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკური თავისებურებებით და „ჰართლენდის“ სახელით ცნობილ თეორიას ქმნის, რომელმაც ევრაზიული კონტინენტის სახით - მთლიანი პლანეტარული მოწყობის ცენტრი განსაზღვრა. აღნიშნული ტერიტორია კი ხშირად განისაზღვრება როგორც „მსოფლიო კუნძული“. ზემოაღნიშნულის შესაბამისად მსოფლიო დაიყო მთავარ ნაწილად: ევრაზიული სივრცის ცენტრალურ ნაწილად - საყრდენად (ჰართლენდად) ანუ ყოფილ საბჭოთა იმპერიის შემადგენელ ტერიტორიებად; შიდა სარტყლად, რომელიც გარს აკრავს ჰართლენდს და მოიცავს გერმანიას, თურქეთს, ჩინეთს, ინდოეთს. გარე სარტყლად, რომელიც გარს ეკვრის შიდა სარტყელს და ბრიტანეთს, იაპონიას, აფრიკას, ავსტრალიას, ამერიკას მოიცავს. თეორიის მიხედვით, სწორედ ამიტომ სახელმწიფოთა და ერების ისტორიის საკვანძო ფაქტორს, სახმელეთო და საზღვაო სივრცეების თანაკვეთა წარმოადგენს. აღნიშნული ეხება შავი ზღვის რეგიონსაც, რომელიც ჰართლენდისა და შიდა სარტყლის კვეთაზე მდებარეობს.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, განსაკუთრებით კი “ცივი ომის” დროს, რეგიონებისადმი ინტერესი, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის განმასხვავებელი ნიშნები, მერყეობდა და ძირითადად ორიენტირებული იყო რეგიონალიზმზე და რეგიონების წარმოსახვითი თემების კონცეპტუალიზაციაზე.[11] რეგიონალიზმი გაჩნდა, როგორც კონსტრუქტივისტების ფოკუსირება „ახალი მსოფლიო წესრიგის“ შემუშავებაში და დომინირებს რეგიონულ ანალიზში რწმენით, რომ რეგიონული დაჯგუფებები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული საერთო

---

[10] The Real Revolution in Military Affairs - https://www.csis.org/analysis/real-revolution-military-affairs (ბოლოს ნანახია: 07.12.2020)

[11] Cruden, Michaela. "Regional Security Complex Theory: Southeast Asia and the South Pacific." PhD diss., University of Waikato, 2011. P.11.

იდენტობებით, ღირებულებებითა და კულტურებით. მიუხედავად იმისა, რომ ღირებულებებისა და იდეალების საერთოობამ შემდგომ ეტაპებზე შეიძლება ხელი შეუწყოს რეგიონულ თანამშრომლობას და მრავალმხრივი ორგანიზაციების ჩამოყალიბებას, არასკმარისია იმისათვის, რომ სრულად აიხსნას ურთიერთგამომრიცხავი რეგიონების გაჩენა და მათში არსებული დინამიკის ინტენსივობა.[12]

ტერიტორიული საზღვრებისა და ძალაუფლების მქონე მატერიალისტური და რაციონალისტური თვისებები აღიარებული უნდა იყოს, რათა სრულად მოხდეს რეგიონული წარმონაქმნების კონცეპტუალიზება, ურთიერთქმედების სიმკვრივისა და ძალაუფლების შეზღუდული პროექციის გათვალისწინება. შეიძლება ითქვას, რომ სისტემის ყველა სახელმწიფო გარკვეულწილად ჩართულია უსაფრთხოების ურთიერთდამოკიდებულების გლობალურ ქსელში.

რეგიონული უსაფრთხოების კომპლექური თეორიის მიხედვით, რეგიონები ცენტრალურია მსოფლიო პოლიტიკისთვის. ბარი ბუზანმა შეიმუშავა კონცეპტუალური ჩარჩო რეგიონული დონის, როგორც დამოუკიდებელი ქვესისტემის გასაანალიზებლად, რომელიც აერთიანებს განსხვავებულ, დამოუკიდებელ მახასიათებლებს გლობალური დონის ფენომენისგან. ბუზანი გვთავაზობს რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსური თეორიას და ვარაუდობს, რომ ურთიერთგამომრიცხავი რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსების სამყაროში, რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსური თეორია (RSCT) მკვეთრად განასხვავებს რეგიონულ და გლობალურ დონეებს.[13] რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსები არსებობს მთელ საერთაშორისო სისტემაში და ”განსაზღვრულია მეგობრობისა და მტრობის გრძელვადიანი შაბლონებით,

---

[12] ibid

[13] Amitav Acharya, 'The Emerging Regional Architecture of World Politics', World Politics, 59, no. 4 2007, p. 635.

რომლებიც იღებენ უსაფრთხოების ურთიერთდამოკიდებულების სუბგლობალურ, გეოგრაფიულად თანმიმდევრული შაბლონების ფორმას.”

RSCT-ის მეშვეობით ბუზანი ვარაუდობს, რომ გლობალური და რეგიონული დონის გამიჯვნა შეიძლება გამომდინარეობდეს რაღაც უფრო რეალისტური და მატერიალისტურიდან, ვიდრე კონსტრუქტივისტული იდეა წარმოსახვითი პოლიტიკური თემების შესახებ, რომლებიც ერთმანეთთან საერთო იდეალებითა და იდენტობებითაა დაკავშირებული. უპირველეს ყოვლისა, რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსური თეორიის კონცეპტუალიზაცია მოითხოვს რამდენიმე ძირითადი განმარტების გარკვევას; კერძოდ, რას ნიშნავს ტერმინი „რეგიონი“ და ტერმინი „უსაფრთხოება“ (აღნიშნულ საკითხებს ნაშრომის შემდეგ თავებში დეტალურად შევეხებით).

საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინის მთავარი კვლევის ობიექტი მშვიდობისა და ომის პრობლემებია, ამასთანავე, მისი გავლენა მთლიან სამყაროზე. შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე მოვლენების ანალიზი და შეფასება შესაძლებელია, „ძალთა ბალანსის“ თეორიის ფარგლებშიც, რომელიც რეალისტური სკოლიდან მომდინარეობს. თავად „ძალთა ბალანსის“ კონცეფციის რამდენიმე განმსაზღვრელი დეფინიცია არსებობს და მისი შეჯერებული ვერსია არ გვაქვს. ერთი ვერსიით ესაა პოლიტიკური სტაბილურობის საფუძველი, რომელიც წამყვან ქვეყნებს შორის ძალაუფლების გადანაწილების პრინციპს ემყარება, ხოლო ინგლისელ ისტორიკოს არნოლდ ტოინბიზე დაყრდნობით „ძალთა ბალანსი პოლიტიკური დინამიკის სისტემაა, რომელიც თამაშში შედის ყველგან, სადაც საზოგადოება გამოყოფილია რამდენიმე დამოუკიდებელ, ლოკალურ სახელმწიფოდ“. და ბოლოს, შევეხებით ფრანგ საერთაშორისო სამართლის სპეციალისტს გატელს, რომელიც აღნიშნავს, რომ აღნიშნული თეორია ისეთი საერთაშორისო ურთიერთობების სახეა, სადაც არცერთი სახელმწიფო არაა იმდენად ძლიერი, რომ დანარჩენებს თავს მოახვიოს მისი

კანონები. საერთაშორისო სისტემის ყოველი აქტორი ცდილობს გამოიყენოს ძალთა წონასწორობის პრინციპი, რომელსაც იგი კავშირებისა და კოალიციების შექმნის გზით ცდილობს, სწორედ ამგვარი ქმედება, რომელიც შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოების სწრაფვას გულისხმობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში გასაწევრებლად, მიუღებელია რეგიონის ძლიერი აქტორისთვის, რუსეთის ფედერაციისთვის, რომელიც რასაკვირველია საკუთარი ინტერესების შესაბამისად მოქმედებს. კენეთ უოლცის შეხედულებით საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა ანარქიულ სამყაროს წარმოადგენს, სადაც სახელმწიფოები თავად ახდენენ ოპერირებას და თავადვე უზრუნველყოფენ თავიანთ უსაფრთხოებას, ქვეყნებს უწევთ ისეთ გარემოში არსებობა, რომელიც იმართება თვითგადარჩენის პრინციპით, ამიტომაც პატარა სახელმწიფოები ცდილობენ კოალიციებში შესვლას და ამ გზით თავიანთი უსაფრთხოების დაცვას.

ქართველი მეცნიერის ე. ხვიჩიას ახალი მეცნიერული თეორიით - „კვანტურ-რელატივისტური ნოოლოგიით“[14] (რომელიც შექმნილია დ. უზნაძის „განწყობის თეორიის“ ბაზისზე), დადგინდა ერების, როგორც საზოგადოებრივი ერთობის ოთხი ფუნდამენტური ნოოტიპი და მათი ურთიერთგანმასხვავებელი თვისებების კლასიფიკაცია, რომლებიც ერთ მთლიან სისტემას ქმნიან. ისინი განსხვავდებიან თავიანთი მსოფლმხედველობრივი პრინციპებით, აღნიშნული განპირობებულია სხვადასხვა სახელმწიფოს ერთა წარმომადგენელ ინდივიდების იმ განწყობებით, რომლებიც მათი იდენტობების მახასიათებელია. ინდივიდების ერთობლივი მოქმედება, რომელიც იდენტურ პიროვნებათა განწყობების ჯამს (ინტეგრალს) წარმოადგენს, სახელმწიფოთა ქმედებებზეც ისახება, რომელიც ინტერესთა კონფლიქტის ძირითადი მაპროვოცირებელია. მკვლევრის ნაშრომებით დასტურდება, რომ გლობალური თვითრეგულირებადი სისტემა განაპირობებს იმ იმპულსებს,

[14] ხვიჩია, ემზარ. ქართველი ერი და მსოფლიო ცივილიზაცია, გამომცემლობა ნეკერი, თბილისი 2004 წ.

რომელიც სახელმწიფოთა ქმედებებზეც ისახება. ამ თვითრეგულირებად სისტემას სხვადასხვა თვისებრივ ტიპთა ერთა კლასების აქტივობის და პასივობის პერიოდები ახასიათებს, რასაც ავტორი თავის ტერმინს „ცივილიზაციურ ფაზებს“ უწოდებს. სახელმწიფოების იდენტიფიცირება ამ ნიშნით მოგვცემს საშუალებას ობიექტურად შევაფასოთ და რეალურად დავინახოთ გლობალურ კონტექსტში რა გამოწვევების წინაშე დგას რეგიონი.

ზემოთ ჩამოთვლილი თეორიები (ძალთა ბალანსი, ჰართლენდი) კარგად აღწერენ არსებული სიტუაციის მახასიათებლებს, რომელიც არსებობს შავი ზღვის რეგიონში, მაგრამ მათ არ აქვთ აღწერილი გლობალიზებულ მსოფლიოში რეგიონული პოლიტიკის როლი სისტემური თვითრეგულირების პრინციპებთან. ამ ფაქტორების გაუთვალისწინებლობა ბადებს საფუძვლიან ეჭვებს არაეფექტურად მოხდეს თეორიული ნაწილის განხორციელება. სახელმწიფოები მათი ინტერესების შესაბამისად მოქმედებენ, ხოლო არსებული რეალობა ტოვებს იმგვარ განცდას, რომ სახელმწიფოს წარმომადგენელთა ნებელობამდეა დაყვანილი ის ქმედებები, რომელსაც მოცემული თეორიული ჩარჩო სახავს. თანამედროვე მსოფლიო უნდა განვიხილოთ, როგორც გლობალური თვითრეგულირებადი სისტემა, სწორედ ეს უნდა გახდეს ათვლის წერტილი, რომლითაც მიმოიხილება როგორც შავი ზღვის, ასევე კავკასიის რეგიონის მომავალი და სიღრმისეულად გაანალიზდება უსაფრთხოების პროცესები. კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის გამოყენებით თავდაპირველად უნდა მოხდეს სახელმწიფოთა (ისევე როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების), როგორ ერთა ლეგიტიმური, იურიდიული სტატუსის საერთაშორისო ფუნქციების იდენტიფიცირება.

## 1.1. შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკა

სოციალურ მეცნიერებებში არსებობს ტერმინები, რომლებიც მეცნიერულად დაუსაბუთებელია. უნიფიცირებული ტერმინოლოგიების არარსებობის პირობებში კი დაინტერესებული მხარეები საკითხის ინტერპრეტაციას ახდენენ მათი ინტერესებიდან გამომდინარე. შეჯერებული და შეთანხმების საგანი არც ტერმინ „გეოპოლიტიკის“ განმარტებაა, რომელსაც რამდენიმე დეფინიცია აქვს, მაგალითად:

- გეოპოლიტიკა - არის სწავლება სახელმწიფოს, როგორც ისტორიული ორგანიზმის ან სივრცობრივი მოვლენის შესახებ (რუდოლფ კელნენის განმარტება);[15]
- გეოპოლიტიკა - მეცნიერული დისციპლინა, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკაზე, გეოგრაფიული, ეკონომიკური და სხვა ფაქტორების გავლენას სწავლობს;
- გეოპოლიტიკა - „არის მეცნიერება სახელმწიფოს, როგორც გეოგრაფიული ორგანიზმის შესახებ“. (რუდოლფ ჩელენის განმარტება);[16]
- გეოპოლიტიკა - დისციპლინა, რომელიც მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს ეროვნული უსაფრთხოების პერსპექტივებიდან განიხილავს.

დღეისათვის გეოპოლიტიკა შეიძლება განიმარტოს დისციპლინად, რომელიც სწავლობს სახელმწიფოებს და მათ სასიცოცხლო ინტერესებს, რაც განისაზღვრება სხვადასხვა ფაქტორების ერთიანობით, როგორებიცაა: საკომუნიკაციო, გეოგრაფიული, პოლიტიკური, სამხედრო და სხვა.

---

[15] გორგილაძე, ირაკლი. გეოპოლიტიკის საფუძვლები, გამომცემლობა უნივერსალი, 2009 წ. გვ. 10

[16] იქვე. გვ. 16

თანამედროვე პერიოდში შავი ზღვის რეგიონი აქტიური განხილვის საგანია საერთაშორისო ასპარეზზე, რომელიც მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური თავისებურებით ხასიათდება. იგი ევროპის სამხრეთ ნაწილის უმნიშვნელოვანეს მონაკვეთს წარმოადგენს, რომელიც 15 სახელმწიფოს აერთიანებს: მონტენეგრო, სერბეთი, ჩრდ. მაკედონია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, საბერძნეთი, ალბანეთი, ბულგარეთი, თურქეთი, მოლდოვა, რუმინეთი, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთის ფედერაცია და უკრაინა. გეოგრაფიული რელიეფის თვალსაზრისით იგი მოიცავს სხვადასხვა გეოლოგიურ-გეოგრაფიულ წარმონაქმნებს, რომელიც რეგიონს შეიძლება ითქვას, რომ არასტაბილურ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან იგი აერთიანებს მთიან სისტემებს, ვაკეებს, მდინარეების შესართავებს და სხვა.

რეგიონი ანტიკური პერიოდიდან იყო „უკანა ეზო" ამა თუ იმ დომინანტისა, რომელიც ფლობდა მას.[17] შუა საუკუნეებამდე, შავ ზღვაში ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული ბერძნული პოლისები ბატონობდნენ, შემდგომ ასპარეზზე რომისა და ბიზანტიის იმპერიები გამოჩნდნენ, ხოლო ჯვაროსნების ეპოქიდან გენუელი ვაჭრები აკონტროლებდნენ შავი ზღვის აკვატორიას. ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ კი რეგიონი ოსმალეთის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა, რასაც XVIII საუკუნიდან რუსეთის იმპერიის დომინაციის პერიოდი დაერთო. შავი ზღვის აუზი მოიცავს სხვადასხვა რეგიონს, როგორებიცაა:

- უშუალოდ შავიზღვისპირეთი (რუმინეთი, ბულგარეთი, თურქეთი, უკრაინა, მოლდოვა, ნაწილობრივ რუსეთი);
- ბალკანეთი (ჩრდ. მაკედონია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ალბანეთი, სერბეთი და ნაწილობრივ საბერძნეთი);
- კავკასია (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი და რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები);

[17] Aydin, Mustafa. „Europe's New Region: The Black Sea in the Wider Europe Neighbourhood", Southeast European and Black Sea Studies Vol. 5, No. 2, May 2005, pp. 257–283

რეგიონი ცნობილი იყო ძველი ხალხისთვისაც, რომლებიც დასახლებულნი იყვნენ ხმელთაშუაზღვისპირეთის აღმოსავლეთ ნაწილით. აქ ხშირი იყო აგრეთვე ვაჭრობა, რომლის დამადასტურებელი ფინიკიელი ზღვაოსნების სტუმრობებია შავი ზღვის ნაპირებთან. რეგიონი აღწერილი აქვთ ისეთ მეცნიერებს, ისტორიკოსებს და გეოგრაფებს, როგორებიც არიან: ჰეროდოტე, ერატოსთენე, სტრაბონი, არიანე, პტოლემე და სხვა. ზემოჩამოთვლილი ავტორების ინტერესი რეგიონის მიმართ ნათლად ცხადჰყოფს მის მნიშვნელობას ძველი პერიოდიდან, რომელმაც აქტუალურობა არც თანამედროვე დროში დაკარგა, უფრო მეტიც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რეგიონის მიმართ ინტერესი დღეს იმდენადაა გაზრდილი, რამდენადაც ეს გასულ პერიოდში არასოდეს ყოფილა. გეოგრაფიული მნიშვნელობით ასევე უნდა აღინიშნოს, რომ შავი ზღვა დამაკავშირებელი რგოლია ევროპასა და აზიას შორის, რომელიც დიდი დივიდენდების მომტანია იმისათვის, ვინც ფლობს მას და აქვს გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან რეგიონზე კონტროლი. აღნიშნულის ნათელსაყოფად შეგვიძლია მე-19 საუკუნეში მომხდარი ყირიმის ომის პერიპეტიები მიმოვიხილოთ, სადაც ერთმანეთს იმდროინდელი ძლიერი აქტორები დაუპირისპირდნენ (როგორებიც იყვნენ ოსმალეთის იმპერია, დიდი ბრიტანეთი, ცარისტული რუსეთი და საფრანგეთი).

ბოლო საუკუნეების განმავლობაში შავი ზღვის სტრატეგიული გარემო სამი ფაქტორის ურთიერთმიმართებით ყალიბდებოდა: ევროპისა და აზიის იმპერიებს შორის ძალთა ბალანსის ცვლილებებით (1), პატარა სახელმწიფოებისა და ხალხების პოლიტიკური ამბიციებით, რომლებიც უშუალოდ განიცდიან ზემოქმედებას დომინანტისაგან (2) და ბოლოს რეგიონის სტატუსი, როგორც სასაქონლო სატრანზიტო პუნქტი გლობალურ აღმოსავლეთი-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის მარშრუტებზე

(3).[18] მკვლევართა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ეს ის ფაქტორებია, რომლებიც განაპირობებენ სხვადასხვა სახელმწიფოების ინტერესების თანხვედრას რეგიონში.

გეოგრაფიული და პოლიტიკური თავისებურებების გარდა, შავი ზღვის რეგიონი შეიძლება დაიყოს სამ ძირითად გეოპოლიტიკურ ზონად, რომლითაც მისი მნიშვნელობისა და გავლენის განსაზღვრა უნდა მოხდეს.

1) შავი ზღვის რეგიონის ცენტრალური ზონა - მასში შედიან უშუალოდ ის სახელმწიფოები, რომლებსაც გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე გააჩნიათ გასასვლელი შავ ზღვაზე, ხოლო პოლიტიკური თვალთახედვით ეს ქვეყნები ქმნიან პოლიტიკურ კლიმატს აღნიშნულ რეგიონში. ეს სახელმწიფოებია: რუმინეთი, უკრაინა, ბულგარეთი, საქართველო, რუსეთის ფედერაცია და თურქეთი.

2) შავი ზღვის რეგიონის შიდა საფლანგო ზონა - ამ ზონაში გაერთიანებულ სახელმწიფოებს არ გააჩნიათ უშუალო გასასვლელი შავ ზღვაზე, თუმცა ისინი სხვადასხვა საშუალებებით დაკავშირებულნი არიან მასთან, პოლიტიკურ-ეკონომიკური, საკომუნიკაციო, ბუნებრივი გეოგრაფიული დისპოზიცია, აქტიური პოლიტიკის წარმოება რეგიონულ ჭრილში.

3) შავი ზღვის გარე საფლანგო ზონა - ამ ზონაში ერთიანდებიან ქვეყნები, რომლებიც რეგიონის გარეთ მდებარეობენ, მაგრამ მასში მომხდარი მოვლენები იწვევენ მათ დაინტერესებას გლობალური, ეკონომიკური, უსაფრთხოების თუ სხვა ინტერესებიდან გამომდინარე.[19]

---

[18] King, Charles. "The Wider Black Sea Region in the Twenty-First Century": Strategic, Economic and Energy Perspectives (Washington, D.C.: Center for Transatlantic Relations, 2008) p. 5

[19] გაბელია, ირაკლი. „ნატოს სტრატეგია შავი ზღვის რეგიონალური უსაფრთხოების კონტექსტში", სამაგისტრო ნაშრომი, 2019 წ. გვ. 11-12

1768-1774 წელს რუსეთ-თურქეთის ომის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შავი ზღვის რეგიონში უპირატესობის მოპოვება გახლდათ, რასაც თან რუსეთში გაბატონებული კლასების ინტერესები ერთვოდა, რომელთაც შავ ზღვაზე ბატონობა სურდათ, რამაც შედეგი გამოიღო და ეკატერინე II-მ (1729-1796) ზღვაზე გასასვლელი მიიღო რუსული ხომალდებისათვის, მაგრამ რუსეთი 1770-იან წლებამდეც იყო ჩართული შავი ზღვის რეგიონში, რომელიც ისტორიული ფაქტებით დასტურდება რუსეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის მე-16 საუკუნეში, ივანე IV-ის (მრისხანე) დროს. ეკატერინემ ზღვა არა მხოლოდ რუსულ კომერციულ ტბად აქცია, არამედ მან და მისმა მემკვიდრეებმა გააძლიერეს თავიანთი კავშირები ქვეყნის შიდა რეგიონულ სახელმწიფოებთან. 1801 წელს რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია მოახდინა - რომელიც იმდროინდელი საქართველოს დიდ ნაწილს წარმოადგენდა. 1812 წელს, შემდგომმა ტერიტორიულმა მიერთებამ რუსეთს საშუალება მისცა ეკონტროლებინა სანაპირო ზოლი დუნაიდან, ჩრდილოეთით და კავკასიის სანაპიროსკენ. პეტრე დიდმა (1672-1725) სამხედრო ლაშქრობები დაიწყო შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე, აგრეთვე კასპიის დასავლეთ სანაპიროს გასწვრივ. ამასთან, 1770-იანი წლებისთვის რუსეთის მისწრაფება რეგიონში ორ მკაფიო სტრატეგიულ მიზანს ისახავდა: ზღვის გახსნას ევროპული ვაჭრობისთვის (1), რომელიც გაკონტროლდებოდა რუსეთის სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად (აღნიშნული გულისხმობდა ვაჭრობის წახალისებას შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე და ქალაქების დაარსებას, როგორებიცაა ოდესა და ხერსონი, შეიქმნა გაცვლითი პუნქტები, სადაც ევროპელი და რუსი ვაჭრები, ჩინოვნიკები, გლეხები და მომთაბარეები ურთიერთდამოკიდებულნი იყვნენ); ოტომანთა სულთნის გადაყენებას და რუსი პრინცის დასმას (2).[20]

1997 წლის აპრილში აშშ-ის პრეზიდენტ ბილ კლინტონის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული კონცეფცია - „აბრეშუმის გზის

[20] Hamilton, Daniel and Mangott, Gerhard (eds.), The Wider Black Sea Region in the 21st Century: Strategic, Economic and Energy Perspectives (Washington, D.C.: Center for Transatlantic Relations, 2008) p. 6

სტრატეგია 97-ის“ პარალელურად (აღნიშნული კასპიისპირა რესურსების გლობალურ ათვისებას ეხებოდა) რეგიონის მიმართ ინტერესი ასევე იაპონიის მთავრობამაც გამოხატა, რომელმაც საგარეო პოლიტიკური დოქტრინა - „ევრაზიული დიპლომატია“ შექმნა, ორივე დოკუმენტით დასტურდებოდა აშშ-სა და იაპონიის ინტერესები რეგიონში, რომელსაც რამდენიმე წელიწადში 1999 წლის 23-24 აპრილს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ ვაშინგტონის მინისტერიალზე მიღებული ახალი სტრატეგიული კონცეფციაც დაერთო.

რეგიონში ბევრი „გაყინული კონფლიქტია“, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა, რასაც თან რუსეთის მიერ სტრატეგიულ იარაღად ენერგორესურსების გამოყენება დაერთო. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით შავი ზღვის რეგიონი „უსაფრთხოების კომპლექსს“[21] წარმოადგენს, რომელიც ინტერესთა კვეთაშია როგორც რეგიონულ, ასევე საერთაშორისო სახელმწიფოებთან, რომელსაც ემატება საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიცაა: ნატო, ევროკავშირი და სხვა.

შავი ზღვის რეგიონზე, და ზოგადად რეგიონზე საუბრისას მნიშვნელოვანია დაზუსტდეს თუ რას ნიშნავს ტერმინი „რეგიონი“, რომლის განმარტება უნდა შეიცავდეს გეოგრაფიულ, იმავე რეგიონში მდებარე სახელმწიფოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ასპექტებსაც. რეგიონის იდენტიფიცირების მიზნით ბევრი ანალიტიკოსი ხაზს უსვამს შემდეგ კრიტერიუმებს:

- სახელმწიფოთა აღქმას, რომ ისინი რეგიონს წარმოადგენენ;
- სახელმწიფოთა გეოგრაფიული სიახლოვეს;
- გლობალურ სისტემაში ავტონომიურობისა და გამორჩეულობის ხარისხს;

[21] Kayser, Sümer, and Navy Captain. "Geopolitics of the Black Sea." Maritime security center of excellence. Accessed May 11 2021.

- რეგულარულ და ინტენსიურ ურთიერთქმედებას და მათ შორის დიალოგის პროცესს (ურთიერთდამოკიდებულება);

- პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მსგავსების მაღალ დონეს.[22]

რეგიონი ასევე შესაძლებელია განიმარტოს, როგორც ქვეყნების ერთობლიობა, რომლებიც პოლიტიკურად ურთიერთდამოკიდებულნი არიან ერთმანეთთან. კონსტრუქტივისტული თეორიები რეგიონებს აღიქვამენ, როგორც სოციალურად შექმნილ ერთეულებს, რომლებსაც თავიანთი მნიშვნელობა აქვთ.

ზემოჩამოთვლილი მოცემულობებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შავი ზღვა გეოგრაფიულად მნიშვნელოვან არეალში მდებარეობს და იგი აერთიანებს სამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ელემენტს, ესენია: ბალკანეთი, კავკასია და კასპიის ზღვის აუზი. ამის გათვალისწინებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტაბილურობასა და მშვიდობას რეგიონში. ამ კუთხით მნიშვნელოვანია აღინიშნოს ქართველი ფილოსოფოსისა და ისტორიკოსის ჯანრი კაშიას მოსაზრება შავი ზღვის აუზის გეოპოლიტიკური რაობის შესახებ კავკასიასა და საქართველოსთან მიმართებით, სადაც იგი აღნიშნავს, რომ: „საქართველოსათვის შავი ზღვა არ შედიოდა საარსებო სივრცის განმსაზღვრელ ფაქტორთა შორის და ამიტომაც მოხდა, რომ მისი ათვისება მოახდინეს არა შავიზღვისპირა ხალხებმა, არამედ ბოსფორსიქითა ხალხებმა (თურქები, ბერძნები) და ჩრდილოეთიდან ჩამოღწეულ რუსთა მიერ (ჯერ ვარიაგ რუსთა და შემდეგ რუსეთის იმპერიის მიერ). ქართული გეოპოლიტიკა შავი ზღვის სანაპიროზე მთავრდებოდა ისევე, როგორც ჩრდილო-კავკასიისა - კავკასიონის კედელზე“.

---

22 ŞENOL, Özkan. „Cooperative Security in the Black Sea Region“, The Department of International Relations Bilkent University, Ankara 2003

## 1.2. შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება: კლასიფიკაცია და სამომავლო პროექციები

21-ე საუკუნეში დაწყებული სოციალური და პოლიტიკური გარდაქმნების სივრცულმა და გეოგრაფიულმა რეალობამ აქტუალური გახადა სივრცის სისტემური მოდელირების საკითხი, ამავე პერიოდში დაიწყო პოლიტიკური განვითარება და სახელმწიფოს ახლებური ფორმირება. მე-20 საუკუნეში კონტინენტური იმპერიების დაშლის პარალელურად ახალი რეალობის წინაშე აღმოჩენილმა სახელმწიფოებმა რთული ფორმირების პროცესები განვლეს. გეოპოლიტიკური მდგომარეობის ცვალებადმა ხასიათმა ასახვა თითქმის ყველა სფეროში ჰპოვა, თუმცა, დღესაც თანამედროვე გეოპოლიტიკური პროცესები რადიკალური ცვლილებების აუცილებლობაზე მეტყველებენ.[23]

შავი ზღვის რეგიონი აერთიანებს ხალხებს და დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, რომლებიც ევროპისა და ევრაზიის გზაჯვარედინზე მდებარეობენ. ასევე აღმოსავლურ გეოპოლიტიკურ სივრცეებს: ისინი ქმნიან ერების თანაარსებობის, კონვერგენციისა და შეჯახების არეალს, რომელიც ისტორიულად არსებობდა და საერთაშორისო აქტორთა შორის ინტერესთა გადაკვეთის სივრცეს წარმოადგენდა.

გეოპოლიტიკური დისკუსიის მხოლოდ შავი ზღვით შეზღუდვა უგულებელყოფს რეგიონის უფრო დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას. რუსეთი და თურქეთი, როგორც ორი ძირითადი აქტორია შავი ზღვის რეგიონში, განსხვავებული ინტერესებით პრეზენტირდებიან. რუსეთის პერსპექტივიდან, შავ-კასპიის ზღვის რეგიონი პლაცდარმია ხმელთაშუა ზღვაში, ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ აფრიკასა და სამხრეთ ევროპაში ძალაუფლებისა და გავლენისთვის. ამდენად, შავი ზღვა

---

[23] Doroshko M Tsyrfa I. - Baltic – Black Sea Area as a Geopolitical Reality: Does It Exist? - http://repozytorium.amu.edu.pl:8080/bitstream/10593/26235/1/07a-Doroshko_Tsyrfa.pdf, P.108 (ბოლოს ნანახია 11.09.2021)

ცენტრი და მისასვლელი წერტილია უსაფრთხოების პოლიტიკის მნიშვნელოვანი გამოწვევების მქონე საკვანძო ტერიტორიებზე (სირია, ირანი, ერაყი, ლიბია), ასევე მნიშვნელოვან ენერგეტიკულ რესურსებზე (შუა აღმოსავლეთი, კასპიის რეგიონი და ჩრდილოეთ აფრიკა). თურქეთის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული მიზანია გახდეს გაზისა და ნავთობის ენერგეტიკული ცენტრი აზერბაიჯანიდან, ირანიდან, ერაყიდან საშუალოვადიან პერსპექტივაში, ასევე ცენტრალური აზიიდან ევროპაში. ანკარა საკუთარ თავს აღიქვამს ვაჭრობის ხიდად ცენტრალურ აზიას, კასპიის რეგიონსა და ახლო აღმოსავლეთს შორის.[24]

რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებს 500 წლიანი ისტორია აქვს, რომელიც სათავეს მოსკოვის სამთავროსა და ოსმალეთის იმპერიიდან იღებს. ოსმალეთის იმპერია მე-15 და მე-16 საუკუნეებში დომინირებდა შავი ზღვის რეგიონში, მაგრამ XVII საუკუნიდან რუსებმა კონტროლი დაამყარეს მასზე. მე-18 საუკუნიდან მე-20 საუკუნემდე შავი ზღვის რეგიონი უწყვეტი მეტოქეობის არეალი იყო ოსმალებსა და რუსებს შორის. მე-18 საუკუნეში მათ არაერთი ბრძოლა ჰქონდათ დომინაციისთვის, რადგან ორივეს სურდა გაეკონტროლებინა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები. ხოლო მათ შორის გრძელვადიანი კონკურენცია 1936 წლის მონტროს კონვენციის მიღებით დასრულდა.[25]

მიჩნეულია, რომ თანამედროვე რუსულ-თურქული ურთიერთობები 1920-იანი და 1930-იანი წლებში დაიწყო. 1925 წელს მხარეებს შორის ნეიტრალიტეტისა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულება დაიდო, რომელიც 1945 წლამდე დარჩა ძალაში.

---

[24] Strategic sovereignty in the EU's Southeastern neighborhood: The Black Sea as part of a larger geopolitical region - https://ge.boell.org/en/2021/01/28/strategic-sovereignty-eus-southeastern-neighborhood-black-sea-part-larger-geopolitical, 28 January 2021 (ბოლოს ნანახია 18.12.2021)

[25] Kafkasya Calışmaları - Sosyal Bilimler Dergisi / Journal of Caucasian Studies Mayıs 2020 / May 2020, Yıl / Vol. 5, № 10. p. 240-241

თურქეთის ნატოში გაწევრიანებამ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების ხელახალი დაძაბულობა გამოიწვია. ენერგეტიკული თანამშრომლობის ხელშეკრულებების გაფორმებამ 80-იან წლებში ორი ქვეყანა კვლავ დააახლოვა. მოკლედ, რუსულ-თურქული ურთიერთობები ყოველთვის ავლენდა მერყევ იმპულსს.[26]

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ვითარება შეიცვალა, დროის სვლასთან ერთად სახელმწიფოები ერთმანეთის მოკავშირე სუბიექტები გახდნენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პანდემიამ და მისგან გამოწვეულმა ეკონომიკურმა პროცესებმა ორივე სახელმწიფოზე ცუდად იმოქმედა, რაც პირველ რიგში ეკონომიკურ მაჩვენებლებზე აისახა. ვლადიმერ პუტინი ყოველწლიურ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე, 2020 წელს, ამტკიცებდა, რომ რუსეთის ეკონომიკა არც თუ ისე ცუდად მუშაობდა და მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) მხოლოდ 3.1%-ით შემცირდა.[27]

ასევე თურქეთის პრეზიდენტი ცდილობდა დაეფარა ის უსიამოვნებები, რომელიც ქვეყანას პანდემიურმა მოვლენებმა მოუტანა. სტაბილურობის შენარჩუნება ანკარაში, ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანი გახლდათ, სწორედ ამიტომ ისედაც მძიმე დღის წესრიგს 2020 წლის დეკემბრის ბრიუსელის სამიტზე თურქეთის საკითხი დაემატა.

რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები კონკურენტული თანამშრომლობით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ ორ ქვეყანას ინტერესები აქვთ ბალკანეთში, კავკასიაში, ცენტრალურ აზიასა და

[26] იქვე.

[27] Росстат представляет первую оценку ВВП за 2020 год - https://rosstat.gov.ru/folder/313/document/113015 (ბოლოს ნანახია 14.07.2021)

MENA-ს[28] რეგიონში, მათ შეძლეს თანამშრომლობის გზების პოვნა ვაჭრობასა და ეკონომიკაში.

თურქეთის მიერ 2015 წლის დეკემბერში თურქეთ-სირიის საზღვარზე რუსული სუ-24-ის ჩამოგდება ურთიერთობის ერთ-ერთი დაღმავალი წერტილი აღმოჩნდა. თუმცა, 2016 წელს ორ ქვეყანას შორის დაახლოების პროცესი დაიწყო, რამაც თურქეთის მიერ S-400 საჰაერო თავდაცვის სისტემების შეძენა გამოიწვია, რუსეთი ხელს არ უშლის თურქეთის შეჭრას ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიის რაიონებში, რომლებსაც ადრე აკონტროლებდა. დაახლოების პროცესშიც თურქეთი და რუსეთი კონფლიქტის საპირისპირო მხარეს იყვნენ სირიაში, ლიბიასა და სამხრეთ კავკასიაში. თუმცა, ქვეყნებმა შეძლეს ხელუხლებლად შეენარჩუნებინათ ახლად წარმოქმნილი ურთიერთობა პრეზიდენტ ერდოღანსა და პუტინს შორის მჭიდრო პირადი ურთიერთობის გამო. გასაკვირი არ არის, რომ ამ მოვლენებმა დიდი შეშფოთება გამოიწვია ნატოს მოკავშირეებში და შეერთებულმა შტატებმა CAATSA[29] სანქციები დაუწესა თურქეთს S-400 სისტემების შეძენის გამო და იგი F-35-ის პროგრამიდან ამოიღო.[30]

დღესაც, რუსეთისა და თურქეთის პირველი პირები ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავებაზე საუბრობენ. გადაწყვეტილება ამის შესახებ 2022 წლის პირველი სატელეფონო კომუნიკაციის დროს მიიღეს. რუსეთის პრეზიდენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ვკითხულობთ, რომ პრეზიდენტებმა შეაჯამეს ორმხრივი თანამშრომლობის ძირითადი შედეგები და დაადასტურეს თავიანთი ვალდებულება რუსეთსა და თურქეთს შორის ორმხრივად მომგებიანი

---

[28] The Middle East and North Africa - ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა

[29] Countering America's Adversaries Through Sanctions Act - ამერიკის მოწინააღმდეგეების წინააღმდეგ სანქციების აქტი

[30] Turkey-Russia Relations: Between Competition and Cooperation - https://www.gmfus.org/event/turkey-russia-relations-between-competition-and-cooperation November 23, 2021 (ბოლოს ნანახია 05.02.2022)

პარტნიორობის შემდგომი გააქტიურების შესახებ. ასევე საუბარი შეეხო საერთაშორისო საკითხებსაც.[31]

რუსეთისა და თურქეთის ახლო ურთიერთობები შეშფოთების საგანია დასავლეთში, რადგან შესაძლებელია, რომ ამ ორი ქვეყნის კოლაბორაციამ მათთვის სავალალო შედეგები მოიტანოს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის რესპუბლიკა უკვე წლებია შორდება დასავლურ ორბიტას და ცდილობს საკუთარი ინტერესების დაცვის მოტივით იმოქმედოს, რომელიც პირველ რიგში რეგიონში სტაბილურობას და რუსეთთან ჰარმონიულ დამოკიდებულებას გულისხმობს.

შავი ზღვის რეგიონში არსებული მეტოქეობა და კონფლიქტი დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო სისტემაზე, როგორც მთლიანზე. ეს არის ტერიტორია მნიშვნელოვანი წყალგამტარი გზით, რომელიც აკავშირებს ზღვისპირა ქვეყნებსა და მიდამოებს გლობალურ ეკონომიკურ სივრცესთან. როგორც უკვე აღინიშნა შავი ზღვა წარმოადგენს გზაჯვარედინს ევროპის, აზიისა და ახლო აღმოსავლეთისთვის. წლების განმავლობაში რეგიონი ევროპისკენ ენერგორესურსის გადაადგილების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არეალი გახდა, რამაც ცხადია რეგიონული და გლობალური ძალების მხრიდან დიდი მოთამაშეების ინტერესთა კვეთა გამოიწვია გავლენის ზერკეტების მოსაპოვებლად. საერთაშორისო და "გაყინული" კონფლიქტები შეთანხმების მიღწევის პროცესს მკვეთრად ართულებს. რუსეთის ფედერაციამ 1991 წელს მოლდოვის დნესტრისპირეთის, 2008 წელს კი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპაცია მოახდინა, რასაც 2014 წელს ყირიმისა და დონბასის ნაწილების ანექსიაც დაურთო (სურათი №4).

[31] Телефонный разговор с Президентом Турции Реджепом Тайипом Эрдоганом - http://kremlin.ru/events/president/news/67549 2 января 2022 года (ბოლოს ნანახია 04.04.2022)




სურათი №4. შავი ზღვის რეგიონი (წყარო: The Heritage Foundation)[32]

ზემოჩამოთვლილი ინტერვენციები კრემლმა გამოიყენა რუსეთის სამხედრო ნაწილების გასაძლიერებლად შავი ზღვის გასწვრივ, განსაკუთრებით ყირიმში, რომელიც უკანონო ოკუპაციის შემდეგ მასიურად მილიტარიზებულია.

რუსეთის შავი ზღვის პორტები, რომელიც მისთვის ერთადერთი თბილი წყლის პორტებია, მუდამ ემსახურებოდა რუსეთის ეკონომიკურ ინტერესებს. მაგალითისათვის, პირველ მსოფლიო ომამდე, მთელი რუსული ექსპორტის 50% და რუსული სოფლის მეურნეობის ექსპორტის 90% შავი ზღვიდან ბოსფორის გავლით გადიოდა. დღეს ნავთობის ტანკერი გადის ბოსფორზე, ტოვებს შავ ზღვას ყოველ 15 წუთში, რუსული ნავთობის ან ყაზახური ნავთობის გადაზიდვით (ეს

[32] Coffey, Luke, and Daniel Kochis. "NATO Summit 2021: Black Sea Strategy Needed." - https://www.heritage.org/europe/report/nato-summit-2021-black-sea-strategy-needed (ბოლოს ნანახია 09.11.2021)

უკანასკნელი, რა თქმა უნდა, გადის რუსეთში, რათა მოსკოვმა ტრანზიტის საფასური აიღოს).[33]

დასავლური საზოგადოების მხრიდან აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ სანქციები შემუშავდა, რომელმაც რუსეთი დააზარალა და ამის საპირისპიროდ იძულებული გახადა საპასუხო ზომები მიეღო. ეკონომიკური და უსაფრთხოების გადაუჭრელი თავსატეხი მხოლოდ ამწვავებს რეგიონის ფრაგმენტაციას, რომელიც გამოხატულია რეგიონის სახელმწიფოთა მისწრაფებებში გაწევრიანდნენ ნატოს სამხედრო ბლოკში. ამგვარი მისწრაფებები რუსეთის ფედერაციისთვის მიუღებელ სცენარად აღიქმება, რასაც მიმდინარე კონფლიქტების ჩიხური მდგომარეობა ადასტურებს. ნატოს არაწევრ ორ სახელმწიფოს უკრაინასა და საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების გრძელვადიანი პერსპექტივები გააჩნია, თუმცა მათი ორიენტირი ნატოსთან კავშირების გაღრმავებაზე კონცენტრირდება. ეს მოცემულობა შესაძლებელია აიხსნას იმით, რომ ორივე მათგანს უწევს რუსულ აგრესიასთან გამკლავება და სამთავრობო დონეზე იზიარებს ნატოს ძირითად ფასეულობებს.

ნატომ უელსის, ვარშავისა და ბრიუსელის სამიტების (2014-18) შემდეგ გააძლიერა სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო თავდაცვის კომპონენტები, რომელიც გამოიხატა რუმინეთში მრავალეროვნული სასწავლო ბრიგადის დაარსებით, საჰაერო პოლიციის ერთობლივი მისიების შექმნით რუმინეთსა და ბულგარეთში საჰაერო სივრცის დასაფარად და ნატოს საზღვაო წვრთნებისა და გემების როტაციის გაზრდით.

ნატოს წევრი სახელმწიფო რუმინეთი პირველი ქვეყანა გახდა, რომელმაც შავი ზღვის რეგიონში „პატრიოტის“ საჰაერო სარაკეტო

[33] იქვე.

სისტემა მიიღო. ის ასევე ახორციელებს ნატოს ძალების რეგულარულ როტაციულ განლაგებას. 2021 წლის 19-დან 29 მარტამდე რუმინეთმა მოაწყო ნატოს მრავალეროვნული წვრთნები.

ზემოაღნიშნულის პარალელურად კრემლი ახორციელებს შავი ზღვის ფლოტის მოდერნიზებას და ყირიმში სამხედრო შესაძლებლობებს აძლიერებს, რითაც ნატოს და მის წევრ თურქეთს იწვევს. სამხედრო გაძლიერების მიზანი შავი ზღვის შიგა წყლის გზად (internal waterway) გადაქცევაა, რასაც როგორც რეგიონული, ასევე საერთაშორისო საზოგადოება ეწინააღმდეგება.[34] შავი ზღვის ფლოტი წარმოადგენს მნიშვნელოვან ხაზს სამხედრო მოქმედებებისთვის სირიასა და ლიბიაში. მოსკოვს სურს, თავიდან აიცილოს პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები, როგორიცაა უკრაინა და საქართველო, გახდნენ ნატოსა და ევროკავშირის წევრები. ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები, როგორიცაა მაგალითისათვის 2021 წლის აპრილში ჩატარებული ღონისძიებები. მოსკოვის გაძლიერებული აქტივობის კიდევ ერთი ელემენტი 100 000-ზე მეტი რუსი ჯარისკაცის უკრაინის აღმოსავლეთ საზღვართან და ანექსირებული ყირიმის გასწვრივ განლაგებაა, აპრილის წვრთნებმა გააჩინა შიში, რომ რუსეთი გეგმავდა ახალ შეტევას დონბასში.

რუსეთის ფედერაციის აღნიშნულ ქმედებას მწვავე რეაქცია მოყვა დასავლური საზოგადოების მხრიდან, რომლებმაც დაგმეს მსგავსი ქმედება და მოუწოდეს რუსეთს პატივი სცეს უკრაინის სახელმწიფო სუვერენიტეტს ნუ ეცდება პროვოკაციული მეთოდებით სამხედრო კამპანიის წამოწყებას. აღნიშნულის ნათელსაყოფად მხარეები აქტიურ, მაღალი დონის დიპლომატიურ შეხვედრებს მართავენ, სადაც ძირითადად მოლაპარაკებები მიმდინარეობს იმაზე, თუ როგორ

[34] ARMONAITETHE A., BLACK SEA REGION: ECONOMIC AND GEO-POLITICAL TENSIONS - https://cutt.ly/2Mz3dOd NATO PARLIAMENTARY ASSEMBLY, 20 November 2020. p.2. (ბოლოს ნანახია 11.10.2021)

შეიძლება დარეგულირდეს ვითარება როგორც შავი ზღვის, ასევე უკრაინის თემატიკაზე.

2021 წლის 30 დეკემბერს სატელეფონო საუბარი შედგა ამერიკის პრეზიდენტ ჯო ბაიდენსა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შორის, სადაც მხარეებმა უკრაინაში მიმდინარე საკითხი განიხილეს. სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით ვრცელდება ინფორმაცია, რომ პრეზიდენტმა ბაიდენმა გააფრთხილა ვლადიმერ პუტინი, რომ რუსეთის აგრესიული სამხედრო ძალების გაძლიერებამ უკრაინის საზღვარზე შეიძლება აიძულოს ნატო, შედარებით დიდი ოდენობის სამხედრო რესურსები მოაბილიზოს აღმოსავლეთ ევროპაში.[35]

გავრცელებული ინფორმაციით, ვლადიმერ პუტინის მრჩეველმა საგარეო პოლიტიკის საკითხებში, იური უშაკოვმა, განაცხადა, რომ აშშ-ს მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულმა „უპრეცედენტო სანქციებმა“ შესაძლოა მხარეებს შორის „ურთიერთობების სრული გაწყვეტა“ გამოიწვიოს და მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანოს მიმდინარე პროცესებში.[36]

თუმცა, პრეზიდენტებმა გამოთქვეს იმედი, რომ მაღალი რანგის შეხვედრებმა „სტრატეგიული სტაბილურობის მოლაპარაკებები“ ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის, რომელიც იანვარში უნდა გაიმართოს, შესაძლოა კრიზისის დაძლევას დაუდოს სათავე.

უკრაინის ჯარებსა და რუსეთის მიერ მხარდაჭერილ ძალებს შორის ფრონტის ხაზის დათვალიერების შემდეგ, ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ხოსეპ ბორელმა პირობა დადო, რომ

---

[35] Biden-Putin call ushers in new phase of diplomacy - https://www.politico.com/news/2021/12/30/biden-putin-call-526280, 30/12/2021 (ბოლოს ნანახია 10.01.2022)

[36] იქვე

„ნებისმიერი სამხედრო აგრესია უკრაინის წინააღმდეგ მძიმე შედეგების მომტანი იქნება მოსკოვისთვის“.[37]

კრემლი დაჟინებით ამტკიცებს, რომ დასავლეთი და ნატო სახიფათოდ უახლოვდებიან რუსეთის საზღვრებს. 2021 წლის დეკემბრის დასაწყისში, მოსკოვმა წარმოადგინა დასავლეთის მიმართ მოთხოვნები და თქვა, რომ ნატო არ უნდა გაფართოვდეს და შეერთებულ შტატებს აეკრძალოს ახალი ბაზების შექმნა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში.[38]

როგორც აღინიშნა, მოლაპარაკებები გაგრძელდებოდა და მხარეები ისაუბრებდნენ საკითხის დარეგულირების გზებზე. 2022 წლის 10 იანვრიდან, რუსეთისა და შეერთებული შტატების ოფიციალურმა პირებმა ჟენევაში უსაფრთხოების მოლაპარაკებები გამართეს და ევროპაში დიპლომატიური საქმიანობის ერთკვირიანი აქტივობა გამართეს, რომელიც მიზნად უკრაინაში არსებული დაძაბულობის განმუხტვას ისახავდა.[39] ერთმანეთის პირისპირ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგეი რიაბკოვი და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ვენდი შერმანი წარდგნენ. შეხვედრის დაწყება მხარეებმა ხელის ჩამორთმევის გარეშე არჩიეს, რომელიც მიმდინარე პანდემიური მოვლენებით ახსნეს. მოლაპარაკებები 7 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, რომლის დასრულების შემდეგ რუსმა დიპლომატმა ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა და მოსკოვის პოზიციები განმარტა: “მიმდინარე მოლაპარაკებები რთული, ხანგრძლივი, პროფესიონალური, ღრმა და კონკრეტული იყო, საკითხის შელამაზების, გვერდის ავლის მცდელობების გარეშე. შთაბეჭდილება

[37] Biden talks tough on Putin, but European allies are less ready for a fight - https://www.politico.com/news/2022/01/06/biden-russia-sanctions-european-allies-526606, 01/06/2022 (ბოლოს ნანახია 10.01.2022)

[38] Biden and Putin to talk on Europe's security and Ukraine before possible January meeting - https://www.euronews.com/2021/12/29/biden-and-putin-to-talk-this-week-on-europe-s-security-and-ukraine-before-possible-january, 29/12/2021 (ბოლოს ნანახია 12.01.2022)

[39] US, Russian officials meet in Geneva as Ukraine tensions mount - https://www.aljazeera.com/news/2022/1/10/us-russia-security-talks-over-ukraine-get-underway-in-geneva, 10 Jan 2022 (ბოლოს ნანახია 25.01.2022)

დაგვრჩა, რომ ამერიკული მხარე სერიოზულად მიუდგა ჩვენს შეთავაზებებს და სიღრმისეულად შეისწავლა ისინი. დეტალურად წარმოვადგინეთ ჩვენი შეთავაზებების ლოგიკა და შინაარსობრივი ნაწილი. განვმარტეთ, რატომ არის აბსოლუტური იმპერატივი ნატოს არ გაფართოების იურიდიული გარანტიების მიღება, რატომ არის ჩვენთვის აუცილებელი რუსეთის საზღვრებთან ისეთი დარტყმითი საშუალებების არ განთავსების იურიდიული გარანტიების მიღება, რომლებსაც შეუძლიათ ჩვენს ტერიტორიაზე სამიზნეების განადგურება. რასაკვირველია ჩვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა ამერიკული მხარიდან წამოსული პრეტენზიები, რომელიც რუსული საჯარისო ნაწილების მობილიზებას ეხებოდა უკრაინის ტერიტორიის გასწვრივ. განვმარტეთ, რომ უკრაინაზე თავდასხმის არანაირი გეგმები არ გვაქვს და ვერც გვექნება, ხოლო სამხედრო ძალების მობილიზება ხორციელდება ჩვენი ეროვნული ტერიტორიების ფარგლებში”.[40]

2020 წლის 10 იანვარს დაწყებული მოლაპარაკებები ჟენევის შემდეგ ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში გაგრძელდა. ნატო-რუსეთის საბჭოს ფორმატში გამართულ შეხვედრაზე მოსკოვმა რამდენიმე მნიშვნელოვანი გზავნილი მიიღო, ალიანსი არ აპირებს ღია კარის პოლიტიკისა და ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებების გადახედვას, რომელიც თავის მიმართვაში ალიანსის გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა გააჟღერა.[41] შეხვედრას ნატოს ყველა წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელი ესწრებოდა, რუსეთის მხარეს კი თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები წარმოადგენდნენ. მოლაპარაკებების შემდგომ მედიასთან გაკეთდა კომენტარი, სადაც ორივე მხარემ თავიანთი პოზიციები განმარტა,

[40] ამერიკა-რუსეთის მოლაპარაკებები ჟენევაში - https://www.youtube.com/watch?v=fkikK0NEx1Y, Jan 10, 2022 (ბოლოს ნანახია 27.01.2022)

[41] Press conference (by NATO Secretary General Jens Stoltenberg following the meeting of the NATO-Russia Council) - https://www.nato.int/cps/en/natohq/opinions_190666.htm, 12 Jan. 2022 (ბოლოს ნანახია 27.01.2022)

რომელშიც კვლავ შეუთანხმებლობა და ურთიერთბრალდებები ჭარბობდა. ალექსანდრე გრუშკომ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ბრიუსელში გამართული მოლაპარაკებების შემდეგ განაცხადა, რომ: „ჩვენი ნატოელი პარტნიორები დღეს თავს გვაჩვენებდნენ, რომ თითქოს ძალიან ნაწყენები არიან, რომ რუსეთის ფედერაციას ეჭვი შეაქვს ალიანსის მშვიდობიან დანიშნულებაში. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ნატო მშვიდობისმოყვარეა, ხოლო რუსეთის ისტორია დაკავშირებულია ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე კონფლიქტების გაღვივებასთან. ამ საუბრებს სერიოზულად ვერ აღვიქვამთ, რადგან რეალურად თუ ნატოს ისტორიას გადავხედავთ, მე-5 მუხლის გამოყენება მხოლოდ ერთხელ, 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ მოხდა. ხოლო ალიანსის დანარჩენი ისტორია, მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვითი ალიანსია დაკავშირებულია ომებთან, ინტერვენციებთან და თავისი კვალი დატოვა, რომელიც გამოხატულია გაღატაკებულ ქვეყნებსა და მილიონობით ლტოლვილ ადამიანში. ეს არის სივრცე, რომელიც დღეს დაკავებული აქვთ ტერორისტებს და ესაა რეალობა, რომელშიც გვიწევს ცხოვრება, ჩვენ ასევე მივუთითეთ, რომ რუსეთის ისტორია განსხვავებულია და ეს გამოხატული იყო ომების გაჩერებაში. მათ შორის სამოქალაქო ომის აღკვეთა ტაჯიკეთში, აფხაზეთში, დნესტრისპირეთში, მთიან ყარაბაღში. ეს არის მაგალითები იმისა, რომ რუსეთი ხელს უწყობს მშვიდობის შენარჩუნებასა და დაცვას. თუ ნატოს სურს ჩვენთან თანამშრომლობა, მათ უნდა მიიღონ რუსეთის ეს მეტად მნიშვნელოვანი როლი, როგორც ქვეყნისა, რომელიც ევროატლანტიკურ უზარმაზარ სივრცეში მშვიდობის გარანტორია“.[42]

კრემლი დასავლეთისგან ნატოს ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებაზე უარის თქმას ითხოვს. კერძოდ, იმ დაპირების გაუქმებას, რომლის მიხედვითაც საქართველო და უკრაინა ალიანსის

[42] Russia Ukraine Crisis | NATO should stop all military assistance to Ukraine | Alexander Grushko - https://www.youtube.com/watch?v=IiJ_WeDZbYw (ბოლოს ნანახია 15.02.2022)

წევრები უნდა გახდნენ, ასევე გარანტიებს, რომ დასავლეთი რუსეთის ტერიტორიის სიახლოვეს სარაკეტო დანადგარებს არ განათავსებს. რუსეთის პოზიციას დასავლეთში პასუხობენ, რომ ყველა ქვეყანას აქვს იმის უფლება დამოუკიდებლად აირჩიოს რომელ ალიანსში სურს გაწევრიანება. ენტონი ბლინკენი, აშშ-ს სახელმწიფო მდივანი განმარტავს, რომ: "გასული ათწლეულების განმავლობაში რუსეთი მეზობლების, მოლდოვას, უკრაინასა და საქართველოს მიმართ აგრესიულ აქტებს ახორციელებდა და განახლებული საფრთხეა დღეისთვის უკრაინაში. მეორე საკითხი ფუნდამენტურია, რომელიც მნიშვნელოვან პრინციპებს, მშვიდობისა და უსაფრთხოების პოზიციამდე მიდის. პრინციპი, რომლის თანახმადაც არცერთ ქვეყანას არ შეუძლია შეცვალოს მეორის საზღვრები ძალისმიერი გზით, ასევე არ შეუძლია უკარნახოს ვის დაუკავშირდება და რომელ ორგანიზაციაში გაწევრიანდება".[43]

მონტროს კონვენციის შესაბამისად შავიზღვისპირა სახელმწიფოებს აქვთ ლეგიტიმური შესაძლებლობები აქტიურად იყვნენ წარმოდგენილნი რეგიონში, თუმცა რუსეთი მათ უკან დასავლური ისტებლიშმენტის ინტერესებს ხედავს, ამიტომაც ყველანაირად ცდილობს ხელი შეუშალოს მათ მოქმედებებს. შავი ზღვა მასში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით გადაიქცა სტრატეგიულად არასტაბილურ და საშიშ რეგიონად. ცივი ომის შემდგომ ყირიმის ანექსია კრიტიკული მომენტი იყო, რასაც მთელი რიგი უარყოფითი პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები მოჰყვა. რუსეთმა ყირიმის ანექსიასთან ერთად უგულებელყო ასევე ორი ხელშეკრულება - 1997

---

[43] იქვე.

წლის უკრაინა-რუსეთის დიდი ხელშეკრულება[44] და ბუდაპეშტის მემორანდუმი.[45]

2014 წლიდან ევროკავშირი ნორმანდიის ფორმატის მეშვეობით[46], გერმანიასთან და საფრანგეთთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში. მაგრამ არ არსებობს არანაირი წინაპირობა იმისა, რომ იგი გახდეს სტრატეგიული აქტორი შავი ზღვისა და კასპიის ზღვის რეგიონში. ამასთანავე, ევროკავშირმა და მისმა წევრმა სახელმწიფოებმა ვერ ითამაშეს დიდი როლი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკებებში (მთიანი ყარაბაღის ბოლო ომი (2020 წ. 27 სექტემბერი - 10 ოქტომბერი)) მეორე მხრივ, რუსეთმა გვერდი აუარა ეუთოს მინსკის ფორმატს[47] და თურქეთთან საერთო ენის გამონახვით, კონფლიქტის მხარეებთან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკება დაიწყო. ყარაბაღის ბოლო ომმა რეგიონში არსებული მდგომარეობა კიდევ უფრო მოწყვლადი გახადა, სადაც მოლაპარაკებებში წამყვან როლს რუსეთის ფედერაცია და თურქეთი თამაშობდნენ, ხოლო დასავლური საზოგადოება დისტანცირდა ამ მოვლენისგან. ზოგიერთი მკვლევრის შეფასებით, აღნიშნულმა გარემოებამ რეგიონული გაერთიანებების და მასში სახელმწიფოთა აქტიური ჩართულობის აუცილებლობა დააყენა დღის წესრიგში. ამ ინფორმაციას ვკითხულობთ თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ გვერდზეც, სადაც აღნიშნულია, რომ: "მსოფლიო წესრიგის ახალი პოსტბიპოლარული პირობების ფარგლებში,

---

[44] 1997 წელს უკრაინასა და რუსეთს შორის გაფორმდა ორმხრივი ხელშეკრულება მეგობრობის, თანამშრომლობისა და პარტნიორობის შესახებ

[45] ARMONAITETHE A., BLACK SEA REGION: ECONOMIC AND GEO-POLITICAL TENSIONS - https://cutt.ly/7Mz8w3l NATO PARLIAMENTARY ASSEMBLY, 20 November 2020. p.2 (ბოლოს ნანახია 25.02.2022)

[46] მონაწილეობს ოთხი ქვეყნის, გერმანიის, რუსეთის, უკრაინისა და საფრანგეთის წარმომადგენლები, რომლებიც არაფორმალურად შეხვდნენ ნორმანდიაში 2014 წლის D-Day (კოდური სიტყვა II მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, როდესაც 1944 წლის 6 ივნისს მოკავშირეთა არმია შეიჭრა ნორმანდიაში ოპერაცია Overlord-ის სახელწოდებით) აღნიშვნის დროს და რომელთა მიზანია დონბასში ომის მოგვარება.

[47] ეუთო-ს წევრ სახელმწიფოთა გაერთიანება რომელიც ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების გზებს იძიებს.

რეგიონალიზაცია განიხილება, როგორც პოზიტიური და პერსპექტიული პასუხი თანამედროვე პრობლემებსა და გამოწვევებზე".[48] თუმცა, როგორც დროის სვლამ გვიჩვენა, რეგიონული სტატუსის პროექტები და ინიციატივები ჩანასახშივე განწირულია იმპლემენტაციისაგან, თუ რასაკვირველია საქმე ეხება მასშტაბურ ძვრებს და მისწრაფებებს. ნებისმიერი სახის მოქმედება, რომელიც ეფუძნება რეგიონალიზმს და არ არის შეთანხმებული გარეშე ძალებთან, უიმედობისთვის არის განწირული.

საკუთრივ მხოლოდ რეგიონალიზმის კონტექსტში სიტუაციის დასტაბილურებას ართულებს ის გარემოება, რომ რეგიონი არის ოთხი დიდი ძალის გადაკვეთის წერტილი: დემოკრატია დასავლეთში, რუსული სამხედრო აგრესია ჩრდილოეთით, მზარდი ჩინეთის ფინანსური გავლენა აღმოსავლეთით და ახლო აღმოსავლეთის არასტაბილურობა სამხრეთით.[49]

ცალკე აღნიშვნის ღირსია ჩინეთის ინტერესები რეგიონთან დაკავშირებით, როდესაც ჯერ კიდევ 2013 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა სი ძინპინმა ჩინეთის ამბიციური პროექტი წამოიწყო - ერთი სარტყელი, ერთი გზის ინიციატივით (Belt and Road Initiative (BRI)) და აზიის ევროპასთან დასაკავშირებლად ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება დაისახა მიზნად.[50] აღნიშნული მარშრუტის საყრდენი ღერძი შავი ზღვის რეგიონზე გადის, როგორც მნიშვნელოვანი საშუალება ევროპულ ბაზარზე წვდომის უზრუნველსაყოფად. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან 2020

[48] Challenges For The Black Sea Region - https://www.mfa.gov.tr/challenges-for-the-black-sea-region-.tr.mfa (ბოლოს ნანახია 07.11.2021)

[49] Kremlin's quest for mare nostrum: Enhancing Black Sea security to stop Russian encroachment - https://www.epc.eu/en/publications/Kremlins-quest-for-mare-nostrum-Enhancing-Black-Sea-security-to-stop~3fcff0#, 08/06/2021 (ბოლოს ნანახია 07.11.2021)

[50] გაბელია, ირაკლი. შავი ზღვა, როგორც თანამედროვე გლობალური კონიუნქტურის კონფრონტაციული სივრცე. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული. საგამომცემლო სახლი ტექნიკური უნივერსიტეტი 234-237.

წლამდე ევროკავშირი ჩინეთიდან იმპორტირებული პროდუქტით სიდიდით მეორე სავაჭრო პარტნიორი იყო, აშშ-ს შემდეგ.[51] ხოლო 2020 წლის მონაცემებით პირველ პოზიციას იკავებს.[52] შავი ზღვის ქვეყნებიდან მხოლოდ ორი, რუმინეთი და ბულგარეთი არიან ოფიციალურად 17 + 1 ჩარჩოს წევრნი, რომელიც ჩინეთის მიერ შეიქმნა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან,[53] რათა გაზარდოს წვდომა და კომუნიკაცია ევროპულ ბაზრებზე.[54]

ჩინეთის მხრიდან BRI აღიქმება, როგორც საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის ნაწილი, რომელიც მოიცავს შავი ზღვის რეგიონსაც. რაც უფრო მეტად იქნება წარმოდგენილი პეკინი რეგიონში, მით უფრო გაიზრდება მისი როლი და მნიშვნელობა. აღნიშნულს ემატება მოცემულობა, როცა ზოგიერთი შავიზღვისპირა სახელმწიფო BRI-ს პროექტს განიხილავს, როგორც რუსეთის გავლენის დაბალანსების და ზოგიერთ შემთხვევაში მისი შეკავების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად.

ჩინეთისთვის BRI მისი ინტერესების გასაღებია შავი ზღვის რეგიონში. საკუთრივ ინიციატივა შედგება ორი ელემენტისგან: სახმელეთო აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი, რაც ეყრდნობა სარკინიგზო და სახმელეთო კავშირებს; და საზღვაო აბრეშუმის გზა, რომელიც ჩინეთსა და ევროპას პორტების მეშვეობით აკავშირებს.[55]

---

51 Sanders, Deborah. "Can China promote stability in the Black Sea Region?." Southeast European and Black Sea Studies 21, no. 3 (2021): 415-436. https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/14683857.2021.1935771,28 Jun 2021 (ბოლოს ნანახია 12.12.2021)

52 Trade in goods by top 5 partners, European Union, 2020 - https://ec.europa.eu/eurostat/cache/infographs/trade/trade_2020/ (ბოლოს ნანახია 09.09.2021)

53The “16+1” Becomes the “17+1”: Greece Joins China’s Dwindling Cooperation Framework in Central and Eastern Europe - https://jamestown.org/program/the-161-becomes-the-171-greece-joins-chinas-dwindling-cooperation-framework-in-central-and-eastern-europe/, May 29, 2019 (ბოლოს ნანახია 07.07.2021)

54 თავდაპირველად აღნიშნული ფორმატი 16+1 სახელით იყო ცნობილი, ხოლო 2019 წელს მას საბერძნეთიც შეუერთდა

55 Full text: Action plan on the Belt and Road Initiative - https://www.mfa.gov.cn/ce/cohk//eng/Topics/ydyl/t1383426.htm, 21.07.2016 (ბოლოს ნანახია 15.10.2021)

BRI ჩინეთის სამომავლო გრძელვადიანი გეგმის ნაწილია, განსაკუთრებით ენერგეტიკისა და სოფლის მეურნეობის წარმოების კუთხით. მისთვის ენერგომომარაგების უზრუნველყოფა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან 2030 წლისთვის შიდა ენერგეტიკული მოთხოვნილების 3-ჯერ ზრდაა მოსალოდნელი.[56]

შავი ზღვის ქვეყნებიდან, საქართველო ყველაზე აქტიური იყო ჩინეთის ინვესტიციების უზრუნველყოფაში BRI-ის ფარგლებში. 1992-2014 წლებში პეკინსა და თბილისს შორის ორმხრივი ვაჭრობის საერთო მოცულობა 223-ჯერ გაიზარდა: 4 მილიონი აშშ დოლარიდან 823 მილიონ აშშ დოლარამდე.[57]

ფოთის პორტი მთავარი საზღვაო პორტია აღმოსავლეთ შავი ზღვის სანაპიროზე, ისევე როგორც უდიდესი ნავსადგური საქართველოში, რომელიც ამუშავებს სითხეებს, გადაუმუშავებელ მასალებს, სამგზავრო ბორნებს და საქართველოს კონტეინერების 80%-ს.[58]

ნელი ტემპებით, მაგრამ ასევე დაიწყო ჩინეთის ინტერესების ზრდა უკრაინის მიმართულებითაც. უკრაინისთვის BRI განიხილება მნიშვნელოვანი საშუალება, როგორც ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად და რუსეთის ბაზრებზე დამოკიდებულების შესამცირებლად. ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა სავაჭრო მიმართულებითაც განვითარდა, კერძოდ, ჩინეთი გახდა უკრაინის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი, რაც რუსეთს

[56] Meidan, Michal. "Glimpses of China's energy future." The Oxford Institute for Energy Studies 2019.

[57] Larsen J.- Georgia: The Black Sea Hub for China's 'Belt and Road' - https://thediplomat.com/2017/05/georgia-the-black-sea-hub-for-chinas-belt-and-road/ , May 03, 2017 (ბოლოს ნანახია 04.06.2021)

[58] Jiang J. - APM Terminals unveils $250m port development in Georgia - https://splash247.com/apm-terminals-unveils-250m-port-development-in-georgia/ , February 7, 2020 (ბოლოს ნანახია 04.06.2021)

მეორე ადგილზე ანაცვლებს და ამცირებს მის ეკონომიკურ გავლენას.[59] უკრაინის პორტები და ინფრასტრუქტურა ჩინეთისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან ისინი პეკინს აძლევს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტის შესაძლებლობას. 2015 წელს ჩინეთის ნავთობისა და სურსათის კორპორაციამ (COFCO) იყიდა Noble Agri Resources, საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო კორპორაცია უკრაინაში, ხოლო ერთი წლის შემდეგ მან ასევე გახსნა მარცვლეულის ტერმინალი, მიკოლაივის პორტში. COFCO-მა ცოტა ხნის წინ ხელი მოაწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მარიუპოლში, აზოვის ზღვაზე, საპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით,

"ერთი სარტყელი - ერთი გზის ინიციატივა" შესაძლოა მომავალში რუსეთის ფედერაციასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის დაძაბულობის წარმომქმნელი გახდეს. აღსანიშნავია, რომ ორმხრივი ვაჭრობის მოცულობამ პირველად ორ ქვეყანას შორის 2018 წელს გადააჭარბა 100 მილიარდ აშშ დოლარს, ხოლო მზარდმა საერთაშორისო იზოლაციამ და სანქციებმა მათი პოლიტიკურად დაახლოება გამოიწვია.[60] 2019 წლის დეკემბერში Power of Siberia მილსადენის გაშვება ყველაზე დიდი გაზის პროექტია მათი ურთიერთობის ისტორიაში, რაც ასევე სამომავლოდ პეკინისა და მოსკოვის მჭიდრო ურთიერთობის აშკარა გამოხატულებაა. ეს ახალი ტრანსსასაზღვრო მილსადენი რუსეთიდან ჩინეთს აწვდის ბუნებრივ გაზს. ანალოგიურად, ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ აგრძელებს ორი ქვეყანა, სი ძინპინის სიტყვებით, „სტრატეგიული თანამშრომლობისა და პარტნიორობის" განმტკიცებას.[61]

---

[59] It's official: China is Ukraine's largest trading partner - https://www.kyivpost.com/business/its-official-china-is-ukraines-largest-trading-partner.html , Sept. 27, 2019 (ბოლოს ნანახია 04.06.2021)

[60] Trade Between Russia and China Is Surging - https://www.brinknews.com/russia-and-chinas-surging-trade-partnership/, December 12, 2019 (ბოლოს ნანახია 05.05.2021)

[61] Development of Russia-China relations is priority for the countries, says Xi Jinping - https://tass.com/world/1094703 , 2 DEC 2019 (ბოლოს ნანახია 05.05.2021)

შავი ზღვის რეგიონში თურქეთი რჩება რუსეთის მთავარ დამბალანსებლად, რომელიც ლოგიკურად ნატოს სამხედრო ალიანსის პოზიციებს უნდა იზიარებდეს (ალიანსის წევრი თურქეთი 1952 წელს გახდა), თუმცა სიტუაცია პირიქითაა, მთელ რიგ საკითხებში უპირისპირდება კიდეც მას. თურქეთს - ნატოს ყველაზე დიდ წევრს რეგიონში - ემუქრება ლტოლვილთა მასობრივი შემოდინებები იდლიბიდან, სირიიდან და ა.შ.

ოფიციალურად, თურქეთს არასოდეს უღიარებია რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია და უკრაინის სუვერენიტეტის დაცვა საერთაშორისო დონეზე[62]. ანკარა ცდილობს მაქსიმალურად დააბალანსოს რუსეთის გავლენის გაძლიერება შავი ზღვაზე, გარდა ამისა, კიევი და ანკარა შავი ზღვის აუზში თანამშრომლობენ, სადაც შექმნილია საზღვაო თანამშრომლობის სამუშაო ჯგუფი (BLACKSEAFOR).[63]

2010 წელს შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებმა 634 მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების საქონელი გაატარეს. ათწლეულის შემდეგ, მთლიანი ექსპორტი თითქმის 20%-ით გაიზარდა და 757 მილიარდ დოლარზე მეტი შეადგინა. თუმცა, განსხვავებული ტენდენცია დაფიქსირდა შიდარეგიონულ ექსპორტთან დაკავშირებით, რომელიც 2010 წლიდან 2019 წლამდე 11.7 მილიარდი დოლარიდან 9,4 მილიარდ დოლარამდე შემცირდა.[64] (სერათი №5)

---

[62] MARE NOSTRUM STRATEGY: RUSSIAN MILITARY ACTIVITY IN THE BLACK SEA - https://warsawinstitute.org/wp-content/uploads/2019/03/Mare-Nostrum-Strategy-Special-Report-Warsaw-Institute.pdf, Warsaw Institute. 2019. p.13 (ბოლოს ნანახია 26.06.2021)

[63]ONE FLANK, ONE THREAT, ONE PRESENCE A Strategy for NATO's Eastern Flank - https://cepa.org/cepa_files/2020-CEPA-report-one_flank_one_threat_one_presence.pdf , Center for European Policy Analysis May 2020 p. 6 (ბოლოს ნანახია 15.04.2021)

[64] Zhelev P. - Building a Closer Black Sea: Promoting Trade and Economic Interdependence https://mpra.ub.uni-muenchen.de/109487/1/MPRA_paper_109487.pdf, March 2021 p. 2 (ბოლოს ნანახია 29.09.2021)




სურათი №5. შიდარეგიონული ექსპორტისა და იმპორტის წილები შავი ზღვის რეგიონის მთლიან ექსპორტსა და იმპორტში 2010-2019 წწ. (წყარო: Author's calculations based on ITC data)

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რეგიონის სახელმწიფოთა შორის არსებობს დიდი განსხვავება ეკონომიკური თვალსაზრისით, რაც ციფრებშიც აშკარა გამოხატულებას ჰპოვებს. რუსეთი, რეგიონის უდიდესი ქვეყანაა, მთლიანი პოპულაციის 47.8%-ით და წარმოადგენს მთლიანი პროდუქციის თითქმის 58%-ს. მეორე მხრივ საქართველოში, რეგიონის მოსახლეობის მხოლოდ 1.2% ცხოვრობს და მისი წილი 0.6%-ს შეადგენს. რუმინეთი შავი ზღვის აუზის ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული ქვეყანაა შემოსავლებით, ერთ სულ მოსახლეზე თითქმის 13000 $-ით. ეს მონაცემები კი 3,5-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე რეგიონის ყველაზე ღარიბ ეკონომიკაზე უკრაინაზე, რომელსაც 2019 წელს ერთ სულ მოსახლეზე სულ რაღაც 3700 დოლარის შემოსავალი ჰქონდა.[65]

[65] იქვე.

## 1.3. „ცივი ომის" პერიოდში რეგიონის მნიშვნელობა და დაპირისპირების მახასიათებლების გამოკვეთა

სანამ უშუალოდ მიმოვიხილავთ „ცივი ომის" პერიოდში რეგიონში მიმდინარე მოვლენებს უპრიანი იქნება მიმოვიხილოთ მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს შავი ზღვის სრუტეების სტატუსს და არეგულირებს მისი სარგებლობის წესს, რომელსაც მონტროს კონვენციის სახელით ვიცნობთ. კონვენცია შვეიცარიის ქალაქ მონტროში მიიღეს, 1936 წლის 20 ივლისს, რომელსაც ხელი საფრანგეთის, თურქეთის, საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის, დიდი ბრიტანეთის, ბელგიის, რუმინეთის, იუგოსლავიის, საბერძნეთის, ავსტრალიის, იაპონიის სახელმწიფოებმა მოაწერეს. კონვენციის მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ყველა სხვა არასანაპირო სახელმწიფოს სამხედრო გემებს ეკრძალებათ 21 დღეზე მეტით დარჩენა შავ ზღვაში, ასევე ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია გემების საერთო წყალწყვის მოცულობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 45 ათას ტონას (მუხლი მე-18),[66] ხოლო საომარი გემების ტონაჟი განსაზღვრულია 30 ათასით, რომელიც არ მოქმედებს შავი ზღვის აუზის სახელმწიფოებისათვის. სავაჭრო გემებისათვის კონვენცია არ ითვალისწინებს შეზღუდვებს და მას 1998 წლით დათარიღებული რეგლამენტი არეგულირებს სრუტეებისათვის (Turkish Straits Vessel Traffic Services Centre regulates the passages according to the Maritime Traffic Regulations for the Turkish Straits dated 1998). ხოლო საომარი გემები გარკვეულწილად შეზღუდვებს ექვემდებარებიან, რომლებიც განსხვავდებიან იმის მიხედვით, მიეკუთვნებიან თუ არა ეს გემები შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებს.[67] აღნიშნული დოკუმენტის გადახედვა

---

[66] Implementation of the Montreux Convention - http://www.mfa.gov.tr/implementation-of-the-montreux-convention.en.mfa ბოლოს ნანახია 07.12.2020

[67] იქვე

შესაძლებელია 20 წელიწადში ერთხელ, მაგრამ ნაკლებ სავარაუდოა, რომ მისი შინაარსი იმგვარად შეიცვალოს, რომ არასანაპირო გემებს ჰქონდეთ საშუალება მარტივად და შეუფერხებლად გადაადგილდნენ შავი ზღვის აკვატორიაში.

აღსანიშნავია მონტროს კონვენციის მოქმედი რედაქციაც, რომელიც გარკვეულ ხარვეზებს შეიცავს შავი ზღვის სრუტეებით სარგებლობისას (მუხლი მე-19-21) საომარ ვითარებაში, რომელიც საიმედოდ იცავს თურქეთის ინტერესებს და ნაკლებად, ან საერთოდ ნიველირებას ახდენს სხვა შავიზღვისპირა სახელმწიფოების.[68]

ამგვარი დოკუმენტის არსებობა აიძულებს არასანაპირო სახელმწიფოებს ვერ განახორციელოს მუდმივი პატრულირება რეგიონში, აღნიშნული მხოლოდ გაერთიანებული ფლოტილიის შემადგენლობაშია შესაძლებელი.

გეოგრაფიული თვალსაზრისით საბჭოთა კავშირი (უფრო ადრე რუსეთის იმპერია) ერთ გეოპოლიტიკურ სივრცედ აღიქვამდა შავ და ხმელთაშუა ზღვას და მას მისთვის ეროვნული ინტერესებისათვის საფრთხის შემცველ ზონად განიხილავდა. ამის გამოძახილი იყო „ცივი ომის“ საწყის პერიოდში საბჭოთა კავშირის მოქმედებები აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის მიმართულებით, აგრეთვე მასზე კონტროლის დამყარება (ბულგარეთი, იუგოსლავია, რუმინეთი), ასევე იგი აქტიურად ჩაერია საბერძნეთის საშინაო საქმეებში (რომელმაც ასახვა სამოქალაქო ომში ჰპოვა), ხოლო თურქეთს პრეტენზიები წაუყენა საბჭოთა სომხეთისა და საქართველოს მეშვეობით. მოსკოვმა აგრეთვე დღის წესრიგში დააყენა შავი ზღვის სრუტეების რეჟიმების გადასინჯვა, რაც გამოიწვევდა სამხრეთ ევროპული ტერიტორიების კონტროლს (საფრანგეთი, იტალია, მაღრიბის ქვეყნები და ახლო აღმოსავლეთი), რასაც რასაკვირველია უმალვე მოჰყვა

---

[68] კოწოწაშვილი, მადლენ. „ნატოს შავი ზღვის უსაფრთხოების ახალი სტრატეგია“, ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალი „განათლება“ (2017 წლის 18 თებერვალი) გვ.100-105

რეაქცია აშშ-ის მხრიდან, რომელიც თურქეთისა და საბერძნეთის სუვერენიტეტის დამცველად მოგვევლინა, ეს ყველაფერი 1947 წლის 12 მარტის „ტრუმენის დოქტრინაში“ აისახა. დაპირისპირების მომდევნო ეტაპად ერთი მხრივ ნატოს შექმნა (1949 წ.), ხოლო მის საპირწონედ შექმნილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების გაერთიანება უნდა მივიჩნიოთ, ვარშავის პაქტი (1955 წ.), რომელთათვისაც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გახლდათ შავი ზღვის რეგიონი, რადგანაც შავი ზღვა აღმოჩნდა ვარშავის პაქტის „შიდა ჩაკეტილ არენად“.[69] სსრკ-სთვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნიდა ასევე ე.წ. „ეგეოსის ბარიერი“, რომელიც გადიოდა კრეტას კუნძულსა და პელოპონესის ნახევარკუნძულს შორის, რომელიც პრაქტიკულად ბუნებრივი საზღვარი იყო შავ და ხმელთაშუაზღვებს შორის. ჰარმელის მოქნილი რეაგირების დოქტრინაში[70] დიდი ყურადღება დაეთმო ხმელთაშუაზღვის რეგიონს. შემდეგი ნაბიჯი 1969 წლის 16 იანვარი გამოდგა, როდესაც ნატოს თავდაცვის დაგეგმარების კომიტეტმა შეიმუშავა გეგმა ხმელთაშუაზღვაში სპეციალური სამხედრო-საზღვაო ძალების ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელსაც ასევე დიდი მიზანი ედო საფუძვლად და ეს ქმედებები განპირობებული იყო სტრატეგიული მიზნებით, რომელიც პირველ რიგში სსრკ-ს ექსპანსიის შეჩერებითა და ახლო აღმოსავლეთის ნავთობის დამოკიდებულებით დასავლეთის მრეწველობასთან იყო განპირობებული.

რასაკვირველია სსრკ არ შეეგუებოდა მსგავს ქმედებებს ნატოსაგან და ალიანსის აქტიურობას მისი ეროვნული ინტერესების შელახვად აღიქვამდა. მას სურდა ხმელთაშუაზღვაში გაჭრა, რადგან მოეხდინა ნატოს ძალების იზოლირება. ამ მიზნით სსრკ-მ ხმელთაშუაზღვაში მე-5 ესკადრა განალაგა, რომლის ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა შავი ზღვის მისადგომების დაცვა იყო, რომელიც შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებისაგან

[69] მაისაია, ვახტანგ. შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები. პარიზი: ქართულ-ევროპული ინსტიტუტი. 2003 წ. გვ 116.

[70] The ‘Harmel doctrine’ and evolution of NATO - https://medium.com/history-of-yesterday/the-harmel-doctrine-and-evolution-of-nato-f25db2e6d004 (ბოლოს ნანახია 10.12.2020)

გახლდათ დაკომპლექტებული. ამის პარალელურად მოსკოვი აქტიურ პოლიტიკას აწარმოებდა ახლო აღმოსავლეთის არაბულ ქვეყნებთან და ავტორიტარულ რეჟიმებთან ჩრდილოეთ აფრიკაში, რომლის შედეგს მოსკოვის ძლიერი სამხედრო ბაზები წარმოადგენდა ალეპოსა და ბერბერაში (სირიასა და სომალიში), იგი პირდაპირ მიმართული იყო ამერიკის საზღვაო ბაზების წინააღმდეგ საბერძნეთსა და თურქეთის ტერიტორიებზე.

„ცივი ომის“ მიმდინარეობის დროს სსრკ შედარებით დიდ ყურადღებას კავკასიის რეგიონს უთმობდა, განსხვავებით ბალკანეთისაგან, რადგან კავკასიის რეგიონი შესანიშნავი პლაცდარმი იყო შუა აღმოსავლეთსა და სპარსეთის ყურის რეგიონში შესაძლო საბრძოლო მოქმედებათა საწარმოებლად. რეგიონი ყველაზე მილიტარიზირებული იყო თავად საბჭოთა კავშირის მასშტაბითაც. კავკასიის რეგიონის მილიტარიზირება კიდევ უფრო თვალშისაცემი მას შემდეგ გახდა, რაც ირანის ისლამური რესპუბლიკა დაარსდა. ამის საპასუხოდ სსრკ-მ აზერბაიჯანში სამხედრო წარმომადგენლობა გაზარდა. ბალკანეთის მიმართ გამოჩენილი ნაკლები ყურადღება იხსნებოდა იმ ფაქტით, რომ ნატოსა და საბჭოთა კავშირის სამხრეთის მიმართულებით შესაძლო დაპირისპირებისას ე.წ. „ბუფერული ზონა“ არსებობდა, რომელსაც იუგოსლავიის საკავშირო ფედერაციული რესპუბლიკა წარმოადგენდა. იგი 1960 წლიდან ატარებდა მიუმხრობლობის პოლიტიკას, რომლის დადასტურება ოფიციალურად 1977 წელს, ბელგრადში მიღებული დეკლარაციით მოხდა, გარდა ამისა იუგოსლავიას შემუშავებული ჰქონდა სამხედრო დოქტრინა, რომელიც თავდაცვითი ხასიათის მატარებელი იყო და ორივე (ნატოსა და ვარშავის პაქტის) მხრიდან წარმოებულ სავარაუდო აგრესიას პასუხობდა.[71]

1987 წელს გორბაჩოვმა ბელგრადის საინიციატივო წინადადებათა პაკეტი ჩამოაყალიბა, რომლითაც დასრულდა „ცივი ომის“ პერიოდში შავი

---

[71] გაბელია, ირაკლი. ნატოს სტრატეგია შავი ზღვის რეგიონალური უსაფრთხოების კონტექსტში, სამაგისტრო ნაშრომი, 2019 წ. გვ. 16

ზღვის რეგიონში გეოსტრატეგიული მდებარეობის მნიშვნელობის პერიოდი. პაკეტი გულისხმობდა იმ კონფრონტაციების შენელებას, რომლითაც ხმელთაშუაზღვისპირეთი მთელი „ცივი ომის“ ომის მიმდინარეობისას გამოირჩეოდა.

# თავი II. შავი ზღვის უსაფრთხოება რეგიონული და საერთაშორისო პოლიტიკის კონტექსტში

## 2.1. შავი ზღვის რეგიონის ენერგეტიკული პროექტების მნიშვნელობა და მათი როლი უსაფრთხოების პოლიტიკაში

თანამედროვე მსოფლიოში ენერგოუსაფრთხოება ერთ-ერთი საკვანძო საკითხია სახელმწიფოთა მოქმედებების განსაზღვრაში, ვინაიდან იგი აღიქმება როგორც ეროვნული უსაფრთხოების თანმდევი პროცესი, რომელიც გულისხმობს მოკლე და გრძელვადიან პერიოდში ენერგომომარაგების უწყვეტობას და ხარისხს ხელმისაწვდომ ფასად. რაც რასაკვირველია დებატების ერთ-ერთ მთავარ თემად დაფიქსირდა საერთაშორისო უსაფრთხოების მიმართულებით. მოსახლეობის რაოდენობის ზრდა ენერგორესურსების მოხმარების მკვეთრ ზრდასაც განაპირობებს, რომელიც ხელს უწყობს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას, მაგრამ ხშირ შემთხვევაში დამოკიდებულს ხდის სახელმწიფოებს ენერგორესურსების მფლობელ სახელმწიფოებზე, რაც საფრთხეს უქმნის მომხმარებელი ქვეყნების ეროვნულ უსაფრთხოებას. ის სახელმწიფოები, რომლებიც ფლობენ დიდი რაოდენობით ენერგორესურსებს, ცდილობენ საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტად აქციონ იგი და მასზე ააგონ თავიანთი ინტერესები.

ენერგოუსაფრთხოება კომპლექსური მიდგომაა, რომელიც საკუთარ თავში სხვადასხვა დონეებს მოიცავს:

- პოლიტიკური ენერგოუსაფრთხოება;

- სამართლებრივი ენერგოუსაფრთხოება;
- ტექტოგენური ენერგოუსაფრთხოება;
- ეკონომიკური ენერგოუსაფრთხოება.[72]

ენერგოუსაფრთხოების განმარტების სხვადასხვა ვარიაცია არსებობს, მაგრამ ცხადი და ნათელია ის, რომ იგი აუცილებელია ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის. ეროვნული სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს ელემენტად ენერგორესურსების ქცევა შეგვიძლია უინსტონ ჩერჩილს დავუკავშიროთ, რომელმაც 1910-იან წლებში მიიღო გადაწყვეტილება ქვანახშირი ნავთობით ჩაენაცვლებინა და მისი ინტერესები სპარსეთს დაუკავშირა, მან უარი თქვა უელსურ ქვანახშირზე და იმდროისათვის არასანდო მოკავშირესთან დაამყარა კომუნიკაცია. ამ პერიოდიდან აქტუალობას იძენს ენერგოუსაფრთხოების საკითხი და სახელმწიფოთა მხრიდან დიდი ყურადღება ეთმობა მას.[73] გლობალიზაციის პირობებში კი, როდესაც სახელმწიფოები ერთმანეთთან მჭიდრო კომუნიკაციაში იმყოფებიან, სტაბილურობასა და მშვიდობის როლი განუზომლად იზრდება.

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ 1970-იანი წლები გამოდგება, როდესაც მსოფლიოში ორი „სანავთობო შოკი“ მძვინვარებდა, რომლის დროსაც ნავთობის ფასი თითქმის 3-ჯერ გაიზარდა, რამაც „დომინოს პრინციპის“ მიხედვით სხვადასხვა სფეროც მოიცვა, ესენია: სამხედრო, ეკონომიკა, პოლიტიკა და სხვა. ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც დღევანდელ მსოფლიოში არსებობს სახელმწიფოებს უბიძგებს ითანამშრომლონ როგორც საკუთარი, ასევე გლობალური ინტერესებიდან გამომდინარე. მაგრამ დღეისათვის მოცემულობა მკვეთრად შეცვლილია,

---

72 მაღრაძე, გუგული. მაისაია, ვახტანგ. „21–ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი 2017 წ, გვ. 128

73 გაბელია, ირაკლი. შავი ზღვის რეგიონის ენერგეტიკული დერეფნის მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიოში. პოლიტო / LOGOS, 100-110, 2021.

ვინაიდან სახელმწიფოების რესურსები დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან მწირია, ხოლო საერთო საქმეების ერთობლივად გადაწყვეტა კი წარმოუდგენელი. ის უნდობლობა, რომელიც გამეფებულია თანამედროვე მსოფლიოში, რასაკვირველია ყველა სფეროზე აისახება, შესაბამისად სახელმწიფოები ცდილობენ ალტერნატიული გზების მოძიებას, რადგან არ იყვნენ დამოკიდებულნი მხოლოდ ერთ მიმწოდებელზე და ცდილობენ სხვა გზების გამონახვას, რომელიც მათ ეროვნულ ინტერესების თარგზე იქნება მორგებული.

აქედან გამომდინარე, ისეთ მნიშვნელოვან რეგიონში, როგორიც შავი ზღვაა სახელმწიფოები ცდილობენ ეს ერთგვარი „გასაღები“, დამაკავშირებელი რგოლი აკონტროლონ. ამ მიმართულებით კი ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ენერგომატარებლებია.

2006 წლიდან, ევროპასა და მსოფლიოში პოლიტიკურ დღის წესრიგში ენერგოუსაფრთხოება და კლიმატის ცვლილებები დომინირებს.[74] ამ მიმართულებით გააქტიურდა ევროკავშირიც და დიდი რვიანის სახელმწიფოებიც (2008 წელს რუსეთი გარიცხეს ამ საერთაშორისო ფორუმიდან). აქტიურად მიდის მსჯელობა განახლებად ენერგიებზე და ამისათვის მზაობას გამოთქვამს მთელი რიგი სახელმწიფოები. თანამედროვეობაში უსაფრთხოების საკითხები არ ცნობენ ეროვნულ საზღვრებს და ისინი გამოწვევას თითოეული სახელმწიფოსათვის წარმოადგენენ.

უშუალოდ შავი ზღვის რეგიონზე საუბრისას აუცილებელია გამოიყოს ის ენერგეტიკული პროექტები, რომლებიც დიდი მნიშვნელობის მატარებელნი არიან და განაპირობებენ კიდეც საერთაშორისო აქტორთა დაინტერესებას რეგიონის მისამართით. რუსეთის ღია ქმედებები, რომელიც გამოიხატა ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინაში სამხედრო ინტერვენციაში,

[74] Petersson, B. & Törnquist-Plewa, B., Proceedings from the conference “Energy Security in Europe” Lund 24-25 September 2007

მიუთითებს ინტერესებზე, რომ რუსეთს სურს მოახდინოს მისი გეოპოლიტიკური გავლენა უკრაინაზე, რომელიც გულისხმობს ხელის შეშლას უკრაინის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მისაღწევად. მისი მიზანია (სხვა მიზეზებთან ერთად) ხელი შეუშალოს უკრაინის სატრანზიტო ფუნქციას. ენერგოპროექტებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს უკვე მოქმედი ენერგომატარებლები, რომლებიც ფუნქციონირებენ რეგიონში. ერთ-ერთი მათგანი **ბაქო-სუფსას** ნავთობსადენი გახლავთ, რომლის შესახებ ხელშეკრულება 1996 წელს გაფორმდა და გულისხმობდა დასავლეთის მიმართულებით ნავთობსადენების მშენებლობას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბაქო – სუფსის საექსპორტო მილსადენი გასული საუკუნის 30-იან წლებში აგებული საბჭოთა ნავთობსადენის, ბაქო-სამგორი-ბათუმის ბაზაზე აშენდა. პირველი შეთანხმება აზერბაიჯანის მთავრობასა და ინვესტორებს შორის 1994 წლის სექტემბერში გაფორმდა და ნავთობსადენმა ფუნქციონირება 1999 წლის აპრილში დაიწყო. იგი მოიცავს კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე მნიშვნელოვან სტრატეგიულ ობიექტს, რომელიც აბრეშუმის გზის აღორძინებასთანაც უშუალო ბმაშია. ხელშეკრულების დადების შემდეგ აიგო საზღვაო გადასატვირთი მოწყობილობა და ტერმინალი, ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ ხელშეკრულება 30 წელს მოიცავს. უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ 2015 წლის 10 ივლისს, რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ საქართველოში, სოფელ ორჭოხანისა და წითელუბნის ტერიტორიაზე ოკუპანტი ძალების მიერ ე.წ. „საზღვრის“ აღმნიშვნელი ბანერები აღიმართა. აღნიშნული ტერიტორიის დაკავებით ბაქო-სუფსას გარკვეული მონაკვეთი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოექცა.[75]

[75] თბილისი (BPI) -გორის რაიონში რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ ე. წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების აღმართვასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრო ოფიციალურ განცხადებას ავრცელებს. განცხადებაში მითითებულია, რომ ბაქო-სუფსის ნავთობსადენის გარკვეული ნაწილი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოექცა. https://bpi.ge/baqo-sufsis-navtobsadenis-garkveuli-nawili-okupirebul-teritoriaze-moeqca/ - (ბოლოს ნანახია 14.12.2020)

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი** - მსოფლიოში სიგრძით მეორე (1768 კმ.) ნავთობსადენია (პირველია დრუჟბას ნავთობსადენი, რომელიც უზრუნველყოფს რუსეთიდან ცენტრალურ ევროპაში ნავთობის გადატანას), რომლითაც ტრანსპორტირდება გადაუმუშავებელი ნავთობი კასპიის ზღვაში აზერბაიჯანის აზერი-ჩირაქ-გუნეშლის საბადოდან ხმელთაშუაზღვის სანაპირომდე. თავდაპირველად პროექტი დიდი დისკუსიის საგანი გახდა, რომელსაც როგორც დადებითად განწყობილი, ასევე უარყოფითად მომზირალი ბევრი მხარე ჰყავდა, მაგალითად ჯონ დეილი, რომელიც კასპიის ენერგორესურსების ექსპერტი გახლავთ, მისი შეფასებით პრობლემას წარმოადგენდა მარშრუტი, რომელსაც უნდა გაევლო თურქეთის აღმოსავლეთ რეგიონი, სადაც ქურთები სახლობდნენ და ეს მოცემულობა მას სიფრთხილისაკენ უბიძგებდა. საბოლოოდ პროექტი დამტკიცდა და 2003 წლის აპრილში მშენებლობაც დაიწყო, ხოლო ფუნქციონირება 2005 წლიდან დაიწყო. პროექტის მთავარ მიზანს რუსეთის გვერდის ავლით ნავთობის ტრანსპორტირება წარმოადგენდა, რომელსაც უნდა შეემცირებინა რუსეთის ფედერაციის გავლენა რეგიონში. თავდაპირველად მილსადენი ბაქოდან ჯეიჰანში უნდა გასულიყო, რომელიც გულისხმობდა სომხეთის ტერიტორიაზე მილსადენის გაყვანას (ჰეიდარ ალიევი ამით იმედოვნებდა, რომ ყარაბაღზე მოახდენდა მისი ინტერესების გატარებას), მაგრამ ოფიციალური ერევნის პოზიციის შემდეგ, რომლებმაც უარი განაცხადეს ამ მოცემულობაზე, აზერბაიჯანმა ჩამოაშორა სომხეთი დასავლურ ბაზრებს, რამაც სომხეთი რუსეთსა და ირანზე გახადა დამოკიდებული.

**„ცისფერი ნაკადი“** - 1997 წლის 15 დეკემბერს რუსეთმა და თურქეთმა მთავრობათაშორის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. ხელშეკრულების თანახმად, გაზპრომმა და თურქულმა Botas-მა ხელშეკრულება გააფორმეს, რომლის მიხედვით, რუსეთს 25 წლის განმავლობაში 365 მილიარდი კუბური მეტრი გაზი უნდა მიეწოდებოდა თურქეთისათვის ცისფერი

ნაკადის გავლით,[76] რომელიც შავი ზღვის გავლით უნდა მომხდარიყო. ამ მოცემულობამ რეგიონში ძალთა წონასწორობა შეცვალა, ვინაიდან თურქეთი დამოკიდებული გახადა რუსულ ენერგორესურსებზე, რომელიც მზარდი უნდა ყოფილიყო დროთა განმავლობაში, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, მაგალითისათვის 2019 წლის მონაცემებით წინა წელთან შედარებით თურქეთისთვის გაზის მიწოდება შემცირდა 14-ჯერ და იგი სომხეთის მაჩვენებელს გაუთანაბრდა (193 მლნ. კუბური მეტრი). თურქეთი ცდილობს რუსული გაზი გათხევადებული გაზით ჩაანაცვლოს და დამოკიდებულების ხარისხი შეამციროს.

**თურქული ნაკადი** - რუსეთი ევროპის უმსხვილესი ბუნებრივი აირისა და ნედლი ნავთობის მიმწოდებელია. მისი გაზის ექსპორტი ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაიზარდა. რუსეთი ძირითადად აკმაყოფილებდა ევროპის გაზის საჭიროებებს - განსაკუთრებით უკრაინაში გამავალი ურენგოი-პომარი-უჟგოროდის მილსადენით, რომელიც 1967 წლიდან ფუნქციონირებს. ის გადის უკრაინაში, სლოვაკეთზე, შემდეგ ორი მიმართულებით მიედინება გერმანიასა და ყოფილი იუგოსლავიის რამდენიმე ქვეყანაში.[77] აქვე აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის (EU) გაზის მთლიანი იმპორტის თითქმის 40 პროცენტი რუსეთზე მოდის.[78]

2015 წლის იანვარ-თებერვალში თურქეთის ენერგეტიკის მინისტრმა და რუსული «გაზპრომის» ხელმძღვანელობამ უკვე შეათანხმა «თურქული ნაკადის» მარშრუტი, რომელიც გაივლის შავი ზღვის ფსკერზე, გარკვეულ მანძილზე მიუყვება აწ უკვე გაუქმებული «სამხრეთის ნაკადის» მიმართულებას, შემდეგ უხვევს სამხრეთით და გამოდის თურქეთ-საბერძნეთის მოსაზღვრე თრაქიის ოლქში. აქ თურქული მხარის მიერ აშენებული

[76] Blue Stream Russian natural gas supplies to Turkey - https://www.gazprom.com/projects/blue-stream/ - (ბოლოს ნანახია 14.12.2020)

[77] TurkStream as Russia's Last Step in Diversification: A Win-Win Approach - https://www.insightturkey.com/turkish-stream/turkstream-as-russias-last-step-in-diversification-a-win-win-approach, (ბოლოს ნანახია 15.07.2022)

[78] Ali Tekin and Paul A. Williams, "EU-Russian Relations and Turkey's Role as an Energy Corridor," Europe-Asia Studies, Vol. 61, No. 2 (2009), p. 339

ორასკილომეტრიანი გაზსადენის მონაკვეთის დამატებით, «თურქული ნაკადის» მთლიანი სიგრძეე მიაღწევს 910 კილომეტრს. თურქეთიდან გაზსადენი გადადის საბერძნეთში, საიდანაც მიეწოდება დასავლეთ ევროპელ მომხმარებელს.[79] ამრიგად, უკრაინის (2014 წლის) მოვლენებით გამოწვეული ევროკავშირის სანქციების საპასუხოდ, რუსეთმა უარი თქვა ევროკავშირის წევრ ბულგარეთზე გამავალ სამხრეთის ნაკადზე და სანაცვლოდ, თურქეთთან შეთანხმებით თურქული ნაკადის ამოქმედება განიზრახა.

გაზსადენი „თურქული ნაკადი“ (TurkStream) პირდაპირ აკავშირებს რუსეთს თურქეთთან შავი ზღვის გავლით. მისი საშუალებით რუსეთიდან თურქეთში ყოველწლიურად 31,5 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ტრანსპორტირება იგეგმება. ის რუსეთის ქალაქ ანაპაში იწყება და 930 კმ მანძილს ზღვის ფსკერზე გადის და თრაკიაში, სტამბოლთან ახლოს, ქალაქ კიიკეიში სრულდება.

მილსადენის პროექტი ორი ნაწილისგან შედგება და თითოეული მათგანი 15.75 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის სიმძლავრეზეა გათვლილი. პირველით რუსულ გაზს თურქეთის მოსახლეობა, ხოლო მეორეთი ევროპის სამხრეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ ქვეყნები მიიღებენ. პროექტი 2020 წლის 1 იანვარს წარმატებით ჩაეშვა.

**ტრანსანატოლიური გაზსადენი (TANAP)** - აღნიშნულ გაზსადენს საფუძველი სტამბოლში ჩაეყარა, მესამე შავი ზღვის ენერგეტიკისა და ეკონომიკის ფორუმზე, 2011 წლის ნოემბერში. დღეისათვის გაზის სამხრეთი კორიდორი სამი მილსადენის: მოქმედი „სამხრეთ კავკასიური მილსადენის“ (მისი გაფართოების SCPX პროექტის ჩათვლით) და „ტრანსანატოლიური“ (TANAP) და მშენებარე „ტრანსადრიატიკული“ მილსადენების (TAP) პროექტებისაგან შედგება. იგი გათვალისწინებულია აზერბაიჯანული შაჰ

[79] ზაზა წურწუმია, „რუსული გაზის თურქული ნაკადი: რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე“, https://www.academia.edu/11899739/რუსული_გაზის_თურქული_ნაკადი

დენიზის საბადოს ბუნებრივი გაზის იტალიაში მისაწოდებლად, საქართველოს, თურქეთის, საბერძნეთისა და ალბანეთის ტერიტორიების გავლით.[80] საქართველოს პრეზიდენტმა, აზერბაიჯანისა და თურქეთის პირველმა პირებმა 2015 წელს ყარსში საფუძველი ჩაუყარეს პროექტის ამოქმედებას, ხოლო 2018 წლის 12 ივნისს გახსნის ცერემონია შედგა. ეს პროექტი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ სახელმწიფოები ცდილობენ ალტერნატიული რესურსების მოძიებას და რუსეთის გვერდის ავლით სხვადასხვა დერეფნების გაჩენას, რადგან მათი ენერგოდამოუკიდებლობა იყოს გარანტირებული. აღნიშნული პროექტი კი ხაზს უსვამს იმ გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას რეგიონისა, რომელიც მას აქვს როგორც დასავლეთის, ასევე რეგიონის წევრი სახელმწიფოებისათვის.

**ტრანსადრიატიკული გაზსადენი (TAP)** - ითვალისწინებს აზერბაიჯანიდან, კერძოდ, შაჰდენიზ 2-დან ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებას ევროპაში, იგი უკავშირდება ტრანსანატოლიურ მილსადენს თურქეთ-საბერძნეთის საზღვარზე, კიპოიში, კვეთს საბერძნეთს, ალბანეთს, ადრიატიკის ზღვას და იტალიას.[81] პროექტი საშუალებას იძლევა კასპიის გაზის შემდგომი ტრანსპორტირებისა ევროპის ბაზარზე და მის ფართო გავრცელებას. როგორც სამხრეთ გაზის დერეფნის ძირითადი ნაწილი, TAP სტრატეგიულად და ეკონომიკურად მნიშვნელოვანია ევროპისთვის და აუცილებელია ბუნებრივი გაზის ახალ წყაროზე საიმედო წვდომის უზრუნველსაყოფად. TAP მნიშვნელოვან როლს ასრულებს, როგორც ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებაში, ასევე მიწოდების დივერსიფიკაციაში.

[80] თემურ გოჩიტაშვილი - TANAP-ის ამოქმედების შედეგად საქართველო საერთაშორისო მასშტაბის მოთამაშედ ჩამოყალიბდა - https://www.gogc.ge/ka/press-article/temur-gochitashvili---tanap-is-amoqmedebis-shedegad-saqartvelo-saertashoriso-masshtabis-motamashed-chamoyalibda/2 4- (ბოლოს ნანახია 14.12.2020)

[81] The Trans Adriatic Pipeline is Complete - (https://www.tap-ag.com/news/news-stories/trans-adriatic-pipeline-is-complete - (ბოლოს ნანახია 14.12.2020)

## 2.2. საერთაშორისო აქტორების გეოპოლიტიკური მიზნები და გავლენები შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაზე

როგორც აღინიშნა, შავი ზღვის რეგიონი სხვადასხვა აქტორების დაპირისპირების არეალს წარმოადგენს, რომელიც საფუძველს საუკუნეების წინ იღებს. რეგიონში წარმოდგენილნი არიან სხვადასხვა კულტურის მქონე ერები, რომელთა განსხვავებული შეხედულებები და ეროვნული ინტერესები საკითხს კიდევ უფრო კომპლექსურს ხდის და ანტაგონისტურ დამოკიდებულებებს ამძაფრებს. გამომდინარე იქიდან, რომ ერი-სახელმწიფოების როლი საერთაშორისო დონეზე კვლავ აქტუალურია უნდა მოვახდინოთ ტერმინ „ერის" განსაზღვრა, რათა დავადგინოთ ის შეუსაბამობები, რომელიც დაპირისპირებულ მხარეთა შორის არსებობს. როგორც პირველ თავში აღინიშნა, ნაშრომის თეორიული ბაზისი კვანტურ რელატივისტურ ნოოლოგიას ემყარება, რომელიც ერის დეფინიციის ახლებურ ხედვას გვთავაზობს, რომელსაც ავტორი ფსიქოლოგიურ ასპექტთან აკავშირებს. ე. ხვიჩია ეყრდნობა დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიით აღმოჩენილ პიროვნების ფსიქიკური სისრულის მომენტს, ახდენს ამ მომენტის თვისებრივი მახასიათებლების კლასიფიკაციას, აღწერს პიროვნების ფსიქიკური მდგომარეობის საფეხურეობრივ და ეტაპობრივ ცვლას. ამ საფეხურებისა და მახასიათებლების არსებობას იგი გვაჩვენებს ერსა და ცივილიზაციაშიც. შედეგად, მკვლევარი გვთავაზობს ერისა და ცივილიზაციის ახალ დეფინიციას, რომლის თანახმად, ისინი ფსიქიკური ფაქტორით განპირობებული ფენომენებია. აღნიშნული უკავშირდება დროის ინფორმაციულ ფენომენს, ინფორმაციის საკვანძო როლს ფსიქიკური თვითრეგულირების პროცესში. შედეგად განისაზღვრა ერის ფენომენის ბუნება და მოგვცა მისი ახალი განმარტება. ემზარ ხვიჩიას მიხედვით, ერი, უპირველეს ყოვლისა, ფსიქიკურ

ფენომენს წარმოადგენს. შედეგად, ირკვევა, რომ კულტურები დიდწილად დეტერმინირებულია ფსიქიკური ფაქტორებით. ავტორი ყურადღების ცენტრში აქცევს პიროვნების უნაწევრო სიმთელის მომენტს, როგორც შუამავალ რგოლს გარე სინამდვილესა და ფსიქიკურ შინაარსებს შორის. მკვლევარი გაცილებით წინ მიდის და ახერხებს უნაწევრო სიმთელის სტრუქტურის იდენტიფიკაციას. შედეგად, იგი ადამიანის ფსიქიკის მანამდე უცნობ მოცემულობებს, ფაქტორებს და მის ფუნქციას გვაჩვენებს, როგორც ინდივიდის, ასევე ერისა და ცივილიზაციის დონეზე. ამიტომაც, ნაშრომში ტერმინი „ერი“ გამოყენებული იქნება ამ მნიშვნელობით.[82]

აღნიშნული ფსიქიკური განსხვავებები ამძაფრებს ერებს შორის შეუთანხმებლობას, რომელიც რეგიონში არსებობს. ნოოლოგიით დგინდება, რომ შავი ზღვის რეგიონში წარმოდგენილი აქტორები სხვადასხვა თვისობრივ კლასს განეკუთვნებიან, ხოლო მათი მსოფლმხედველობრივი პრინციპები ერთმანეთისაგან განსხვავებულია. მაგრამ ეს მოცემულობა არ გამორიცხავს იმ გარემოებას, რომ მათ შორის შეთანხმება შეუძლებელია. დაპირისპირების ხარისხი იმდენად დიდია, რომ ისინი ვერ ახერხებენ საერთო ენის გამონახვას და საერთო პოზიციებზე შეჯერებას, სხვაგვარად, რეგიონში არსებული ვითარება საკითხის სხვადასხვაგვარ აღქმაზეა დამყარებული.

რეგიონის რელიგიური და კულტურული სიჭრელე ხელს უწყობს დაინტერესებული მხარეების მიერ შავი ზღვის ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ჩართვისა და ზეგავლენის მოხდენის განხორციელებას.[83] ოფიციალურმა მოსკოვმა 2015 წლის ივლისში

---

[82] გაბელია ირაკლი. „ერის დეფინიციასთან დაკავშირებული პრობლემები“ - https://www.researchgate.net/publication/358769809_eris_depinitsiastan_dakavshirebuli_problemebi (ბოლოს ნანახია 25.02.2021)

[83] ფუტკარაძე კახა. იოსებ ჯაფარიძე. „შავი ზღვის უსაფრთხოების გეოპოლიტიკური კვანძი“, სამეცნიერო ჟურნალი „ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია“, გამომცემლობა სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გამოცემა №4, 2020 წ. გვ. 290.

ცვლილებები შეიტანა საზღვაო დოქტრინაში, რომლითაც იგი აპირებდა ნატოს გაფართოების წინააღმდეგ საზღვაო ზონა შეექმნა და ამით დაპირისპირებოდა მას, ხოლო 2008 წელს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციით მან უზრუნველყო სამხრეთ საზღვრების უსაფრთხოება და გაზარდა გავლენა, როგორც სამხრეთ კავკასიაზე, ასევე ახლო აღმოსავლეთზეც. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რუსეთის გენერალური შტაბის უფროსმა, ვალერი გერასიმოვმა 2016 წლის 15 სექტემბერს განაცხადა, რომ შავ ზღვაზე თურქეთის უპირატესობა დასრულებულია.[84]

რეგიონის სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე რუსეთის გააქტიურებას შესაბამისი ქმედებები უნდა მოჰყოლოდა სხვა აქტორების მხრიდანაც, განსაკუთრებით ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციიდან.

დასავლეთის ჩართვა რეგიონში, უნდა განიხილოს ნატოს ახალი გამოწვევის კონტექსტში, რომელიც ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა 2004 წლის ივნისში გააჟღერა: „ჩვენ უბრალოდ აღარ შეგვიძლია დავიცვათ ჩვენი უსაფრთხოება, თუ არ გავუმკლავდებით იმ პოტენციურ რისკებს და საფრთხეებს, რომლებიც ჩვენი სახლებიდან შორს მიმდინარეობს, ან ამ პრობლემებს გავუმკლავდებით ან ისინი ჩვენს ზღურბლზე აღმოჩნდებიან“.[85]

აშშ, როგორც ლიდერი სახელმწიფო ნატოს ეგიდით უნდა ეცადოს დაეხმაროს რეგიონს უსაფრთხოების განმტკიცებაში, რომლის გაკეთება მას შემდეგი მოცემულობებით შეუძლია:

- შავი ზღვის საზღვაო ძალების გაზრდით;

[84] Vulnerabilities and Opportunities in the Black Sea region. Romanian perspective; Turkish perspective, NEW STRATEGY CENTER, 2017 p. 14.

[85] Black Sea Security: The NATO Imperative - https://www.wilsoncenter.org/publication/black-sea-security-the-nato-imperative (ბოლოს ნანახია 27.04.2021)

- შავ ზღვაში ნატოს უფრო დიდი საზღვაო არსებობისკენ სწრაფვით;

- განიხილოს ნავიგაციის თავისუფლების ოპერაციის (FONOP) ჩატარება ქერჩის სრუტეში;

- მჭიდრო თანამშრომლობა ნატოს წევრებთან ბულგარეთთან, რუმინეთთან და თურქეთთან რეგიონული უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით;

- უკრაინისა და საქართველოს საზღვაო და საზღვაო შესაძლებლობების გაუმჯობესებით.[86]

რეგიონი მთავარი განხილვის საგანი გახდა სხვადასხვა სამიტებზეც. მაგალითისათვის, 2016 წელს, ნატოს ვარშავის სამიტზე მოკავშირეები შეთანხმდნენ, რომ პარტნიორი ქვეყნების თავდაცვისუნარიანობის ზრდა ალიანსის ინტერესებში შედის და პირდაპირ ემსახურება ევროატლანტიკური უსაფრთხოების გაძლიერებას. აღინიშნა, რომ განიხილავენ სხვადასხვა შესაძლებლობებს რეგიონში ნატო-ს ყოფნის გასაძლიერებლად. დეკლარაციაში მკაფიოდაა ხაზგასმული, რომ ალიანსი გააძლიერებს დიალოგსა და თანამშრომლობას საქართველოსთან და უკრაინასთან შავი ზღვის აკვატორიაში უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებით.[87]

აგრეთვე, ვარშავის სამიტის ფარგლებში მიღებულ **Tailored Forward Presence (TFP)** ფორმატში აშშ-მ გადაისროლა 500 სამხედრო მოსამსახურე მიჰაილ კოგალნიჩეანუს (Mihail Kogalniceanu) მოწინავე ბაზაზე, რომელიც საჰაერო ბაზაა, სადაც დამატებით საჰაერო

---

[86] U.S. Leadership Needed to Improve Maritime Security in the Black Sea and the Sea of Azov - https://www.heritage.org/global-politics/report/us-leadership-needed-improve-maritime-security-the-black-sea-and-the-sea, May 3, 2021 (ბოლოს ნანახია 15.09.2021)

[87] Warsaw Summit Communiqué, 09 Jul. 2016 - https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_133169.htm 09 Jul. 2016. პუნქტი- 23 (ბოლოს ნანახია 07.07.2020)

კომპონენტი განთავსდა (ბრიტანული 4 ტაიფუნის გამანადგურებელი) საჰაერო პატრულირების მისიის გასაძლიერებლად.[88]

ვარშავის სამიტის დეკლარაციაში ასევე აღინიშნა, რომ 2014 წლის შემდეგ გართულდა უსაფრთხოების გარემო ბალტიის ზღვის რეგიონშიც. კერძოდ, ხაზი გაესვა რუსეთის გააქტიურებულ სამხედრო აქტივობებს და ახალი სამხედრო ტექნოლოგიების განლაგებას, რაც დამატებით გამოწვევებს უქმნის რეგიონის უსაფრთხოებას.[89]

2014 წელს, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიისა და უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ, დასავლური საზოგადოება სერიოზულად დაფიქრდა რუსეთიდან მომავალი საფრთხის მასშტაბებზე და დემოკრატიული ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობაზე.[90]

ყირიმის ანექსიამ სათავე დაუდო შავი ზღვის რეგიონში სამხედრო ბალანსის ცვლილებას რუსეთის ფედერაციის სასარგებლოდ, რომელიც დიდი დოზით ახდენს რეგიონის მილიტარიზაციას და მოიცავს როგორც საჰაერო თავდაცვის, ასევე საზღვაო ფლოტის გაძლიერებასაც.

ყირიმის ანექსიით რუსეთმა დაგმო 1994 წლის ბუდაპეშტის მემორანდუმი, უარყო 1997 წლის რუსეთ-უკრაინის სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულება და შავი ზღვის ფლოტის შეთანხმებები, ასევე ხარკოვის შეთანხმებები, რომლებიც დაიდო პრეზიდენტ იანუკოვიჩსა და მედვედევს შორის 2010 წელს. მან ფაქტობრივად გააუქმა 2003 წლის თანამშრომლობის ხელშეკრულება

88 შავი ზღვის უსაფრთხოება - შანსი საქართველოსთვის თუ მშვიდობის შორეული პერსპექტივა - http://eugeorgia.info/ka/article/635/shavi-zgvis-usafrtxoeba---shansi-saqartvelostvis-tu-mshvidobis-shoreuli-perspeqtiva/ ( ბოლოს ნანახია 25.07.2021)

89 საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრი, „ნატო-ს ვარშავის სამიტის დეკლარაციის მოკლე მიმოხილვა“ - https://gcsd.org.ge/storage/files/doc/NATO-Warsaw-Summit-FINAL.pdf (ბოლოს ნანახია 20.07.2021)

90 პეტრიაშვილი, ალექსი. „საქართველო, ნატო და შავი ზღვა“, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2021 წ. გვ. 1

აზოვის ზღვასა და ქერჩის სრუტის მიმართ. ამ იურიდიულ ვაკუუმს დე ფაქტოდ რუსეთის შიდა კანონმდებლობა ავსებს.[91]

2019 წლის 19 აპრილს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე გრუშკომ განაცხადა: ”ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მონტროს კონვენცია მკაცრად უნდა იყოს დაცული, როგორც უსაფრთხოების სერიოზული გარანტი”. მან ასევე დასძინა, რომ ”უსაფრთხოების თვალსაზრისით მთავარი პრობლემა არალეგალური ქვეყნების მცდელობებია გაზარდონ თავიანთი ყოფნა იქ”.

გარდა ამისა, შავი ზღვის რეგიონი წარმოადგენს ავანსცენას, სადაც ნატოსა და რუსეთის სამხედრო ძალებს ყველაზე მჭიდროდ უწევთ ურთიერთქმედება, რაც მუდმივ დაძაბულობის წყაროს წარმოშობს.[92] ვითარებას ამძაფრებს ფაქტი, რომ რუსეთს შეღწევის საწინააღმდეგო და ტერიტორიული შეზღუდვის (Anty-access and areal denial - A2/AD) სისტემებით სრულად აქვს დაფარული რეგიონი. დაძაბულობის ხარისხი ასევე თავისი გამოსვლით გაზარდა თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა, რომელმაც 2016 წელს სტამბოლში, ბალკანეთის უსაფრთხოების კონფერენციაზე გამოსვლისას, შავი ზღვა „რუსეთის ტბად“ მოიხსენია და ნატოს უფრო აქტიური წარმოდგენისკენ მოუწოდა რეგიონში.[93]

ერდოღანის განცხადებას დამატებით ინტერესს სძენს ფაქტი, რომ სწორედ თურქეთის მიერ წარმოებული პოლიტიკის შედეგია ის, თუ რატომ არაა წარმოდგენილი ნატო სათანადოდ შავ ზღვაზე. თურქეთი

---

[91] Security in the Black Sea Region: Realpolitik or a New Unipolarity? - https://icds.ee/en/security-in-the-black-sea-region-realpolitik-or-a-new-unipolarity/, JUNE 3, 2020 (ბოლოს ნანახია 29.10.2020)

[92] ღვინერია, შოთა. “შავი ზღვის უსაფრთხოება ნატოს ყურადღების ცენტრში”, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2016 წ. გვ. 6.

[93] Erdogan, In Plea To NATO, Says Black Sea Has Become "Russian Lake", https://eurasianet.org/erdogan-plea-nato-says-black-sea-has-become-russian-lake May 12, 2016 (ბოლოს ნანახია 01.09.2021)

დიდი ხანია ცდილობს გახდეს მთავარი მოქმედი სუბიექტი შავ ზღვაზე. ცივი ომის შემდეგ, ანკარამ თავისი გავლენის გაფართოება ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების თურქული თემების ჩართვით სცადა. თურქეთის შავი ზღვის სტრატეგიის მთავარი კომპონენტი დასავლეთის გამორიცხვა იყო რეგიონული ინიციატივებისგან. ოფიციალური ანკარა ფიქრობდა, რომ შავ ზღვაში ნატოს ყოფნა დაჩრდილავს მის როლს რეგიონში, გაზრდის რუსეთთან დაპირისპირების რისკს და დარტყმას მიაყენებს თურქეთის ინიციატივების ლეგიტიმურობას. თურქეთმა გამორიცხა ალიანსი ანკარის ხელმძღვანელობით შექმნილ შავი ზღვის საზღვაო ძალებისგან (BLACKSEAFOR), საზღვაო უსაფრთხოების ინიციატივისაგან, რომელიც 2001 წელს დაიწყო. თურქეთის ხელმძღვანელობით განხორციელებული კიდევ ერთი ინიციატივა შავი ზღვის ჰარმონია გახლდათ, რომელიც დაფიქსირდა ნატო-ს აქტიური მცდელობის მისიის ალტერნატივად ტრანსნაციონალური ტერორიზმის და კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.[94]

ამ მოცემულობებმა შექმნეს ილუზია, რომ ზღვისპირა სახელმწიფოების თანამშრომლობით შესაძლებელი იქნებოდა რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მაგრამ როგორც დროთა მიმდინარეობამ გვიჩვენა საკითხის მხოლოდ რეგიონულ დონეზე მსჯელობა და შემდგომ მოგვარება შეუძლებელი აღმოჩნდა.

ბოლო პერიოდში ნატოსა და თურქეთს შორის დაძაბული ვითარებიდან გამომდინარე, რუსეთის ფედერაცია მკვეთრად დაუახლოვდა თურქეთის რესპუბლიკას, რომელმაც რუსეთისაგან S-400-ის ტიპის თავდაცვითი სისტემები შეისყიდა, რაც გარკვეულწილად მათ სამომავლო თანამშრომლობასაც განაპირობებს.

---

[94] Balance in the Black Sea: The complex dynamic between Turkey, Russia, and NATO - https://www.mei.edu/publications/balance-black-sea-complex-dynamic-between-turkey-russia-and-nato , November 18, 2019 (ბოლოს ნანახია 15.07.2020)

პარალელურად თურქეთი შავი ზღვის ფსკერზე ბუნებრივი აირის ძიების სამუშაოებს აწარმოებს. 2019 წელს ქვეყნის პირველმა საბურღმა გემმა, ფატიჰმა, 405 მლრდ. კუბური მეტრი ბუნებრივი აირი იპოვა საკარიას გაზის სფეროში, რომელიც თურქეთის შავი ზღვის სანაპიროდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 100 საზღვაო მილში მდებარეობს (185 კილომეტრი).[95] უკანასკნელი ინფორმაციით კი თურქეთმა დამატებით 135 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი აღმოაჩინა სამხრეთ შავ ზღვაში. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია პრეზიდენტმა ერდოღანმა გააჟღერა და აღნიშნა, რომ რეგიონში მთლიანი აღმოჩენილი ბუნებრივი აირის მოცულობა 540 მილიარდ კუბურ მეტრს შეადგენს.[96]

არსებობს განსხვავებული მოსაზრებები იმის შესახებ, შავი ზღვის რეგიონი უნდა ჩაითვალოს თუ არა ევროპის შემადგენელ ნაწილად თუ აღიქვან, როგორც მეზობელი რეგიონი. ზოგიერთი მოსაზრება გულისხმობს იმას, რომ რეგიონი უნდა განთავისუფლდეს რუსეთის გავლენისაგან, დანარჩენები თვლიან, რომ შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოების შესაძლებლობების ზრდა პირდაპირ მიმართულია რუსეთის პროვოცირებისკენ.

რუსეთს აქვს საშუალება, ყირიმში, ჩრდილო-კავკასიის ზღვისპირა ზოლსა და საქართველოში განლაგებული C-300 და C-400 საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებით გადაფაროს შავი ზღვის თავზე არსებული საჰაერო სივრცის დიდი ნაწილი, დაახლოებით, მანგალია

---

95 Turkey signals new natural gas discovery in Black Sea - https://www.dailysabah.com/business/energy/turkey-signals-new-natural-gas-discovery-in-black-sea, MAY 24, 2021 (ბოლოს ნანახია 17.12.2021)

96 Erdogan says Turkey discovered 135 bcm additional natural gas in Black Sea - https://www.reuters.com/world/middle-east/erdogan-says-turkey-discovered-135-bcm-additional-natural-gas-black-sea-2021-06-04/, June 4, 2021 (ბოლოს ნანახია 17.12.2021)

(რუმინეთი) - ზონგულდაკი (თურქეთი) ზღუდემდე.[97] განსხვავებულია შავი ზღვის აუზის ქვეყნების საზღვაო ძალების მობილობა პორტებშიც (იხ. სურათი 1). რომელიც თვალნათლივ წარმოაჩენს იმ დისბალანსს, რომელიც არსებობს რეგიონში და რომელი მხარისკენაა გადახრილი სასწორის პინა საზღვაო თვალსაზრისით.




სურათი №1. რეგიონში წარმოდგენილი საზღვაო ძალები შავი ზღვის აუზის ქვეყნების მიხედვით[98]

რუსეთისთვის შავი ზღვის მნიშვნელობა სცილდება რეგიონულ მასშტაბს. იგი ასევე იყენებს ყირიმს პლაცდარმად საზღვარგარეთ შემდგომი სამხედრო მოქმედებებისთვის, მაგალითად სირიაში, ლიბიასა და არაბეთის ზღვაში. ამას დაემატა ისიც, რომ რუსეთმა ხელი მოაწერა შეთანხმებას სუდანთან, დაარსებულიყო საზღვაო ფლოტი აფრიკულ ქვეყანაში მინიმუმ მეოთხედი საუკუნის განმავლობაში. გარიგება, რომელიც გამოქვეყნდა სამთავრობო დოკუმენტების ოფიციალურ პორტალზე, რუსეთს საშუალებას აძლევს ერთდროულად ოთხი

[97] სურმავა, გიორგი. „შავი ზღვა – მოთამაშეთა ინტერესები და შესაძლებლობები“, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2021 წ. გვ. 6

[98] Closure of the Black Sea in April, 2021 - https://www.blackseanews.net/en/read/176482 (ბოლოს ნანახია 12.12.2021)

ფლოტის გემი განათავსოს, მათ შორის ბირთვული ენერგიის მქონე, სუდანის პორტში, წითელ ზღვაზე. ხელშეკრულება გრძელდება 25 წლის განმავლობაში და შეიძლება ავტომატურად გაგრძელდეს 10 წლის ვადით, თუ არც ერთი მხარე არ გააპროტესტებს მას.[99]

2021 წლის აშშ-ს სამხედრო სიძლიერის ინდექსი აჩვენებს, რომ: რუსეთმა ყირიმში 28,000 ჯარისკაცი განათავსა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, ისევე როგორც აეროდრომების აღდგენისა და ახალი რადარის დამონტაჟების ძირითადი პროგრამა დაიწყო. მაგალითად, მონოლიტ-B სარადარო სისტემის განთავსება, რომლის პასიური დიაპაზონი 450 კილომეტრია, გარდა ამისა, რუსულ აღჭურვილობაში შედის 40 ძირითადი საბრძოლო ტანკი, 680 ჯავშანტრანსპორტიორი და სხვადასხვა სახის 174 საარტილერიო სისტემა" 113 საბრძოლო თვითმფრინავთან ერთად. 2019 წლის მარტში რუსეთმა გამოაცხადა ბირთვული შესაძლებლობების მქონე Tupolev Tu-22M3 სტრატეგიული ბომბდამშენების განთავსება ოკუპირებულ ყირიმში, გვარდეისკოის საჰაერო ბაზაზე.[100]

აღნიშნული საზღვაო ძალების წარმოდგენას რეგიონში რასაკვირველია მონტროს კონვენცია არეგულირებს, შავი ზღვის აკვატორიის სახელმწიფოებს შეზღუდვები არ ეხებათ როგორც საზღვაო, ასევე სამხედრო ხომალდების განლაგებისა შავი ზღვის აკვატორიაში. ასევე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ რუსეთმა ყირიმში წარმოდგენილი შავი ზღვის ფლოტის დახმარებით შეძლო ჰუმანიტარული და სამხედრო ოპერაციების უზრუნველყოფა ბაშარ ალ-ასადის მხარდასაჭერად სირიაში. გარდა შავი ზღვის აკვატორიაში

---

[99] Russia has signed an agreement to establish a navy base on the Red Sea for at least 25 years - https://www.businessinsider.com/russia-agreement-for-navy-base-in-sudan-for-25-years-2020-12 , Dec 9, 2020, (ბოლოს ნანახია 20.12.2021)

[100] U.S. Leadership Needed to Improve Maritime Security in the Black Sea and the Sea of Azov - https://www.heritage.org/global-politics/report/us-leadership-needed-improve-maritime-security-the-black-sea-and-the-sea, May 3, 2021 (ბოლოს ნანახია 15.11.2021)

წარმოდგენილი საზღვაო ძალებისა, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები წარმოდგენილნი არიან რეგიონის სხვადასხვა სახელმწიფოებში სხვადასხვა რაოდენობებით (იხ. სურათი №2).




*სურათი №2. რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები/სამშვიდობოების რაოდენობა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებში (2020 წლის 13 ნოემბრის მონაცემები)*[101]

ზემოთ წარმოდგენილი მონაცემები ნათლად ასახავს რეგიონში რუსეთის ძლიერებას და იგი ყველანაირად ეცდება შეინარჩუნოს აღნიშნული პოზიციები, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც კონფრონტაციის მაღალი მაჩვენებელი არსებობს რეგიონში და თვლის, რომ მისი ეროვნული ინტერესების შესაბამის ქმედებებს ახორციელებს, ხოლო ნატოს, მის მოკავშირე სახელმწიფოებსა და ორგანიზაციების ქმედებებს იგი პროვოკაციულად აფასებს.

ბოლო პერიოდში რეგიონში მიმდინარე მოვლენებმა აჩვენა, რომ შავ ზღვაში განვითარებული მოვლენები ზეგავლენას ახდენენ ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაზე. ამიტომაც 2004 წლის სამიტზე შავი

[101] უსაფრთხოება შავი ზღვის რეგიონში - https://iberiamagazine.com/usaprtxoeba-shavi-zgvis-regionshi/ 2020 წ. 21 დეკემბერი. (ბოლოს ნანახია 20.10.2021)

ზღვის აუზის 2 სახელმწიფო ახალ წევრად მიიღეს, ესენი არიან ბულგარეთი და რუმინეთი.

შავი ზღვის რეგიონში ნატოს 3 წევრი (რუმინეთი, თურქეთი და ბულგარეთი) და ორი პარტნიორი სახელმწიფოა (უკრაინა, საქართველო), რომელთაც ერთმანეთისაგან განსხვავებული ხედვები აქვთ არსებული გამოწვევების საპასუხოდ. ისევე როგორც ცალკე აღნიშვნის ღირსია ევროკავშირის დაინტერესება რეგიონის მიმართ. (სურათი №3)




*სურათი №3 თურქეთის შავი ზღვის პოლიტიკა შეზღუდულია რუსეთთან ძალაუფლების დისბალანსით*[102]

რეგიონში დიდ როლს თამაშობს ევროკავშირიც, რომელსაც თავისი ინტერესები გააჩნია მიმდინარე პროცესებში და სხვადასხვა ინიციატივებით ცდილობს საკუთარი ინტერესების გატარებას.

[102] Turkey Has No Allies in the Black Sea, Only Interests - https://www.csis.org/analysis/turkey-has-no-allies-black-sea-only-interests February 13, 2018 (ბოლოს ნანახია 07.09.2021)

ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოება დამოკიდებული ხდება მილსადენის პროექტების წარმატებაზე, რომლებიც გადის სამხრეთ კავკასიაზე, თურქეთზე, უკრაინასა და ევროკავშირის წევრ ზღვისპირა სახელმწიფოებზე. ისევე როგორც ნატო, ევროკავშირიც თანდათან კარს უღებს ორგანიზაციაში ახალ წევრებს, სადაც 2007 წელს ბულგარეთი და რუმინეთიც აღმოჩნდნენ. ამ ქვეყნების გაწევრიანებამ ორგანიზაციას გაუჩინა რეგიონში უფრო კონსოლიდირებული როლის თამაშის ინტერესი და ამბიცია.[103]

ევროკავშირი წლების განმავლობაში ახორციელებდა სხვადასხვა პროექტებს რეგიონში, რომელმაც ხელი შეუწყო მისი გავლენის გაძლიერებას. რომლის ნათელი დასტურია ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა (2003 წ.), შავი ზღვის სინერგია (2007 წ.), აღმოსავლეთ პარტნიორობა (2009 წ.), რომლებმაც არამხოლოდ ევროკავშირის დიდი დოზით წარმოდგენას შეუწყვეს ხელი, არამედ რეგიონის სახელმწიფოებიც დააახლოვეს ერთმანეთთან.

1997 წელს ევროკომისიამ ხაზი გაუსვა თანამშრომლობის აუცილებლობას შავი ზღვის რეგიონში, რომელიც რეგიონზე მეტად სანაპირო ქვეყნებთან ორმხრივ ურთიერთობებზე იყო ფოკუსირებული.[104] ევროკავშირის ინტერესი რეგიონის მიმართ მას შემდეგ გაიზარდა, რაც იგი საზღვაო აქტორი გახდა (ბულგარეთისა და რუმინეთის წევრობით), რაც გამოიხატა იმ გამოწვევების დაძლევაში, რომელიც რეგიონში არსებობდა და არსებობს, ესენია, მიგრაცია, სოციალური საკითხები, ეკონომიკური, ტერორიზმი, ტრეფიკინგი, ბუნებრივი რესურსების და რაც მთავარია სატრანზიტო ქვეყნების

---

[103] გოგოლაშვილი, კახა. „ევროკავშირის შავი ზღვის პოლიტიკა და გაფართოება", საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2018 წ. გვ. 2

[104] EC Communication on Regional C ooperation in the Black S ea A rea: S tate of P lay, P erspectives for EU A ction E ncauraging its F urther D evelopment (Doc. COM (97) 579 Final, Brussels, 14 November 1997).

მიმართ ინტერესი, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ევროკავშირის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას.

მომდევნო პერიოდში ევროკავშირმა თავისი წვლილი შეიტანა რიგ ინიციატივებში და რეგიონული მნიშვნელობის პროგრამებში, კერძოდ:

- ბაქოს ინიციატივა;
- ინოგეიტის (INOGATE) პროგრამა;
- ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა;
- ტრასეკა (TRACECA);
- მაღალი დონის ჯგუფის ინიციატივები;
- გარემოს დაცვა;
- კონფლიქტის გადაჭრა;
- ეროვნული კვლევისა და განათლების ქსელების შექმნა;
- მეცნიერება და ტექნოლოგია.[105]

2011 წლის 20 იანვარს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებს ”ევროკავშირის სტრატეგიას შავი ზღვის შესახებ” და მისი მოქმედების თანმიმდევრულობას.[106] რეზოლუციამ ევროკომისიასა და ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში მისცა მითითებები სტრატეგიის შემუშავების შესახებ. ხაზი გაესვა უსაფრთხოებას, ენერგეტიკასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

---

105 Communication from the Commission to the Council and the European Parliament black sea synergy - A new regional cooperation initiative. Brussels, 11.4.2007 COM(2007) 160 final

106 European Parliament resolution of 20 January 2011 on an EU Strategy for the Black Sea - https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-7-2011-0025_EN.html?redirect, 2010/2087(INI) (ბოლოს ნანახია 14.08.2021)

ფაქტობრივად, ევროკავშირის შავი ზღვის სამომავლო სტრატეგიის იდეა უკვე შევიდა ევროპარლამენტის 2008 წლის 17 იანვრის რეზოლუციაში ”შავი ზღვის რეგიონული პოლიტიკის მიდგომის შესახებ”,[107] რომელიც მიესალმება კომისიის გადაწყვეტილებას ევროკავშირის შავი ზღვის პოლიტიკის ჩარჩოს წამოწყების შესახებ, ასახულია კომისიის 2007 წლის 11 აპრილის კომუნიკეში შავი ზღვის სინერგიის შესახებ.[108]

შავი ზღვის აუზში ორი ძლიერი სახელმწიფო მდებარეობს თურქეთი და რუსეთის ფედერაცია. მათ შორის საუკუნეების მანძილზე არაკეთილმეზობლური ურთიერთობები არსებობდა, რამაც თანამედროვე პერიოდშიც ჰპოვა ასახვა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თურქეთი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სრულუფლებიანი წევრი გახდა. უკანასკნელ პერიოდში კი ვითარება რადიკალურად შეიცვალა, რომელიც მხარეებს შორის საერთო ენის გამონახვასა და თანამშრომლობაში გამოიხატა. თურქეთის რესპუბლიკას დასავლეთთან ურთიერთობის დაძაბვის ფონზე, უწევს ძლიერი მოკავშირეების მოძიება და მათთან კომუნიკაცია. აღნიშნული კავშირები სტრატეგიულ და ტაქტიკურ ხასიათებს ატარებს, რომელიც სავარაუდოა, რომ მოკლე პერიოდით შემოიფარგლება, რადგან ორივე მხარეს განსხვავებული ინტერესები აქვს. ეს გამოხატულია სხვადასხვა საკითხებში შეუთანხმებლობით, როგორიცაა, კოსოვო, სირია, ცხინვალის რეგიონი, აფხაზეთი და სხვა. მთავარი შეუთანხმებლობის საგანი კი რასაკვირველია ყირიმის ნახევარკუნძულია, სადაც რუსეთის საჯარისო დანაყოფებია განთავსებული, აღნიშნულ ტერიტორიას კი თურქეთი უკრაინელებს მიაკუთვნებს და მიიჩნევს, რომ უკრაინის

---

[107] TOURNAN, Fernando GARCES DE LOS FAYOS. "The EU's Black Sea Policy: Where Do We Stand?." 2013

[108] Communication from the Commission to the Council and the European Parliament black sea synergy - A new regional cooperation initiative - https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2007:0160:FIN:EN:PDF, Brussels, 11.4.2007 (ბოლოს ნანახია 14.08.2021)

შემადგენლობაში დაცულია მათი მონათესავე - ყირიმელი თათრების უფლებები და სამხედრო ბალანსი შავი ზღვის რეგიონში.

უკანასკნელ პერიოდში აღნიშნული გარემოებები სულაც არ უშლის ხელს სახელმწიფოებს დაათბონ ურთიერთობები, რომელიც თითქმის ჩაიშალა მას შემდეგ, რაც თურქულმა გამანადგურებლებმა, 2015 წლის 24 ნოემბერს, ჩამოაგდეს რუსული სუ-24 ტიპის სამხედრო თვითმფრინავი სირიისა და თურქეთის საზღვართან,[109] თუმცა 2015 წლის ბოლოს რუსეთმა გააუქმა თურქეთისთვის დაწესებული სანქციების უმეტესობა. ახლო ურთიერთობები ასევე ერდოღანის აშკარა მადლიერებას ემსახურება 2016 წლის ივლისში, თურქეთში გადატრიალების მცდელობისას პუტინის მხარდაჭერისა და ორი ქვეყნის ეკონომიკური კავშირების შესახებ, რაც ძლიერ სტიმულს აძლევდა რუსეთს ყურადღება სანქციების დასრულებისკენ მიეპყრო. მაგრამ რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება კვლავ აშკარაა ორ ქვეყანას შორის მოქცეულ რეგიონებში - შავი ზღვასა და სამხრეთ კავკასიაში.[110]

ანკარა ახლა პარიზში, ბერლინსა და ვაშინგტონში აღიქმება, როგორც მთავარი პრობლემური საკითხი, მაგრამ ის ხშირად ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესების გატარებას და ძალაუფლების განმტკიცებას. რაც თურქეთის მიერ აზერბაიჯანისთვის ერთპიროვნულ მხარდაჭერაში გამოიხატა, რომელიც სომხეთის წინააღმდეგ ომში გამოიხატა 2020 წლის შემოდგომაზე, რამაც ბევრ რუს ანალიტიკოსში უკმაყოფილება გამოიწვია და თურქეთთან ურთიერთობის გადაფასება და პერსპექტივების გადახედვა დააყენა დღის წესრიგში. 2020 წლის ოქტომბერში, ვალდაის სადისკუსიო კლუბის შეხვედრაზე პუტინმა შეარბილა რიტორიკა და ხაზი გაუსვა თანამშრომლობის ორმხრივ

[109] Turkey's downing of Russian warplane - what we know - https://www.bbc.com/news/world-middle-east-34912581 (ბოლოს ნანახია 11.04.2021)

[110] Russia and Turkey in the Black Sea and the South Caucasus - https://www.crisisgroup.org/europe-central-asia/western-europemediterranean/turkey/250-russia-and-turkey-black-sea-and-south-caucasus, 28 JUNE 2018 (ბოლოს ნანახია 11.04.2021)

ინტერესს, და აღნიშნა, რომ ”რაც არ უნდა შეუვალად შეიძლება გამოიყურებოდეს პრეზიდენტ ერდოღანის პოზიცია, მე ვიცი, რომ ის მოქნილი პიროვნებაა და შესაძლებელია მასთან საერთო ენის გამონახვა”.[111] ეს ელიფსური აღწერილობა ადასტურებს მაღალი დონის ურთიერთქმედების მნიშვნელოვან როლს გართულებული ურთიერთობის ფონზე, მაგრამ ნაკლებად მიანიშნებს მის ნამდვილ სტატუსსა და მოსალოდნელ პერსპექტივებზე.[112]

ნატოსათვის რუსული აგრესიების (1992 წ. მოლდოვა, 2008 წ. საქართველო და 2015 წ. დონბასი) ეფექტურად შეკავების გამოწვევა ისეთი მნიშვნელოვანი პარტნიორების მიმართ, როგორებიცაა საქართველო და უკრაინა, მხოლოდ თურქეთთან მოწინავე სამხედრო თანამშრომლობის გზით შეუძლია. S-400-ის სარაკეტო სისტემის განლაგების შედეგად თურქეთს არამყარი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა ნატო-სთან. რუსეთი ცდილობს დაძაბულობის გაღვივებას თურქეთსა და ზოგიერთ არაბულ სახელმწიფოს შორის, მაგალითად, შავიზღვისპირეთში ეგვიპტესთან ერთობლივი საზღვაო წვრთნების მოწყობით.[113] მიუხედავად ამისა, თურქეთი ნატო-ს სტრატეგიის პრინციპების ერთგულია რეგიონში და მონაწილეობს ორგანიზებულ წვრთნებში.

რუსეთის სტრატეგიული დაგეგმვის ერთ-ერთი რთული წინაღობა თურქეთის მიერ ბოსფორის დახურვის შესაძლებლობაა შავი ზღვის ფლოტისთვის, რომელიც შესაძლოა მწვავე საერთაშორისო კრიზისების მიმდინარეობისას მოხდეს (მონტროს კონვენციის მიხედვით).

---

111 Meeting of the Valdai Discussion Club - http://en.kremlin.ru/events/president/news/64261 October 22, 2020 (ბოლოს ნანახია 30.04.2021)

112 Baev, Pavel “Russia and Turkey. Strategic Partners and Rivals”, Russie.Nei.Reports, No. 35, Ifri, May 2021. P.6

113 Россия и Египет посылают Турции сигнал военными маневрами - https://www.ng.ru/armies/2020-11-15/100_15112020_signal.html, 15.11.2020 (ბოლოს ნანახია 22.09.2021)

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში თურქეთმა უკრაინასთან მჭიდრო თავდაცვითი და ეკონომიკური კავშირები დაამყარა. სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადმა უკრაინულმა კომპანია Ukrspecexport-მა და კერძო თურქულმა თვითმფრინავების სპეციალისტმა ბაიკარ მაკინამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ”თავდაცვისა და კოსმოსურ სივრცეში მგრძნობიარე ტექნოლოგიების შემუშავებისა და წარმოების შესახებ“.

## 2.3. საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაციების როლი შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში

შავი ზღვის რეგიონის პოლიტიკური და ეკონომიკური ლანდშაფტი რადიკალურად გასული საუკუნის 90 – იანი წლებიდან შეიცვალა, თუმცა რეგიონი კვლავ რთული გამოწვევების წინაშე დგას.

საერთაშორისო ორგანიზაციებს თანამედროვე მსოფლიოში პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნაში მნიშვნელოვანი როლი უჭირავთ, არ არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციის ერთი და ცალსახა განმარტება, OECD-ის სტატისტიკური ტერმინების ლექსიკონში ის შემდეგნაირადაა განმარტებული: „საერთაშორისო ორგანიზაციები არიან სუბიექტები, რომლებიც შექმნილნი არიან ოფიციალური პოლიტიკური შეთანხმებით, რომელსაც აქვს საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსი და კანონით აღიარებულია წევრ სახელმწიფოებში, თუმცა ისინი არ განიხილებიან სახელმწიფო ინსტიტუტებად, საიდანაც ისინი ფუნქციონირებენ“.[114]

[114] INTERNATIONAL ORGANISATIONS - https://stats.oecd.org/glossary/detail.asp?ID=1434 (ბოლოს ნანახია 26.08.2021)

შავი ზღვის რეგიონშიც არსებობენ ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი მთელი რიგი საკითხების მოგვარებაში და ცდილობენ ადეკვატური პასუხები გასცენ იმ გამოწვევებს, რომლითაც რეგიონი გამოირჩევა. პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ამ მიმართულებით უნდა მიმოვიხილოთ შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია გახლავთ (შემდგომში BSEC), რომელიც ბოსფორის შეთანხმების ხელმოწერით 1992 წლის 25 ივნისს დაარსდა თერთმეტი ქვეყნის - აზერბაიჯანის, ბულგარეთის, საქართველოს, საბერძნეთის, მოლდოვის, ალბანეთის, სომხეთის, რუმინეთის, რუსეთის ფედერაციის, თურქეთის და უკრაინის მიერ. სერბეთის რესპუბლიკა ორგანიზაციას 2004 წელს შეუერთდა.[115]

შავი ზღვის აუზის 11 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა დასახეს თანამშრომლობის პრინციპები, რომელიც სრულიად შესაბამისობაშია გაეროს ქარტიასთან, სადაც ფიგურირებს ჰელსინკის საბოლოო აქტის, პარიზის ქარტია ევროპისთვის და სხვა მნიშვნელოვანი თეზისები.

შავი ზღვის „თანამეგობრობის" იდეა პირველად აშშ-ში თურქეთის ელჩმა ელეკდაღმა წამოაყენა 1990 წელს, რითაც თურქეთის მაშინდელი პრეზიდენტი თურქუთ ოზალი დაინტერესდა (ამიტომაც იგი ცნობილია „ოზალის გეგმის" სახელით).

BSEC-ის ფილოსოფია ეფუძნება „სტაბილურობისა და მშვიდობის პრინციპს". ორგანიზაციის დაარსება მიზნად ისახავდა რეგიონული უსაფრთხოებისა და პოლიტიკურ სტაბილურობას რეგიონში. შედეგად, იგი ემყარებოდა სამ ძირითად მოტივს:

1. თანამშრომლობას და არა კონფლიქტს;

[115] International organisations - https://www.mfa.am/en/international-organisations/15 (ბოლოს ნანახია 26.08.2021)

2. რეგიონალიზმს, როგორც ნაბიჯს გლობალური ინტეგრაციისკენ;

3. ახალი განხეთქილებების თავიდან აცილებას ევროპაში.[116]

BSEC-ის ქარტიის მიღებით (იალტა, 1998 წლის 5 ივნისი), რომელიც ძალაში 1999 წლის 1 მაისიდან შევიდა, იგი პირველ სრულმასშტაბიან ეკონომიკურ სუბიექტად გადაიქცა რეგიონში.

დღეს, BSEC 12 წევრი ქვეყნისგან შედგება, ჰყავს 17 დამკვირვებელი პარტნიორი. მისი ინსტიტუციური სტრუქტურა მოიცავს მუდმივმოქმედ საერთაშორისო სამდივნოს და მასთან დაკავშირებულ ოთხ ორგანოს, კერძოდ:

- შავი ზღვის საპარლამენტო ასამბლეის ეკონომიკურ თანამშრომლობას (PABSEC);
- BSEC ბიზნეს საბჭოს (BSEC BC);
- შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკს (BSTDB);
- საერთაშორისო ცენტრს შავი ზღვის კვლევებისთვის (ICBSS).

2000-2002 წლებში BSEC გარდაიქმნა კონკრეტულ პროექტებზე ორიენტირებულ ორგანიზაციად. საქართველოს ინიციატივა, რომელიც მან სტამბოლის სამიტზე გააჟღერა, მიზნად ისახავდა ქვეყანაში რეგიონული ცენტრის შექმნას, შავი ზღვის აუზის სატრანსპორტო დერეფნის განვითარებით უზრუნველეყო არა მარტო შავი, არამედ კასპიისა და ხმელთაშუა ზღვების უსაფრთხო ათვისება.[117]

---

[116] Regional Cooperation in the Black Sea - https://www.bstdb.org/Regional_Cooperation_in_the_Black_Sea.pdf, Commissioned Paper for the Black Sea Trade and Development Bank Dr. Panagiota Manoli, University of the Aegean, May 2014, p.13 (ბოლოს ნანახია 20.08.2021)

[117] ქარუმიძე, ვახტანგ. საერთაშორისო ორგანიზაციები. საგანმანათლებლო კავშირი საზოგადოება ცოდნა. თბილისი, 2003 წ.

ორგანიზაციას აქვს წესდება, რომელიც ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამართლის პრინციპების დაცვით და მოიცავს რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობის, კეთილდღეობის ხელშეწყობას ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გათვალისწინებით.

დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია (The Organization for Democracy and Economic Development (GUAM)) - არის საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს აზერბაიჯანის რესპუბლიკას, საქართველოს, მოლდოვას რესპუბლიკასა და უკრაინას. დაარსდა 1997 წლის 10 ოქტომბერს. 1999 წელს მას უზბეკეთიც შეუერთდა ნატოს ვაშინგტონის სამიტის დროს, რომლის შემდეგაც სახელწოდებამ ცვლილება განიცადა და იწოდებოდა როგორც - სუუამი, თუმცა 2005 წელს უზბეკეთმა დატოვა ორგანიზაცია და მისი სახელიც კორექტირდა, მას დღეს მოიხსენიებენ როგორც - სუამს.

სუამ-ის მიზანია ხელსაყრელი გარემოს შექმნა ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფნის ეფექტური განვითარებისთვის. ისევე როგორც სავაჭრო ურთიერთობების ხელშეწყობა, რომელსაც 2000 წელს გაეროს შტაბ-ბინაში მიღებული მემორანდუმი იცავს. დოკუმენტში ასახულია ისეთი პრინციპები როგორიცაა თანასწორუფლებიანობა, საშინაო საქმეებში ჩაურევლობა და სხვა.

სუამ-ის ქარტიას ხელი მოეწერა სუამ-ის კიევის სამიტზე (2006 წლის 23 მაისი) და რატიფიცირდა 06.03.2008 წლის 136-VI კანონის (136-17) კანონით.

სუამის მიზნებია:

- დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრება, კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა და ადამიანის უფლებების პატივისცემა;
- უზრუნველყოს მდგრადი განვითარება;

- საერთაშორისო და რეგიონული უსაფრთხოების და სტაბილურობის განმტკიცება;

- ევროპული ინტეგრაციის გაღრმავება საერთო უსაფრთხოების სივრცის შექმნისა და ეკონომიკური და ჰუმანიტარული თანამშრომლობის გაფართოების მიზნით;

- სოციალურ-ეკონომიკური, ტრანსპორტის, ენერგეტიკული, სამეცნიერო და ჰუმანიტარული პოტენციალის განვითარება;

- პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავება ორმხრივი ინტერესის სფეროებში.[118]

დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობა (**დსთ**) - სუვერენული სახელმწიფოების თავისუფალი ასოციაცია, რომელიც 1991 წელს ჩამოაყალიბა რუსეთმა და 11 სხვა რესპუბლიკამ, რომლებიც ადრე საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყვნენ. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) დაარსება 1991 წლის 8 დეკემბერს მოხდა, როდესაც რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის არჩეულმა ლიდერებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ახალი ასოციაციის შექმნის შესახებ. სამ სლავურ რესპუბლიკას - ცენტრალური აზიის რესპუბლიკები ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი შეუერთდნენ, ისევე როგორც სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკები სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო და მოლდოვა (ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა - ლიეტუვამ, ლატვიამ და ესტონეთმა უარი განაცხადეს ახალ ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე). დსთ-ს დამფუძნებელი დოკუმენტის მე-7 მუხლის თანახმად, საერთო საქმიანობის სფეროები და მიზნები განისაზღვრება, რომელიც გამოხატულია შემდეგი ფორმით:

[118] The Organization for Democracy and Economic Development (GUAM) - https://mtu.gov.ua/en/content/organizaciya-za-demokratiyu-ta-ekonomichniy-rozvitok-guam.html (ბოლოს ნანახია 04.09.2021)

- საგარეო პოლიტიკური კურსების კოორდინაცია;

- თანამშრომლობა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სისტემების განვითარებაში;

- მიგრაციული პოლიტიკის საკითხები;

- ბრძოლა მიგრაციულ დანაშაულებებთან;

- თანამშრომლობა გარემოს დაცვის სფეროში, საყოველთაო-საერთაშორისო ეკოლოგიური უსაფრთხოების სისტემის შექმნაში მონაწილეობა;

- თანამშრომლობა საერთო ეკონომიკური სივრცის განვითარებისა და ფორმირების საქმეში, საერთო ევროპული და ევრაზიული ბაზრის, საბაჟო პოლიტიკის დარგში.[119]

ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციები რეგიონული სტატუსის მატარებელნი არიან, რომლებიც კონკრეტული რეგიონით შემოიფარგლებიან და მიზნად რეგიონის სტაბილურობასა და განვითარებას ისახავენ. თუმცა აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ მათი ეფექტურობის ხარისხი დაბალია და რეგიონულ დონეზე მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტას ვერ ახერხებენ. რეგიონის უსაფრთხოების საკითხში ჩართულნი არიან გლობალური აქტორებიც, რომლებსაც თავიანთი ინტერესები გააჩნიათ, რაც დაპირისპირების ახალ კერებს ქმნის.

იდეები, ახალი რეგიონული გაერთიანებების შექმნის შესახებ დღესაც არსებობს. თურქეთის პრეზიდენტმა 2020 წლის 10 დეკემბერს აზერბაიჯანში ვიზიტის დროს გააჟღერა ინიციატივა „ექვსეულის პლატფორმის“ შექმნის შესახებ, (წევრებად მოიაზრებოდნენ

[119] მაისაია, ვახტანგ, შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები, ქართულ-ევროპული ინსტიტუტი, პარიზი 2003 წ. გვ. 143

აზერბაიჯანი, თურქეთი, საქართველო, რუსეთის ფედერაცია, ირანი და სურვილის შემთხვევაში სომხეთი) სადაც მან აღნიშნა, რომ ეს იქნება ყველა მხარისათვის მომგებიანი თანამშრომლობის ფორმატი.[120] თუმცა, როგორც განვლილმა პერიოდმა გვიჩვენა ინიციატივა მხოლოდ გაჟღერებულ იდეად დარჩა და განვითარება ვერ ჰპოვა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ფაქტს, რომ რეგიონული პოლიტიკის წარმოება გლობალიზებულ მსოფლიოში წარმოუდგენლად რთულია.

[120] 6-country regional cooperation platform win-win for actors in Caucasus, Erdoğan says - https://www.dailysabah.com/politics/diplomacy/6-country-regional-cooperation-platform-win-win-for-actors-in-caucasus-erdogan-says, DEC 11, 2020 (ბოლოს ნანახია 27.10.2021)

# თავი III. შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება გლობალურ პოლიტიკაში

## 3.1. რეგიონში არსებული კონფლიქტების დარეგულირების გზები და სამშვიდობო ინიციატივების დინამიკა

### ყირიმის ანექსია

როგორც აღინიშნა, შავი ზღვის რეგიონი მისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე ერთგვარი საყრდენია დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, სადაც სტაბილურობის არამდგრადი გარემო გავლენას ახდენს საერთაშორისო პროცესებზე. რეგიონი ხასიათდება კონფლიქტური ბუნებით, რაც ხელს უშლის მდგრადობის შენარჩუნებას და მყიფე საფუძველს უქმნის რეგიონის სტაბილურობას.

რეგიონი რამდენიმე „გაყინული კონფლიქტით" წარმოგვიდგება, რომლის მოგვარებისა და აღმოფხვრის ტენდენციები სამწუხაროდ არ შეინიშნება. ესენია: ყირიმის ანექსია, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი.

ყირიმში, 2014 წლის 16 მარტს ტერიტორიის სამართლებრივი სტატუსის შესახებ რეფერენდუმი ჩატარდა. შედეგების მიხედვით, ამომრჩეველთა დაახლოებით 95,5%-მა მხარი რუსეთთან შეერთებას

დაუჭირა.[121] ყირიმის ლიდერმა საზოგადოებას აცნობა, რომ შეიტანდა განცხადებას რუსეთთან შეერთების შესახებ. ამის პარალელურად რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ ის პატივს სცემს ყირიმელი ხალხის სურვილებს. 2014 წლის 17 მარტს ყირიმის პარლამენტმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა და რუსეთის ფედერაციას შეერთების თხოვნით მიმართა. რუსეთმა ოფიციალურად ყირიმის ანექსია 2014 წლის 21 მარტს მოახდინა[122]. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რეფერენდუმი და რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 2014 წლის 27 მარტს უკანონოდ გამოაცხადა.[123]

რუსეთისათვის ყირიმის ნახევარკუნძულის მნიშვნელობის გასაგებად აუცილებელია ისტორიული წინამძღვრებები მიმოვიხილოთ, რომელიც ანექსიას უძღოდა წინ. მოკლე ისტორიული შესავალი რუსეთისთვის ყირიმის მნიშვნელობის გასაგებად შემდეგია: „სწორედ ნახევარკუნძულზე ბიზანტიამ [იმპერიამ] გადასცა მართლმადიდებლური ქრისტიანობის მანტია რუსეთს… როდესაც ძველ ბერძნულ კოლონიურ ქალაქ ხერსონესოსში, ბიზანტიის იმპერატორმა მონათლა კიევის რუსეთის პრინცი ვლადიმერი“.[124] ყირიმის ნახევარკუნძული რუსეთის იმპერიის ნაწილი ოფიციალურად 1783 წელს, ეკატერინე დიდის (1762-1796) ბრძანებით გახდა.[125] მას შემდეგ ყირიმის საზღვაო პორტები რუსული შავი ზღვის ფლოტის სახლი გახდა და ნახევარკუნძული მაშინვე განიხილებოდა რუსეთის საზღვაო ძალების სტრატეგიულად მნიშვნელოვან ფორპოსტად. ყირიმი

---

121 Crimea referendum: Voters 'back Russia union' - https://www.bbc.com/news/world-europe-26606097

122 Ukraine: Putin signs Crimea annexation - https://www.bbc.com/news/world-europe-26686949

123 Backing Ukraine’s territorial integrity, UN Assembly declares Crimea referendum invalid - https://news.un.org/en/story/2014/03/464812-backing-ukraines-territorial-integrity-un-assembly-declares-crimea-referendum (ბოლოს ნანახია 14.06.2021)

124 Saluschev, S. Annexation of Crimea: Causes, Analysis and Global Implications, Global Societies Journal, Volume 2 - https://escholarship.org/content/qt5vb3n9tc/qt5vb3n9tc.pdf, p.38 (ბოლოს ნანახია 19.07.2021)

125 იქვე.

შეგვიძლია აღვიქვათ რუსეთისათვის მათი ქრისტიანული წარმომავლობისა და იდენტობის ადგილად, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რუსულ მეხსიერებაში.

XX საუკუნის მეორე ნახევარში, ყირიმი, ანუ ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა, უკრაინის შემადგენლობაში შევიდა. ტერიტორიაზე სრული იურისდიქცია და უფლებამოსილება, 1954 წელს ნიკიტა ხრუშჩოვის ინიციატივით, უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას გადაეცა.

2014 წლის მოვლენებმა, რუსეთის ფედერაციას ყირიმის შემოერთებასთან ერთად სევასტოპოლის პორტიც დაუქვემდებარა, რომელიც დიდ როლს ასრულებს მის საზღვაო ძალებში, რისი დასტურიც შავი ზღვის ფლოტის 80%-ის ამ პორტში განთავსებაა. აგრეთვე მისადგომი ცნობილია მისი გაუყინავი ნავსადგურით. გარდა სევასტოპოლის პორტისა აღნიშნულ ტერიტორიაზე რუსეთი ფლობს ასევე ფეოდოსიის პორტსაც, რომელსაც შეუძლია დაიტიოს რუსეთის საზღვაო ძალების 20%. ყირიმის ანექსიის მნიშვნელობას ხაზს უსვამს ის ფაქტორიც, რომ რუსეთის საზღვაო ძალების 90% ყირიმის ნახევარკუნძულზეა კონცენტრირებული.[126]

რუსეთის ეროვნული საზღვაო პოლიტიკის დოკუმენტში, შავ ზღვასა და აზოვის ზღვაზე, აღნიშნულია, რომ რუსეთის სტრატეგიული პოზიცია უნდა განმტკიცდეს სწრაფად და ყოვლისმომცველად, რათა მშვიდობა და სტაბილურობა შენარჩუნდეს რეგიონში (მუხლი 56).[127] ზოგადად, თურქეთის მთავარი პოლიტიკა შავი ზღვის რეგიონში რეგიონული თანამშრომლობის გარემოს შექმნაა, რომელიც

[126] Gabelia, Irakli. THE ECONOMIC SECURITY CHALLENGES IN THE BLACK SEA REGION AND IMPACT OF CONFLICTS Ante Portas - Security Studies (University of Business and Entrepreneurship) XVI (I): 11-21, 2021. doi: 10.33674/120211

[127] Морская доктрина Российской Федерации - http://static.kremlin.ru/media/events/files/ru/uAFi5nvux2twaqjftS5yrIZUVTJan77L.pdf (ბოლოს ნანახია 11.12.2021)

დაფუძნებულია რეგიონულ იდენტობასა და შესაძლო საგარეო ინტერვენციის შესაძლებლობის მინიმუმამდე დაყვანაზე, რამაც შეიძლება რეგიონის დესტაბილიზაცია გამოიწვიოს. შავ ზღვაში საგარეო ინტერვენციებზე საუბრისას აღსანიშნავია, რომ აშშ-მ, ევროკავშირმა და ნატომ გაზარდეს თავიანთი ეფექტურობა განსაკუთრებით რუსეთის მეზობელ ქვეყნებში, რამაც ჯერ პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია საქართველოში (2008 წ.) ხოლო შემდეგ უკრაინაში 2014 წელს.[128]

ცხადია, რომ ის მოვლენები, რამაც ყირიმის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლა გამოიწვია, მწვავე კამათის საგანია. რუსეთის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის ხელში ჩაგდება დამანგრეველი და ბევრისთვის შოკისმომგვრელი მოვლენა იყო, ვინც თვლიდა, რომ ასეთი ქმედებები წარსულს ჩაბარდა. ეს გახლდათ იმ მოვლენების თანმიმდევრობა, რომელიც დაიწყო უკრაინის მასშტაბით პროტესტებით, კიევში იანუკოვიჩის მთავრობის წინააღმდეგ, დემონსტრაციებით, რამაც მისი საბოლოოდ გადაყენება და რუსეთში გაქცევა გამოიწვია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის კონტინენტზე არცერთ სახელმწიფოს არ შეუერთებია სხვა სახელმწიფოს ტერიტორია.[129] კონფლიქტმა, დაახლოებით 14 000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო ევროპას დიდი დარტყმა მიაყენა, რადგან ეს იყო მიწის დატაცების უპრეცედენტო შემთხვევა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.[130]

კონფლიქტის დარეგულირება არა მხოლოდ მასში უშუალოდ მონაწილე მხარეთა, არამედ საერთაშორისო აქტორთა ინტერესის სფეროცაა. სწორედ მის აღმოსაფხვრელად მოლაპარაკებების ახალი ფორმატი შეიქმნა, რომელიც ნორმანდიის ფორმატის სახელითაა

---

[128] Gide, Fatih. Geopolitical Analysis of the Crimean Peninsula and the Black Sea in the Context of Turkish-Russian Energy Policy // Administrative consulting. 2020. No. 2. P. 134–147.

[129] John O'Loughlin & Gerard Toal - The Crimea conundrum: legitimacy and public opinion after annexation, Eurasian Geography and Economics, 2019. p.2

[130] Crimea: Six years after illegal annexation - https://www.brookings.edu/blog/order-from-chaos/2020/03/17/crimea-six-years-after-illegal-annexation/ (ბოლოს ნანახია 24.08.2021)

ცნობილი, მასში ჩართულნი არიან შემდეგი სახელმწიფოები: გერმანია, რუსეთი, უკრაინა და საფრანგეთი. სამუშაო ჯგუფი 2014 წლის 6 ივნისს შეიქმნა, როცა ქვეყნის ლიდერები ერთმანეთს საფრანგეთში, კერძოდ, ნორმანდიაში შეხვდნენ. ფორმატი მოიცავს ლიდერებსა და საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის სატელეფონო ზარებით კომუნიკაციას. საკონტაქტო ჯგუფის ფარგლებში, 2014 წლის 8 სექტემბერს გაფორმდა მინსკი I-ის შეთანხმება, რომელიც როგორც ცეცხლის შეწყვეტის, ისე კონფლიქტის მოგვარებისათვის საჭირო ნაბიჯების გადადგმას ითვალისწინებდა. თუმცა, მთავარ მიზნად შეიარაღებული კონფლიქტის შეჩერება და სიტუაციის დეესკალაცია რჩებოდა.[131] აღნიშნულმა შეთანხმებამ ხელშესახები შედეგი ვერ მოიტანა, რამაც დღის წესრიგში ახალი შეთანხმების შექმნის წინაპირობა წარმოშვა. მართლაც, 2015 წლის 12 თებერვალს, მინსკი II-ის შეთანხმება გაფორმდა, რომელსაც დონეცკსა და ლუგანსკში კონფლიქტების დარეგულირება ევალებოდა.[132]

მინსკი II-ის შეთანხმება პირობითად შეიძლება რამდენიმე ნაწილად დაიყოს:

- ცეცხლის შეწყვეტისა და კონფლიქტის მხარეთა დაშორიშორების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები;
- ადგილზე სიტუაციის ვერიფიკაციისა და მონიტორინგის მექანიზმები;
- კონფლიქტის მხარეთა შორის ნდობის აღდგენის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები;

[131] ბილანიშვილი, გიორგი. - უკრაინა - კონფლიქტის დარეგულირების სამშვიდობო პროცესი - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2021 წ. გვ. 1

[132] Package of Measures for the Implementation of the Minsk Agreements - https://www.osce.org/cio/140156 12 February 2015 (ბოლოს ნანახია 06.07.2021)

- კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირების მიზნით გადასადგმელი ნაბიჯები.[133]

აღნიშნული ფორმატის ეგიდით ჩატარებული შეხვედრების მიუხედავად, სიტუაცია კვლავ დაძაბული, ხოლო რეგიონში სამხედრო შეტაკებების საშიშროება საკმაოდ მაღალია. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დღეს არსებული ფორმატები ვერ უზრუნველყოფენ სიტუაციის სტაბილიზაციას და ხელშესახები შედეგების მიღებას მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის.

ანალოგიურ პოზიციას ავითარებს ებრაელი ისტორიკოსი და პროფესორი იუვალ ნოა ჰარარი, რომელიც აღწერს იმ პოლიტიკური კრიზისების მასშტაბს, რომლის წინაშეც დღეს სრულიად კაცობრიობა დგას. იგი აღნიშნავს, რომ ამ ეტაპისთვის არ არსებობს არანაირი ფორმატი მოლაპარაკებისა, რომელიც რასაკვირველია ზემოქმედებს საერთაშორისო უსაფრთხოებასა და სტაბილიზაციაზე. ამგვარი მოცემულობა ხელს უწყობს დესტრუქციულ ძალებს ქაოსი და არეულობა კიდევ უფრო გაამძაფრონ მსოფლიოში.

შემდეგი კონფლიქტი, რომლითაც რეგიონი ხასიათდება ყარაბაღის კონფლიქტია. ტერიტორია ისტორიულად სხვადასხვა აქტორთა შორის დომინირების ცვლასთან ერთად, სხვადასხვა ხელში გადადიოდა. ამჟამად იგი დამოუკიდებელი აზერბაიჯანის ტერიტორიის ნაწილია, რომელიც მსოფლიო თანამეგობრობის მიერაა აღიარებული.[134]

---

[133] ბილანიშვილი, გ. უკრაინა - კონფლიქტის დარეგულირების სამშვიდობო პროცესი - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2021 წ. გვ. 2

[134] სამადბეგიშვილი, ს. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შუალედური დასასრული, როგორც საეტაპო მოვლენა კავკასიის რეგიონისთვის, 16 ნოემბერი, 2020 წ. გვ. 2.

## მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი

მთიანი ყარაბაღი ისტორიული რეგიონია ამიერკავკასიაში, რომელიც მცირე კავკასიონის ქედის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს (სურათი №6). ყარაბაღის პოლიტიკური და დემოგრაფიული ისტორია დავის საგანია. რეგიონის ეთნიკური სომეხი მოსახლეობის უმრავლესობა აცხადებს, რომ ისტორიულად ისინი აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენდნენ რეგიონში. შემდგომ პერიოდში ტერიტორია ირანის პროტექტორატის ქვეშ მოექცა, სანამ მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერია დაიპყრობდა მას.[135]




სურათი №6. მთიანი ყარაბაღის გეოგრაფიული მდებარეობა. წყარო: Observatory on Contemporary Crisis (OCC)

1917 წლის ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ, დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდში, აზერბაიჯანელები და

[135] Welt, Cory, and Andrew S. Bowen. "Azerbaijan and Armenia: The Nagorno-Karabakh Conflict." LIBRARY OF CONGRESS WASHINGTON DC, 2021. p.2

სომხები იბრძოდნენ მთიანი ყარაბაღისა და სხვა ტერიტორიების კონტროლისთვის. აზერბაიჯანი და სომხეთი 1920-1922 წლებში სსრკ-ში შედიოდა, როგორც დამფუძნებელი რესპუბლიკები. მთიანი ყარაბაღი საბჭოთა აზერბაიჯანს გადაეცა 1921 წელს, რომელიც ოფიციალურად 1923 წელს გაფორმდა. როგორც სსრკ-ს ნაწილი 1991 წლამდე, მთიანი ყარაბაღი ოფიციალურად ავტონომიური რეგიონი (ოლქი) იყო საბჭოთა აზერბაიჯანის შემადგენლობაში. 1989 წლის აღწერის მიხედვით რეგიონში 189 000 ადამიანი ცხოვრობდა (77% სომეხი, 22%. აზერბაიჯანელი).[136]

კონფლიქტი 1988 წელს წარმოიშვა, როდესაც მთიანი ყარაბაღის სომხური მოსახლეობა საბჭოთა სომხეთის იურისდიქციის ქვეშ შესვლას ცდილობდა. საბჭოთა ხელისუფლებამ უარი განაცხადა საზღვრების გადახედვაზე, თუმცა მცდელობამ და შემდგომმა მასობრივმა მობილიზაციამ დაპირისპირება გამოიწვია. კონფლიქტი, 1991 წელს მას შემდეგ გამწვავდა, როდესაც საბჭოთა მთავრობა ცდილობდა შეწინააღმდეგებოდა სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობისკენ სწრაფვას, სომხებმა მთიან ყარაბაღში აზერბაიჯანისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, ხოლო აზერბაიჯანმა საპასუხოდ მთიანი ყარაბაღის ავტონომიური სტატუსი გააუქმა.

1991 წლის დეკემბერში სსრკ-ს დაშლის შემდეგ, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის შეიარაღებული დაპირისპირება მაინც გრძელდებოდა. მხარეებმა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დოკუმენტს ხელი 1994 წლის მაისში მოაწერეს, რომლითაც უმეტეს ტერიტორიას სომხური/მთიანი ყარაბაღის ძალები აკონტროლებდნენ.

1993 წელს გაეროს უშიშროების საბჭომ აზერბაიჯანულ-სომხურ კონფლიქტთან დაკავშირებით ოთხი რეზოლუცია მიიღო. საომარი

[136] იქვე

მოქმედებების შეწყვეტის მოწოდების გარდა, რეზოლუციები „ადასტურებენ აზერბაიჯანის რესპუბლიკის და ყველა სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას რეგიონში“, ასევე „ტერიტორიის შემოსაერთებლად ძალის გამოყენების დაუშვებლობას“.

სამართლებრივად, მხარეთა არგუმენტები ორ ცნებას ემყარებოდა: სომეხი ხალხის თვითგამორკვევას (1) აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობას (2). საკუთრივ კონფლიქტის დარეგულირების მექანიზმები ეყრდნობოდა შემდეგ მოცემულობებს, არ დარღვეულიყო აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა და გათვალისწინებული ყოფილიყო სომეხი მოსახლეობის ინტერესები.

აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სამშვიდობო მოლაპარაკებების ხელშეწყობის მიზნით, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (ეუთო) 1994 წელს მინსკის ჯგუფი დააფუძნა. აშშ-ს, საფრანგეთისა და რუსეთის წარმომადგენლებმა, სომხეთსა და აზერბაიჯანს 2007 წლის ნოემბერში მადრიდში წარუდგინეს მოლაპარაკების ძირითადი პრინციპების წინასწარი ვერსია. აღნიშნული ასახავს გონივრულ კომპრომისს, რომელიც ეფუძნება ჰელსინკის საბოლოო აქტის ძალის გამოუყენებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და თანაბარი უფლებებისა და ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპებს. ძირითადად იგი მოიცავს:

- მთიანი ყარაბაღის მიმდებარე ტერიტორიების აზერბაიჯანის კონტროლის ქვეშ დაბრუნებას;
- მთიანი ყარაბაღისათვის დროებითი სტატუსის მინიჭებას, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოებისა და თვითმმართველობის გარანტიებს;

- დერეფნის გახსნას, რომელიც აკავშირებს სომხეთს მთიან ყარაბაღთან;

- მთიანი ყარაბაღის საბოლოო სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა;

- ყველა იძულებით გადაადგილებული პირისა და ლტოლვილის დაბრუნებას თავიანთ ყოფილ საცხოვრებელ ადგილებში;

- უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიებს, რომელიც მოიცავს სამშვიდობო ოპერაციას.[137]

აღნიშნულმა ინიციატივამ ვერ შეძლო მრავალწლიანი ომის დასრულება, რომელმაც თავი კიდევ ერთხელ, ამჯერად 2020 წლის შემოდგომაზე იჩინა. ექვსკვირიანმა ომმა სამხრეთ კავკასიაში ათწლეულების წინანდელი დინამიკა შეცვალა. ბრიუსელში დაფუძნებულმა ჟურნალმა EU Reporter-მა გამოაქვეყნა სტატია, რომელიც კონფლიქტს მიეძღვნა, სათაურით „ყარაბაღის 44-დღიანმა ომმა შეცვალა გეოპოლიტიკური რეგიონული ლანდშაფტი".[138] სტატიაში აღნიშნულია: „ყარაბაღის მეორე ომმა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, რომელიც დაიწყო 27 სექტემბერს და დასრულდა 2020 წლის 10 ნოემბერს, შეცვალა სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური ლანდშაფტი. სომხეთ-აზერბაიჯანის ხანგრძლივი კონფლიქტი მთავარი გამოწვევა იყო რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციისა და უსაფრთხოებისთვის. კონფლიქტმა ასევე გამოიწვია ადამიანური ტრაგედია აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხისთვის. ეუთოს მინსკის ჯგუფის ეგიდით მიმდინარე

[137] Statement by the OSCE Minsk Group Co-Chair countries - https://www.osce.org/mg/51152 (ბოლოს ნანახია 15.08.2021)

[138] "The 44-Day Karabakh War has changed the geopolitical regional landscape" - https://www.eureporter.co/world/karabakh/2021/09/27/the-44-day-karabakh-war-has-changed-the-geopolitical-regional-landscape/, SEPTEMBER 27, 2021 (ბოლოს ნანახია 15.12.2021)

მოლაპარაკებების პროცესი ჩაიშალა, რადგან ერევანმა გააუქმა მოლაპარაკებების პროცესის ათწლეულების განმავლობაში დამკვიდრებული და ადრე მიღწეული შეთანხმებები და პრინციპები. შესაბამისად, მზარდი დაძაბულობა და პროვოკაციები საბოლოოდ გადაიზარდა აზერბაიჯანის არმიის ფართომასშტაბიან სამხედრო კონტრშეტევაში, რომელიც ისტორიაში შევიდა 44-დღიანი ომის სახელით".

ყარაბაღის მეორე ომი დასრულდა მაშინ, როდესაც აზერბაიჯანმა, სომხეთმა და რუსეთმა ხელი მოაწერეს სამმხრივ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2020 წლის 10 ნოემბერს. ამ შეთანხმების თანახმად, 1960 შეიარაღებული ჯარისკაცი, 90 ჯავშანტექნიკა, 380 ავტომობილი და სპეციალური ტექნიკა განთავსდა ყარაბაღის რეგიონში. გარდა ამისა, აღდამის (Aghdam) რაიონში გაიხსნა „ცეცხლის შეწყვეტის მონიტორინგის ერთობლივი რუსულ-თურქული ცენტრი", რომელიც აკვირდებოდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულებას. ნოემბრის შეთანხმება გახდა მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელმაც დაასრულა სამხედრო ოპერაციები. დოკუმენტის მიხედვით, სომხეთი პირობას დებს აღდამის, კალბაჯარისა (Kalbajar) და ლაჩინის (Lachin) ოლქებს აზერბაიჯანის კონტროლს დაუბრუნებს, ხოლო აზერბაიჯანი გარანტიას აიღებდა ლაჩინის დერეფნის უსაფრთხოებაზე, რომელიც გამოიყენებოდა ჰუმანიტარულ დერეფნად სომხეთსა და ყარაბაღში მცხოვრებ სომხებს შორის.[139]

დამკვირვებელთა დიდი ნაწილის შეფასებით 2020 წლის შემოდგომის ომი აზერბაიჯანის თავდასხმის შედეგად დაიწყო. აზერბაიჯანის ოფიციალურმა პირებმა თავდაპირველად განაცხადეს,

[139] EU Reporter: The 44-Day Karabakh War has changed the geopolitical regional landscape - https://azertag.az/en/xeber/EU_Reporter_The_44_Day_Karabakh_War_has_changed_the_geopolitical_regional_landscape-1888583, 29.09.2021 (ბოლოს ნანახია 15.12.2021)

რომ შეტევა სომხეთის/მთიანი ყარაბაღის ცეცხლის საპასუხოდ დაიწყეს, თუმცა ნათელი მტკიცებულება ამის დასადასტურებლად არ არსებობს.[140]

საბოლოოდ, მოხდა ისე, რომ 2020 წლის 10 ნოემბერს ხელმოწერილი დეკლარაციით "მთიან-ყარაბაღში, კონფლიქტის ზონაში ცეცხლის სრული შეწყვეტის შესახებ", რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ჯარები დარჩებიან რეგიონში 5 წლის ვადით, ავტომატური გახანგრძლივებით მომდევნო 5 წლის განმავლობაში, თუ არც ერთი მხარე არ გამოთქვამს ნებას შეწყვიტოს ამ დებულების გამოყენება მოქმედების ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე.[141]

ეს ნიშნავს, რომ რუსეთის ფედერაციამ მიიღო სამხრეთ კავკასიაში სამხედრო ნაწილების განთავსების საფუძველი, ხოლო მოლაპარაკებებში თავად რუსეთის დომინანტობა ორივე მხარეს (აზერბაიჯანს და სომხეთს) დამოკიდებულს ხდის მასზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კონფლიქტი დასავლეთის ჩართულობის გარეშე დასტაბილურდა, რაც რუსეთის, როგორც რეგიონში მოწინავე სახელმწიფოს სტატუსს კიდევ უფრო ამაღლებს და პირიქით, ასუსტებს დასავლეთის პოზიციებს.

## 2008 წლის აგვისტოს ომი

2007-2008 წლების გლობალურ ფინანსურ კრიზისს საქართველოსთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, 2008 წლის აგვისტოს მოვლენები დაერთო. პოსტსაბჭოთა სივრცის ამ პატარა სახელმწიფოსთვის, აღნიშნულ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა,

[140] Shafiyev, Farid, and Vasif Huseynov. "Peace Negotiations Cannot Be Held Forever." Insight Turkey 22, no. 4 (2020): 99-111.

[141] Statement by the Prime Minister of the Republic of Armenia, the President of the Republic of Azerbaijan and the President of the Russian Federation - https://www.primeminister.am/en/press-release/item/2020/11/10/Announcement/ (ბოლოს ნანახია 29.05.2021)

რომელმაც მისი ტერიტორიის 20% დაკარგა და მნიშვნელოვანი ზარალი მიიღო ომის მიმდინარეობისას. სანამ უშუალოდ ომის პერიპეტიებს მიმოვიხილავთ, განვიხილოთ წინარე პერიოდი და განვლილი გზა, რომელიც საქართველომ განვლო.

1991 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, მსოფლიო რუკას 15 დამოუკიდებელი სუბიექტი შეემატა, რომლებიც სახელმწიფოს აღმშენებლობის საწყის ეტაპზე აღმოჩნდნენ. ათწლეულების განმავლობაში მათ უწევდათ საბჭოთა სისტემის საფარველქვეშ ოპერირება, რომელიც 90-იან წლებში დასრულდა და მიეცათ საშუალება საკუთარი ინტერესების შესაბამისად ემოქმედათ. ერთ-ერთი თხუთმეტთაგანი საქართველოც გახლდათ. დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში მრავალი ქარტეხილი დაატყდა ქვეყანას თავს. სამოქალაქო ომი, პირველი პრეზიდენტის მკვლელობა, მძიმე სოციალური ფონი და სხვა. მხოლოდ 1993-97 წლებში პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მოახერხა ქვეყნის შედარებით დასტაბილურება დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, აღნიშნული პერიოდი ორი ეთნიკური სეპარატისტული კონფლიქტით და ორი ხანმოკლე სამოქალაქო ომით გამოირჩა.[142] თუმცა, შევარდნაძემ ვერ შეძლო აეშენებინა ისეთი სახელმწიფო, რომელიც იმდროინდელ გამოწვევებს ადეკვატურად უპასუხებდა, როგორც ვლადიმერ პაპავა წერს, 1999 წლიდან შევარდნაძემ „დაიწყო საღი აზრისა და ექსპერტული რჩევების უგულებელყოფა“ და ქვეყანა სერიოზულად ჩამორჩა, როგორც მმართველობით, ისე ეკონომიკურად და ვერ აკმაყოფილებდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის სესხების მოთხოვნებს.[143]

---

[142] Cornell, Svante. Small nations and great powers: a study of ethnopolitical conflict in the Caucasus. Routledge, 2005. pp 142-196

[143] Vladimer Papava, “The Political Economy of Georgia’s Rose Revolution,” Orbis 50, no. 4 (2006): p. 659 - https://www.fpri.org/docs/media/papava.georgiaroserevolution.pdf (ბოლოს ნანახია 11.07.2021)

საქართველოს ხელისუფლება ვერ ახერხებდა კონტროლის დამყარებას ქვეყნის ბიუროკრატიაზე და ტერიტორიებზე, რაც ხელს უშლიდა მთავრობას ავტორიტეტის მოპოვებაში თბილისის ფარგლებს გარეთ. ამას ემატებოდა სეპარატისტული ტერიტორიები, ოსეთისა და აფხაზეთის სახით, სახელმწიფო პრაქტიკულად არ არსებობდა ისეთ რეგიონებში, როგორიცაა აჭარა, სომხებით დასახლებული ჯავახეთი ან რუსეთის საზღვრის მახლობლად მდებარე მთიან რაიონებში.[144]

ყოველივე ამის ლოგიკურ გაგრძელებას შევარდნაძის მთავრობის შეცვლა და ქვეყნის სათავეში “ნაციონალური მოძრაობის” მოსვლა წარმოადგენდა. ქვეყნის გაცხადებულ კურსად დასავლური ორიენტირი შეირჩა, რომლისკენაც სწრაფვა სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა. საქართველო თანდათან ცდილობდა დასავლურ თარგზე მოერგო საზოგადოება და მჭიდრო კონტაქტები დაემყარებინა მასთან. რა თქმა უნდა, საქართველოს მიმართ დიდ ინტერესს რუსეთის ფედერაციაც გამოხატავდა, რომლისთვისაც მიუღებელი იყო როგორც ქვეყნის გაცხადებული კურსი, ასევე ის ქმედებები, რომელსაც საქართველო, დასავლური სახელმწიფოების თუ ორგანიზაციების დახმარებით ახორციელებდა. საქართველო ცდილობდა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას, თუმცა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა და მის ნიადაგზე წარმოქმნილმა კონფლიქტმა, ოფიციალური თბილისი არასახარბიელო მდგომარეობაში ჩააყენა. სწორედ ამიტომ, 2008 წელს, როდესაც მსოფლიო ლიდერები ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალის დასასწრებად პეკინში შეიკრიბნენ, რუსულმა ტანკებმა საქართველოს საზღვარი გადალახეს.

2008 წლის აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომით და რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებით,

[144] Cornell, Svante E., and Niklas Nilsson. "Georgian politics since the August 2008 war." *Demokratizatsiya* 17, no. 3 2009: - https://demokratizatsiya.pub/archives/17_3_K28U3808822Q4V06.pdf, p.251-268 (ბოლოს ნანახია 20.08.2021)

კავკასია საერთაშორისო მნიშვნელობის პრობლემა გახდა. ომმა წარმოქმნა არასტაბილურობის ახალი წყაროები ძირითადი გარე აქტორების საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში, როგორც რეგიონში, ისე მის ფარგლებს გარეთ.[145]

აგვისტოს ომმა ნათელყო რუსეთის მიზნები და საჯაროდ დააფიქსირა პოზიცია, რომ მას აქვს საკუთარი პრეტენზიები სამხრეთ კავკასიის მიმართ, რომლებიც შეიძლება დავიდეს სამხედრო დაპირისპირებამდეც.[146] ომმა ასევე გამოაჩინა დასავლეთის გავლენების სიმცირე რეგიონში, ხელი შეეშალა რუსეთის აგრესიულ მოქმედებაში ყოფილ საბჭოთა ტერიტორიაზე ძალის წარმოჩენის კუთხით. რუსეთმა, 2008 წლის 27 აგვისტოს, ოფიციალურად აღიარა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოდ.[147]

2008 წლის 12 აგვისტოს, საქართველოსა და რუსეთს შორის ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი შეიქმნა, რომელიც წელიწადში 4-ჯერ ტარდება საქართველოსა და რუსეთის გარდა, მოლაპარაკებებში მონაწილეობას იღებენ აშშ-ს წარმომადგენლები და თანათავმჯდომარეები ეუთოს, ევროკავშირის და გაეროს მხრიდან.[148] დისკუსიებში ჩართულნი არიან სოხუმისა და ცხინვალის წარმომადგენლები. თუმცა, ხელშესახები შედეგი აღნიშნულ ფორმატს არ მოუტანია.

---

145 Sarıkaya, Yalçın. "Georgian foreign policy after the August 2008 war." Karadeniz Araştırmaları 31 (2011): 1-16. -http://www.ajindex.com/dosyalar/makale/acarindex-1423906715.pdf, p. 4 (ბოლოს ნანახია 22.11.2021)

146 Mikhelidze, Nona. After the 2008 Russia-Georgia War: Implications for the Wider Caucasus and Prospects for Western Involvement in Conflict Resolution. Istituto Affari Internazionali, 2009.", pp. 27-42.

147 Russia Recognizes Abkhazia, South Ossetia - https://www.rferl.org/a/Russia_Recognizes_Abkhazia_South_Ossetia/1193932.html August 26, 2008 (ბოლოს ნანახია 07.07.2021)

148 ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები - https://smr.gov.ge/ge/page/26/jenevis-saertashoriso-molaparakebebi (ბოლოს ნანახია 07.07.2021)

## 3.2. საქართველოს როლი შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების სტაბილიზაციაში

გეოგრაფიულად, საქართველო სამხრეთ კავკასიის ნაწილში მდებარეობს, რომელსაც სამხრეთიდან სომხეთი და თურქეთი ესაზღვრება, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან აზერბაიჯანი (იხ. სურათი №7). დასავლეთით მას შავი ზღვის დაახლოებით 132 კილომეტრიანი სანაპირო ზოლი აკრავს.




სურათი №7. საქართველოს რუკა (წყარო: Ahlenius, H., Nordpil, 2018.)

ქვეყნის ტერიტორიის 20% ოკუპირებულია მეზობელი რუსეთის მიერ (სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი), რომელმაც 2008 წლიდან ტერიტორიების დამოუკიდებლობა ცნო რამდენიმე სხვა სახელმწიფოსთან ერთად. თუმცა, მათი დე იურე სტატუსი გაურკვეველი რჩება, რადგან საქართველო აგრძელებს ორივე მათგანის საქართველოს ნაწილად

განხილვას და სხვა სახელმწიფოების დიდი უმრავლესობა არ ცნობს მათ დამოუკიდებლობას.[149]

სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ მსოფლიო ახალი გეოპოლიტიკური რეალობის წინაშე აღმოჩნდა, რომელსაც გამოწვევების შესაბამისი პასუხი სჭირდებოდა. თუმცა, როგორც განვლილმა პერიოდმა გვიჩვენა პროცესებმა შეუქცევადი ხასიათი ვერ შეიძინა და კონფრონტაციის ახალი კერები გააჩინა როგორც კავკასიის, ასევე სხვა რეგიონებშიც.

საკითხის სიღრმისეულად შეფასებისთვის აუცილებელია ევროპის წამყვანი ქვეყნების ინტერესებიც შევაფასოთ. ევროპის ინტერესი კავკასიის რეგიონის მიმართ მარტივი განსასაზღვრია, ვინაიდან ისინი ტრანსკავკასიურ სატრანზიტო დერეფანს განიხილავენ რუსეთის გვერდის ავლით ენერგომატარებლების მიღების/მიწოდების ალტერნატიულ შესაძლებლობად.

საკომუნიკაციო (საინფორმაციო და სატრანსპორტო) ტექნოლოგიების საფუძველზე განვითარებული ეკონომიკური ინტეგრაციის ტენდენციის გაღრმავების თანამედროვე პირობებში, ჩვენი პლანეტის ნებისმიერი რეგიონი გლობალური გეოპოლიტიკური ძალების სტრატეგიული დაპირისპირების ასპარეზადაა ქცეული.[150] საქართველოს, როგორც დამაკავშირებელ რგოლს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის საუკუნეებია საკვანძო ადგილი უჭირავს. შესაბამისად, რეგიონი მუდამ იყო სხვადასხვა აქტორთა მხრიდან პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერაქციის მიზიდულობის ცენტრი, რასაც კიდევ ერთხელ თანამედროვე პერიოდში მიმდინარე მოვლენებიც ადასტურებს.

[149] Wezeman, S. T., and A. Kuimova. "SIPRI Background Paper-GEORGIA AND BLACK SEA SECURITY." (2018). p.2 - https://www.sipri.org/sites/default/files/2018-12/bp_1812_black_sea_georgia_0.pdf (ბოლოს ნანახია 20.06.2021)

[150] ქართული "გორდიას კვანძი" - http://noosphereinstitutegeorgia.blogspot.com/p/blog-page_43.html, 22. 09. 2011 (ბოლოს ნანახია 20.06.2021)

დღეისათვის ევროპაში ყველაზე მეტი სამხედრო აქტივობა შავი ზღვის რეგიონში შეინიშნება, რომელიც ადეკვატურ რეაგირებას საჭიროებს საერთაშორისო აქტორთა მხრიდან, რათა მოხდეს მოსალოდნელი ესკალაციის თავიდან აცილება. მოცემული მდგომარეობის გათვალისწინებით იზრდება იმ სახელმწიფოთა როლი, რომლებიც უშუალოდ შავი ზღვის რეგიონს მიეკუთვნებიან.[151] უკრაინაში რუსეთის აგრესიის და თურქეთსა და დასავლეთს შორის არსებული დაპირისპირების ფონზე, შავი ზღვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, სადაც ინტერესთა კონფლიქტების ნათელი ასახვა მიმდინარე პროცესებია. რეალობაში, სადაც სამხრეთ კავკასიის რეგიონში საქართველო დასავლური საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ საყრდენს წარმოადგენს, კიდევ უფრო ამძაფრებს და მოწყვლადს ხდის მას რუსეთის ფედერაციის მხრიდან.

2003 წლიდან საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტი დასავლეთ და ცენტრალურ ევროპულ პარტნიორებთან და შეერთებულ შტატებთან კავშირების გაზრდაა. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო) გაწევრიანების მიზნით, საქართველო მუშაობს ნატოს სტანდარტებთან თავსებადობის გაუმჯობესებაზე და ატარებს თავდაცვის სექტორის რეფორმებს. ის ნატოს აქტივობების აქტიური მონაწილეა შავი ზღვის რეგიონში და მასპინძლობს სხვადასხვა ფართომასშტაბიან წვრთნებს ნატოსა და ნატოს პარტნიორი ქვეყნების მონაწილეობით.

საქართველოს გაცხადებული პოზიცია, დასავლეთთან მჭიდრო კავშირების დამყარება და შემდგომში მასთან ინტეგრაციაა, რაც შემაშფოთებელია რუსეთის ფედერაციისათვის. ამიტომაც, ის მუდამ ცდილობს ხელი შეუშალოს და დააბრკოლოს საქართველოს დასავლური მისწრაფებები.

---

[151] რა ხდება შავ ზღვაზე და რა როლი უნდა ჰქონდეს საქართველოს მის უსაფრთხოებაში - https://netgazeti.ge/news/536931/ , 21.04.2021 (ბოლოს ნანახია 27.12.2021)

საქართველოს კონსტიტუციაში, კერძოდ, 78-ე მუხლში აღნიშნულია, რომ: კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.[152]

2011 წლის 7 დეკემბერს, საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე, საქართველო ოფიციალურად მოიხსენიეს, როგორც ნატო-ს ასპირანტი ქვეყანა. 2014 წლის ნატო-ს უელსის სამიტზე მოკავშირეებმა საქართველო ერთ-ერთ ყველაზე თავსებად პარტნიორად აღიარეს და „გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორების“ (EOP) ჯგუფში მიიწვიეს ოთხ სხვა სახელმწიფოსთან ერთად (ავსტრალია, იორდანია, ფინეთი და შვედეთი). ზემოაღნიშნული ფორმატი ანიჭებს საქართველოს ნატო-სთან გაძლიერებული თანამშრომლობის შესაძლებლობას, რომელსაც თან დაერთო საქართველოს შეიარაღებული ძალების ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში ნატო-ს საერთაშორისო მისიაში „საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერის ძალების“ (ISAF) ჩართულობა.[153]

2020 წლის 2 აპრილს ნატოს საგარეო საქმეთა მინისტერიალზე მიიღეს გადაწყვეტილება შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში საქართველოსა და უკრაინის მხარდამჭერის ახალ გზებზე, რომელშიც შედის ისეთი ინიციატივები, როგორიცაა:

- საქართველოსა და უკრაინის უფრო მეტად ჩართვა შავ ზღვაზე დაგეგმილ ნატო-სა და წევრი ქვეყნების სწავლებებსა და წვრთნებში;
- ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ თანამშრომლობის გაღრმავება; საქართველოს ჩართვა შავი ზღვის

152 საქართველოს კონსტიტუცია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36 (ბოლოს ნანახია 27.12.2021)
153 მისია ავღანეთში - https://mod.gov.ge/ge/mission/56/samshvidobo-misia-avganetshi

რეგიონის საჰაერო სივრცის მონაცემთა გაცვლის რეგიონულ პროგრამაში;

- უკრაინის უფრო მეტად ჩართვა ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრისა (JTEC) და საქართველოს თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაში (DIBS) დაგეგმილ ღონისძიებებში.[154]

საქართველოს ყოფილმა პრემიერ მინისტრმა, გიორგი გახარიამ (2019-2021) წამყვანი ბრიტანული ანალიტიკური ცენტრის RUSI-ს მიერ ორგანიზებულ დისკუსიაზე, საქართველოს როლზე შავი ზღვის რეგიონში, ოკუპაციასა და რეგიონული უსაფრთხოების გამოწვევებზე ისაუბრა. სადაც მან აღნიშნა, რომ: „საქართველომ ხელახლა უნდა აღმოაჩინოს შავი ზღვა თავისი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ შავ ზღვაზე, ჩვენ ვხედავთ შესაძლებლობას, რომ საქართველომ ახალი როლი გამოავლინოს, როგორც სანდო პარტნიორმა, უსაფრთხოების საკითხებში, როგორც ევროპასთან, ასევე ნატოსთან და აშშ-სთანაც. როცა შავ ზღვაზე ვსაუბრობთ, ჩვენ ვხედავთ ჩვენს ახალ როლს სამი ძირითადი მიმართულებით, როგორიცაა პოლიტიკა, ეკონომიკა და, რა თქმა უნდა, უსაფრთხოება.[155]

2020 წლის მაისში, ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, ჯეიმს აპატურაიმ განაცხადა, რომ ნატო აპირებს მკაფიო ნაბიჯების გადადგმას, რათა უზრუნველყოს საქართველოს უფრო მეტად ჩართულობა შავი ზღვის უსაფრთხოების ჩარჩოებში. ეს მოცემულობა ასახავს რეგიონში

[154] 2020 წლის 2 აპრილს ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტერიალზე მიიღეს გადაწყვეტილება შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში საქართველოსა და უკრაინის მხარდაჭერის ახალი ზომების თაობაზე - https://mfa.gov.ge/News/2020-clis-2-aprils-nato-s-sagareo-saqmeta-minister.aspx?CatID=5

[155] Giorgi Gakharia Talks About Georgia's Role in Black Sea Region, Occupation, and Regional Security Challenges at Discussion Organized by Leading British Think Tank RUSI - https://www.gov.ge/print.php?gg=1&sec_id=547&info_id=77474&lang_id=ENG (ბოლოს ნანახია 07.06.2021)

უსაფრთხოების გაუარესებულ გარემოს, მაგრამ ასევე ხაზს უსვამს ნატოსა და საქართველოს შორის დაახლოებულ ურთიერთობებს.[156]

„ჩვენ ვნახეთ ბალანსის ახალი კონფიგურაცია ჩვენს რეგიონში, რაც აჩვენებს, რომ ახლა, როგორც არასდროს, შავი ზღვა და კავკასია უსაფრთხოების თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანი ხდება და ნატოს მეტი ყურადღება უნდა მიიპყროს", - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ბრიუსელში ბოლო ვიზიტის დროს.[157]

მას შემდეგ, რაც ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი ზურაბიშვილს შეხვდა, მან დაადასტურა, რომ შეხვედრის მიმდინარეობისას იმსჯელეს შავი ზღვის რეგიონსა და რუსეთის შეიარაღებული ძალების გაძლიერებაზე. სტოლტენბერგმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნატო-სა და საქართველოს შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობისთვის იქნება ადგილი, მათ შორის უსაფრთხო კომუნიკაციების პროექტების განხორციელება, ერთობლივი წვრთნების მუდმივი მხარდაჭერა და საზღვაო მხარდაჭერის გაძლიერება.

ანალიტიკოსი, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს თანამშრომელი, ნათია სესკურია საუბრობს, რომ სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია თბილისმა განაახლოს და გააძლიეროს თავისი როლი, როგორც პროაქტიულმა კონტრიბუტორმა შავი ზღვის უსაფრთხოებაში. საქართველომ უკვე წარმოაჩინა თავი, როგორც ნატოს სანდო პარტნიორმა და ევროატლანტიკური უსაფრთხოების კონტრიბუტორმა, აქტიური მონაწილეობით ალიანსის ხელმძღვანელობით ოპერაციებში და საერთაშორისო მისიებში. მისი შეფასებით, შავი ზღვის რეგიონში მზარდი

---

156 Georgia's new role in the Black Sea security framework - https://www.mei.edu/publications/georgias-new-role-black-sea-security-framework December 2, 2020 (ბოლოს ნანახია 07.06.2021)

157 Focus on Black Sea, Caucasus highlights Georgia's strategic importance- https://www.euractiv.com/section/europe-s-east/news/focus-on-black-sea-caucasus-highlights-georgias-strategic-importance/ Jan 26, 2021 (ბოლოს ნანახია 07.06.2021)

საფრთხეების გამო, საქართველომ სრულად უნდა გამოიყენოს თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობა ზღვისპირა ქვეყნებთან და სტრატეგიულ პარტნიორებთან რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერებით. რაც მთავარია, ოფიციალურმა თბილისმა უნდა დააფიქსიროს თავი, როგორც ლოგისტიკურმა და საინფორმაციო ცენტრმა რეგიონში. თბილისს ასევე შეუძლია გამოიყენოს შავი ზღვა, ენერგორესურსებისა და საქონლის მთავარ სატრანზიტო დერეფნად, როგორც გეოგრაფიული ხიდი.

ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისის“ თავმჯდომარე, ვიქტორ ყიფიანი შავ ზღვაში საქართველოს როლზე საუბრისას აღნიშნავს, რომ: “საქართველოს შავი ზღვის პარადიგმა სწორედ ისაა, რომ რეგიონი თანაბრად წარმოადგენს ჩვენთვის როგორც ეროვნული განვითარების პოტენციალს, ისე საფრთხეების წყაროს. ეს უჩვეულო განტოლება ქვეყნის ორ მსხვილ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ფორმაციას შორის მეგაკონფლიქტურ ზონაში მდებარეობით აიხსნება. ამ ორი ფორმაციიდან ერთ-ერთში სახელმწიფოსთან მიმართებაში პიროვნების უფლებებს ენიჭება უპირატესობა, ხოლო მეორეში პიროვნებაზე სახელმწიფოს პრაქტიკულად შეუზღუდავი ნებაა აღიარებული. მხოლოდ ამ ერთი გარემოების კონსტატირება უკვე საკმარისია კონფლიქტური სიმწვავის თვალსაჩინოებისათვის”.[158] მკვლევარი იქვე დასძენს, რომ, ამ საპასუხისმგებლო საქმეში ქართული სახელმწიფო და პოლიტიკური წრეები „რეალიზმით“ უნდა აღიჭურვონ, რადგან უკვე წარსულს ბარდება „სიყვარულისა“ და „სიძულვილის“ დრო გეოპოლიტიკაში, ხოლო მათ „საჭიროება“, „აუცილებლობა“, „საკუთარ თავზე მორგება“ და „გამოყენება“ ანაცვლებენ. შავი ზღვაც ის რეგიონია, სადაც ეს ჩანაცვლება აშკარად დაიმკვიდრებს თავს.

---

[158] ვიქტორ ყიფიანი - შავი ზღვის რეგიონისადმი დასავლეთის მიდგომა ოპერატიულად გადახედვასა და მისადაგებას საჭიროებს - https://www.geocase.ge/ka/publications/185/viqtor-yifiani-shavi-zghvis-regionisadmi-dasavletis-midgoma-operatiulad-gadakhedvasa-da-misadagebas-satchiroebs 3 ივლ. 2020 (ბოლოს ნანახია 19.11.2021)

კონკრეტული პოლიტიკოსებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებში არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ნატოს წევრობამდე, საქართველოში აშშ-ს ბაზები უნდა განთავსდეს, იმისათვის რომ ხელი შეუწყობს საქართველოს უსაფრთხოება დაცული იყოს.[159] თუმცა ნაკლებ დამაჯერებელია მათ მიერ შემოთავაზებული ინიციატივა იმის ფონზე, რომ ისინი არ განმარტავენ თუ როგორ აპირებენ რუსეთის ფაქტორის განეიტრალებას მსგავსი პროექტის რეალიზაციის შემთხვევაში.

შავ ზღვაში არასტაბილურ გარემოს თავად რეგიონში მიმდინარე დაპირისპირებები ამძაფრებს რომელიც მიმდინარე თუ წარსულში მომხდარი პროცესებით დასტურდება. ამის ნათელი მაგალითები ბოლოდროინდელი შეიარაღებული დაპირისპირებებია (ყარაბაღის ომები, 2008 წლის აგვისტოს ომი).

კავკასიის, კონკრეტულად კი შავი ზღვის რეგიონს, შესაძლებელია "პოლიტიკური ბრძოლის არენა" ეწოდოს, სადაც გადამწყვეტ უპირატესობას ვერცერთი აქტორი ვერ ფლობს და ბრძოლა კონკრეტულ აქტორთა მხრიდან ინტერესების შესაბამისად მიმდინარეობს. შავი ზღვის რეგიონი რელიგიური და პოლიტიკური გზაჯვარედინია და რეგიონში წარმოდგენილ აქტორთა შორის შეთანხმების მიღწევა სირთულეებთანაა დაკავშირებული. სიტუაციას უფრო კომპლექსურს ხდის ფაქტი, რომ რუსეთს საკუთარი ინტერესების გასატარებლად სჭირდება ჩრდილო-სამხრეთის ღერძის კონტროლი ხოლო დასავლეთს, შესაბამისად, დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძისა. ამავდროულად დათმობას არცერთი მხარე არ აპირებს. ამ მოცემულობაში დაპირისპირებულ აქტორთა შეთანხმების პერსპექტივები, არსებულ პარადიგმათა ჩარჩოში პრაქტიკულად შეუძლებელია.

[159] უსუფაშვილი: ნატოს წევრობამდე, საქართველოში აშშ-ს ბაზები უნდა განთავსდეს - https://ipress.ge/new/usuphashvili-natos-tsevrob/, 6 სექტემბერი, 2016 (ბოლოს ნანახია 19.11.2021)

რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია თვალნათლივ ასახავს მის დამოკიდებულებას ნატოსა და აშშ-ს მიმართ: “შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების მიერ შეკავების პოლიტიკა რუსეთის წინააღმდეგ და პოლიტიკური, ეკონომიკური, საინფორმაციო და სხვა ზეწოლა, რომელსაც რუსეთი განიცდის მათგან, ძირს უთხრის რეგიონულ და გლობალურ სტაბილურობას, საზიანოა ყველა მხარის გრძელვადიანი ინტერესებისთვის და ეწინააღმდეგება დღევანდელ მსოფლიოში თანამშრომლობის მზარდ საჭიროებას და ტრანსნაციონალური გამოწვევებისა და საფრთხეების მოგვარებას”.[160] (61-ე მუხლი)

საქართველოს ფუნქციას მკვლევართა დიდი ნაწილი მხოლოდ გეოპოლიტიკურ ადგილმდებარეობასთან აკავშირებს და არა ქართველ ერთან (ერის ნოოლოგიური გაგებით, რომელზედაც 2.1. ქვეთავში ვისაუბრეთ), რაც ქართული საზოგადოებისათვის პრობლემურად შეიძლება მივიჩნიოთ, ვინაიდან ქართული სახელმწიფოს ძირითადი როლი სატრანზიტო ფუნქციით შემოიფარგლება. ეს უკანასკნელი, ყარაბაღის ბოლო ომის დასრულების შემდგომ ახალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. რომლის შედეგებმაც გარკვეულწილად შეცვალა რეგიონის სტატუს-კვო და გაამძაფრა მისი მოწყვლადობა. ვინაიდან შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის ჩაურთველობამ ომის მიმდინარეობაში და მის შემდეგ, რუსეთის მონოპოლია რეგიონში აბსოლუტური გახადა.[161] აღნიშნულის საბოლოო გამოხატულება ყარაბაღის ტერიტორიაზე რუსული საჯარისო ნაწილების განლაგებაში გამოიხატა. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ 2021 წლის 11 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულება საქართველოსთვის წამგებიანი შეიძლება გამოდგეს, რადგან იგი ითვალისწინებს რუსეთის

---

[160] Foreign Policy Concept of the Russian Federation (approved by President of the Russian Federation Vladimir Putin on November 30, 2016) - https://www.mid.ru/en/foreign_policy/official_documents/-/asset_publisher/CptICkB6BZ29/content/id/2542248 (ბოლოს ნანახია 21.11.2021)

[161] Karabakh After the 44-Day War: Russian Peacekeepers and Patterns - https://www.ponarseurasia.org/karabakh-after-the-44-day-war-russian-peacekeepers-and-patterns/, AUGUST 23, 2021 AUGUST 23, 2021(ბოლოს ნანახია 21.11.2021)

მიერ სომხეთისათვის ტვირთების აზერბაიჯანის რკინიგზის გამოყენებით მიწოდებას რაც, თავის მხრივ, საქართველოსთვის სატრანზიტო ფუნქციის შეზღუდვას გულისხმობს. მხარეები ასევე მთიანი ყარაბაღის რეგიონში ყველა ეკონომიკური და სატრანსპორტო კავშირის გახსნაზე შეთანხმდნენ.[162]

ზემოაღნიშნული ხელშეკრულება არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც დიდი გავლენის მატარებელი საქართველოსათვის, რადგან ამიერკავკასიური რკინიგზა კვლავ საქართველოს ხელში იქნება, რომელიც მას სატრანზიტო ლიდერის როლს უნარჩუნებს რეგიონში. არსებულ მდგომარეობაში დიდი მნიშვნელობა საზღვაო პორტებს ენიჭებათ, ხოლო მნიშვნელოვანი საპორტო ინფრასტრუქტურა და მისადგომები თურქეთის რესპუბლიკის მხარესაა. 1982 წელს მიღებული გაერთიანებული ერების კონვენციის საზღვაო სამართლის 41-ე მუხლი თურქეთს ანიჭებს უფლებამოსილებას, რომ საკუთარ კონტროლს დაუქვემდებაროს დარდანელისა და ბოსფორის სრუტეები, რომელიც მისთვის მნიშვნელოვანი ლოკაციაა და მის უსაფრთხოებაზეა პასუხისმგებელი.[163]

საქართველოს როლი აღნიშნულ რეალობაში მხოლოდ მაშინ იქნება რეალიზებული და ქმედითი, როდესაც იგი შეიძენს თავის ფუნქციას, რომელიც, ქართველი მეცნიერის ემზარ ხვიჩიას თეორიის თანახმად, მსოფლიო ხალხთა შორის მოდერაციას გულისხმობს.[164] აღნიშნულ ფაქტს მეცნიერულად ქართველი მეცნიერის ემზარ ხვიჩიას ნაშრომები ასაბუთებს, სადაც იგი ასკვნის, რომ საქართველოს როლი და ფუნქცია უნდა განისაზღვროს და მას მიენიჭოს საყოველთაოდ აღიარებულის სტატუსი,

---

[162] Заявление Президента Азербайджанской Республики, Премьер-министра Республики Армения и Президента Российской Федерации - http://www.kremlin.ru/supplement/5606 , 11 января 2021 года (ბოლოს ნანახია 04.10.2021)

[163] United Nations Convention on the Law of the Sea - https://www.un.org/depts/los/convention_agreements/texts/unclos/unclos_e.pdf (ბოლოს ნანახია 04.10.2021)

[164] ხვიჩია, ემზარ. ნოოლოგია - თვითქმარი არსებობის ლოგიკა - საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები, გამომცემლობა „ახალი პარადიგმა", თბილისი, 2020 წ. გვ. 101-135

რომელიც საქართველოს როლს მნიშვნელოვანწილად გაზრდის როგორც შავი ზღვის რეგიონში, ასევე მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში.

მოდერაციის სტატუსი საქართველოსათვის მისაღები და მნიშვნელოვანი მოცემულობაა, მაგრამ მას არ უნდა ჰქონდეს მხოლოდ რეგიონული მასშტაბი. საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო ჩართულობით მოლაპარაკებების პროცესში სამ ქვეყანას შორის (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო), მხარეები ერთი მხრივ სომეხი ტყვეების სამშობლოში დაბრუნებაზე, ხოლო მეორე მხრივ აზერბაიჯანისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის - რუკების გადაცემაზე შეთანხმდნენ.[165]

მაგრამ ეს ფაქტი არ ადასტურებს საქართველოს, როგორც ლიდერის სტატუსს კავკასიაში, რადგან რეგიონულ ჭრილში სახელმწიფოსათვის სტატუსის მინიჭება ანაქრონიზმია. ამ ფაქტით შეგვიძლია დავასკვნათ მხოლოდ ის, რომ საქართველო საკუთარი სტატუსის ძიებაშია, რომელიც უნდა შეთანხმდეს გარეშე აქტორებთან, ხოლო თუ თანხმობის პროცესი გარეშე ძალების ჩართულობით განხორციელდება, მაშინ აღნიშნული ფაქტისათვის რეგიონული სტატუსის მინიჭება მცდარი იქნება.

საქართველო როლი ისტორიულად განიხილებოდა, როგორც გეოპოლიტიკური განთავსების არეალი, არა სუბიექტის, რომელიც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდა, არამედ ტერიტორიის ფუნქციით. ეს განპირობებული იყო სუბიექტის განუსაზღვრელობის მოცემულობიდან. ხოლო საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც ხელს უწყობს ითამაშოს დამაკავშირებელი რგოლი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, ვერ ართმევს მასზე დაკისრებულ მოვალეობას თავს, რასაც ხელს პოლიტიკური მოცემულობები უშლის. სხვა სიტყვებით, პოლიტიკური

165 საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის და სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანის ერთობლივი განცხადებები - http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=556&info_id=80300, (ბოლოს ნანახია 20.12.2021)

ინტერესები ეკონომიკურ ინტერესებს ბლოკავს, რაც მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია შემდგომი ეკონომიკური ინტერესების გასატარებლად.

თანამედროვე მსოფლიოში მნიშვნელოვანი საკითხების შეთანხმება პოლიტიკურ კონტექსტშია გადაწყვეტადი და იგი არ დაიყვანება ეკონომიკურ მდგენელამდე. გამომდინარე იმ გლობალური მოცემულობიდან, რომელიც დღეს არსებობს, რეგიონული მნიშვნელობისა და სტატუსის პროექტები ჩანასახშივე განწირულია.

მიმდინარე პერიოდამდე გავლენის სფეროების გადანაწილება გაიგივებული იყო ტერიტორიის ფლობასთან, ტერიტორიულ ერთეულებზე გავლენების მოპოვებასთან, მათთან სასარგებლო ეკონომიკური კავშირების დამყარებასთან და სხვა. დღეისათვის კი გავლენების გადანაწილების პრინციპი ფაქტობრივად მილევადია, რადგან მან ინფორმაციულ სივრცეში გადაინაცვლა და გავლენის მოპოვების ტერიტორიული ნიშანი ინფორმაციულმა სივრცემ შეცვალა (მაგ. ინტერნეტი, ინტერნეტ ვაჭრობა). გამომდინარე იქიდან, რომ ახალი ერა ინფორმაციულ მოცემულობებს ემყარება, ფუნქციური დანაწილება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც საქართველო შეიძენს მის შესაბამის ფსიქოტიპის სტატუსს, შეიძენს უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის გარანტიას. გლობალურ მსოფლიოში განყენებულად მხოლოდ საქართველოს როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრა რთული და შეუძლებელია.

## 3.3. შავი ზღვის რეგიონის კონიუნქტურის ოპტიმიზაციის პერსპექტივები

მსოფლიოს თანამედროვე პრობლემების მთავარი წყარო მცდარი წარმოდგენაა იმისა, რომ თითოეულ ერს (მეტ-ნაკლები ასაკის ისტორიულ საზოგადოებრივ ერთობას), საზოგადოდ, მისი არსებობით დაინტერესებული არავინ მოეპოვება თავისივე თავის გარდა და ამდენად, თავის არსებობის გარანტად დედამიწაზე მოცემულ საარსებო (სასიცოცხლო და სამრეწველო) რესურსების სულ უფრო და უფრო მეტ წილზე კონტროლის დამყარებაა დასახული. სხვა სიტყვებით, თანამედროვე ეტაპზე (და ასე იყო ისტორიის დასაბამიდან დღემდე) საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში გაბატონებულია "საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგია" ანუ, შეუჩერებელი შეტევითი ქცევის სტრატეგია, რომელიც ცვლილებას საჭიროებს.[166]

როგორც ნაშრომის საწყის ნაწილში აღინიშნა, თავდაპირველად აუცილებელია სწორი იდენტიფიკაცია იმ პრობლემებისა, რომელიც შავი ზღვის რეგიონში და ზოგადად კაცობრიობის წინაშე არსებობს. რეგიონში წარმოდგენილ აქტორთა დაპირისპირების მახასიათებლები შესაძლებელია აღვიქვათ, როგორც მსოფლმხედველობრივ სისტემათა შეუსაბამობა. თუმცა, პრობლემის სათავე მაინც კაცობრიობის მნიშვნელობის გაუაზრებლობაშია, რომელიც გამოიხატება ამ ფენომენის არ ცოდნასა და გაურკვევლობაში. რა არის კაცობრიობა? ამ კითხვაზე სწორი პასუხის გაცემა საშუალებას მოგვცემ სწორად მოვახდინოთ პრობლემების დახარისხება და ამის შემდგომ ვიმსჯელოთ გამოწვევების საპასუხო მოქმედებებზე. ქართველი მეცნიერის ემზარ ხვიჩიას ახალი სამეცნიერო სისტემის, კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის (შემდგომში ნოოლოგია) საფუძველზე დადგინდა, რომ კაცობრიობა თვითრეგულირებადი სისტემაა, რომელსაც გააჩნია ფაზური მონაცვლეობა, სპეციფიკური სქემა. შესაბამისად, შესაძლებელია მოვლენების იდენტიფიკაცია წლების მიხედვით. ნოოლოგია ეყრდნობა

166 ქართული „გორდიას კვანძი" - https://for.ge/view/9948/qarTuli-gordias-kvanZi.htm,l 22 სექტემბერი, 2011

დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის განვითარებას და მის საფუძველზე აღმოჩენილ “განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებად მომენტს”,[167] რომლითაც ყველა ცოცხალი ორგანიზმი ხასიათდება. თეორიის მიხედვით, ინდივიდის მოქმედებას, საზოგადოდ 4 ლოგიკური ასპექტი გააჩნია:

- ფორმის ასპექტი - მოქმედებას ახასიათებს მოქმედების არეზე არსებულ ობიექტთა შორის კავშირებისა და ურთიერთმიმართებების აქტუალიზაცია;

- ძლევის ასპექტი - ნებისმიერი მოქმედებას თან ახლავს ხელისშემშლელ ფაქტორთა წინააღმდეგობის დაძლევა, სხვა პროცესებისმიერი ხელშემშლელი გავლენის გადალახვა;

- ცხრომის ასპექტი - ყოველი მოქმედება სამოქმედოდ მაიძულებელ გამოწვევათა (აღგზნება, დაძაბულობა) მოხსნით, რელაქსაციით ხასიათდება;

- მართვის ასპექტი - ნებისმიერ მოქმედებას ახასიათებს სამოქმედო საშუალებათა სამოქმედოდ მომართვა.[168]

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს შემუშავებული აქვს ალტერნატიული ტერმინები, რომელსაც შემდგომ გამოვიყენებთ. მაგ. პიროვნება შეესაბამება ტერმინი - ნოოიდი, ცილიზაციას - ნოოცენოზი, ერს - ნოოსი.

ზემოაღნიშნული ასპექტები ციკლურად ცვალებადი ბუნებით ხასიათდება და ერთმანეთის თანმდევ ელემენტებს წარმოადგენს. ადამიანი (პიროვნება) სხვა ცოცხალი ორგანიზმისაგან განსხვავებით ამ 4 მნიშვნელობიდან (განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი

[167] ხვიჩია, ემზარ. ნოოლოგია: თვითკმარი არსებობის ლოგიკა. საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები. თბილისი: ახალი პარადიგმა. 2020 წ. გვ. 11-12

[168] იქვე

მომენტის) ერთ-ერთზე ფიქსაციით გამოირჩევა, რომელსაც ავტორმა ასევე სპეციფიკური ტერმინი "განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის მნიშვნელობის მიხედვით გადაგვარებულობის მოხსნა" უწოდა.[169] აქედან გამომდინარე, სწორედ გადაგვარებამოხსნილი ინდივიდი წარმოადგენს ოთხიდან ერთ-ერთი სახის პიროვნებას, გამომდინარე იქიდან, რომელ ასპექტზე მოხდა მისი განწყობის ფიქსაცია. ლოგიკურად აქედან მომდინარეობს შემდეგი დაყოფა: პიროვნება შეიძლება წარმოგვიდგეს ფორმის მანიის, ძლევის მანიის, ცხრომის მანიის და მართვის მანიის პიროვნებად (მანიით აღნიშნულია გარკვეულ ფაქტორთა დომინანტური მახასიათებლობა).

გადაგვარებამოხსნილი ინდივიდები ქმნიან ჯგუფებს თავიანთი ნოოტიპის ადამიანებთან, ხოლო ამ ჯგუფების წევრთა უმეტესობა შეგვიძლია ერად (ნოოსად) წარმოვიდგინოთ, ვინაიდან მათი "გადაგვარებულობის მოხსნა" იდენტურ ნოოსფერულ სტიქიაზე განხორციელდა.

ახლა კი დასაწყისში აღნიშნულ საკითხსაც მივუბრუნდეთ და განვსაზღვროთ, თუ რას წარმოადგენს კაცობრიობა (ცივილიზაცია). ცივილიზაცია (ნოოცენოზი) ოთხივე ფსიქიკური სტიქიის ეფექტის ურთიერთკავშირით ვლინდება, სხვა სიტყვებით, ესაა ოთხივე ტიპის ერთა ერთდროული თანაარსებობის პარალელური ფენომენი. აღსანიშნავია, რომ ცივილიზაციების იდენტიფიკაცია შეუძლებელია "ციკლური ლოგიკის" შედეგების გარეშე, რომელიც ნოოლოგიის მეორე საწყისია. "ციკლური ლოგიკის" საშუალებით შესაძლებელი გახდა საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის კანონების აღმოჩენა და სისტემატიზაცია. ამ ფენომენის აღმოჩენის შემდეგ, ავტორი მსოფლიო წესრიგის ოპტიმალურ კონცეფციას - ოპტიმალიზმის დოქტრინას

[169] იქვე. გვ 13-14
